# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 5 თებერვალი 2000 №20 (1042) | ფასი 50 თეთრი


ლარნაკა
4 თებერვალი
16.30 საათი
ზენონი
150 (ტევადობა 14 000)

**რუმინეთი 1:1 საქართველო**

პენალტებით 4:2

0:1 ქეცბაია (41), 1:1 ჰილდანი (81)

1:0 ბატრინუ, 1:0 ნემსაძე, 2:0 დუმიტრუ, 2:1 ქეცბაია, 3:1 პეტრე, 3:1 ჯანაშია, 3:1 ნიკულესკუ, 3:2 შეყილაძე, 4:2 მარა

რუმინეთი: ლობონტი, დუმიტრუ, ბატრინუ, მუტიცა, კრივაცი (სტოიცა 55), ბოლოჰანი, ჰილდანი, მალდარასანუ (რადუჩანი 80), როსუ (მარა 61), მიჰალჩია (პეტრე 55), ნიკულაე (რ. ნიკულესკუ 61)

საქართველო: გვარამაძე, ხიზანიშვილი, შეყილაძე, ნემსაძე, ჩიხრაძე, მენთეშაშვილი (ზ. ჯანაშია 46), სიჭინავა, ყაველაშვილი (ძოძუაშვილი 91), ჯამარაული, ქეცბაია, ა. არველაძე (ქემოკლიძე 67)

გაფრთხილება: ნემსაძე (13), ყაველაშვილი (23), ნიკულაე (26), ჰილდანი (36), ჯანაშია (63), ქემოკლიძე (107), ნიკულესკუ (117), ნემსაძე (117), რადუჩანი (118)

მსაჯი: კ. კაპიტანისი (კვიპროსი)

კობა ინასარიძე

# შორით ფრეა, ახლოს სომხეთი

კვიპროსის ტურნირის მეორე მატჩში საქართველოს ნაკრები რუმინეთის კლუბების ნაკრებთან დამარცხდა. ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა, პენალტები კი რუმინელებმა მოიგეს.

პირველი ტაიმი არც ისე საინტერესო ყოფილა, თამაშის გამწვავებას ორივე გუნდი ერიდებოდა, მეტოქეები საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო ფიქრობდნენ, კვიპროსელ მსაჯ კაპიტანისსაც ცხრაჯერ მოუხდა ყვითელი ბარათის ამოღება. ჩვენებურთა კაპიტანი ნემსაძე 117-ე წუთზე მეორედ გააფრთხილა, მაგრამ რატომღაც არ გააძევა.

ნიუკასლელმა თემურ ქეცბაიამ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა თქმით, თანაგუნდელთაგან საუკეთესომ, დაახლოებით 22 მეტრიდან, საჯარიმოთი გაუტანა ლობონტს. რუმინელებმა კი, მატჩის მიწურულს, 81-ე წუთზე, კატალინ ჰილდანის ასევე შორიდან დარტყმულით გაათანაბრეს.

დამატებით დროში საინტერესო არაფერი მომხდარა, მეტოქენი პენალტებისთვის ემზადებოდნენ...

მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების ერთმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა:

— კმაყოფილი ვარ, წინა მატჩთან შედარებით ბიჭებმა დავალება უკეთ შეასრულეს. რუმინელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჩამოუყვანიათ.

**— კლუბების ნაკრები რომ იყო...**

— არც ჩვენ ვართ უძლიერესი შემადგენლობით. ორივემ პოტენციალის ნახევარი გამოვავლინეთ...

**— ბევრი ნაკლი აქვს ჩვენს ნაკრებს?**

— შესარჩევ თამაშებამდე გამოვასწორებთ.

**— კონკრეტულად?**

— პენალტები უკეთ უნდა დავარტყათ.

**— პენალტების გარდა?**

— ბევრი ფეხბურთელი სასურველ ფორმაში ვერაა, ჯამარაული, ყაველაშვილი, ჯანაშია... მათ ბევრი შეუძლიათ, მაგრამ მოუმზადებლები არიან.

**— მომზადებული ვინ არის?..**

— ჩინებულ ფორმაშია ნემსაძე. სიჭინავათი, მენთეშაშვილით, ჩემი მოგვარითაც კმაყოფილი ვარ.

ხვალ ჩვენებურები მესამე ადგილისთვის სომხებს ხვდებიან.

**კვიპროსის ტურნირი**

ნახევარფინალი

**კვიპროსი 3:2 დ.დ. (2:2) სომხეთი**

1:0 მელანარკიტისი (36), 2:0 სპოლიარიჩი (43), 2:1 პეტროსიანი (50), 2:2 კარამიანი (74), 3:2 სპოლიარიჩი (114)

V ადგილისთვის

**მოლდოვა 2:1 ლიტვა**

1:0, 2:0 როგაჩოვი (13, 76), 2:1 ფომენკა (78)

**სლოვაკეთი 3:1 ლატვია**

1:0 კისელი (30), 2:0 მინტალი (47), 3:0 ბაბნიჩი (49), 3:1 შტოლცერსი (85)

6 თებერვალს

ფინალი: კვიპროსი — რუმინეთი

III ადგილისთვის: საქართველო — სომხეთი

V ადგილისთვის: მოლდოვა — სლოვაკეთი

VII ადგილისთვის: ლიტვა — ლატვია

# 2 მორბენალი სტრიქონი: სლოვაკეთი 0:2 საქართველო

თანდაყოლილიდან შეძენილ ინსტიქტამდე

# 3 გაიხსენეთ და დაფიქრდით

ათწლიანი ეპოპეის ბოლო თავი



№14

ილიკო ქელიძვილი

# 5 აზერბაიჯანს ფიფადან გარიცხვა ემუქრება

პირველ დივიზიონში მოასპარეზე რვა გუნდი ჩემპიონატის დატოვებასა და ახალი ლიგის ჩამოყალიბებას აპირებს

# 7 უიღბლონი

100 იუბილარი

პირველი რომაული კლუბის ამბავი

# ხელმოტეხილმა გოგოლაძემ ჩემპიონის ტიტული დაიცვა

ბადრი ქეთილაძის ფოტო



მეოთხე რაუნდში გოგოლაძის ცაციამ ტერნერს თბილისური რინგის იატაკი „მოასინჯინა"

*კობა გოგოლაძემ დაიცვა კრივის მსოფლიოს ფედერაციის ქვე-ველთერის წონის ინტერკონტინენტალის ჩემპიონის ქამარი. მან ათრაუნდიან ბრძოლაში ერთხმა ქულებით აჯობა ამერიკელ დევიდ ტერნერს.*

*ტერნერის თბილისში გამოჩენამდე მის შესახებ არაფერი გვსმენოდა და ხალხმაც ყბად აიღო, ვინ უნდა იყოსო, მით უმეტეს, რომ მისი დამსახურება ოცდაათი ბრძოლიდან ათი გამარჯვებით შემოიფარგლებოდა. თბილისში ჩამოსული ამერიკელის შესახებ კი ის შევიტყვეთ, რომ ჭადრაკის თამაში იცის, მშობელ ქალაქად კი ხან ინდიანაპოლისს ასახელებს, ხან სენტ ლუისს. ასე იყო თუ ისე, წვრილკანჭა ტერნერი ბითური ნაღდად არ გამოდგა და გვარიან თავდამცველად გვიჩვენა თავი.*

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# თანდაყოლილიდან შეძენილ ინსტინქტამდე

ორი სახის ინსტიქტი არსებობს — თანდაყოლილი და შეძენილი. პირველი ადამიანის გენეტიკური კოდისგან გამომდინარეობს. გონება და სხეული უძლურია ამ უნებლიე მოქმედების წინააღმდეგ. რეაქცია წამებში ხდება. შინაგანი ინსტიქტური მექანიზმის თითოეული რგოლი საიმედოდაა დაცული გარეშე ძალთა ზემოქმედებისგან და შეუძლებელია, რომელიმე მათგანს ფუნქცია მოუშალო. უამრავი მაგალითი შეისწავლეს ფსიქოლოგებმა, თუმცა ბოლომდე ვერავინ მოახერხა, ზუსტად ჩასწვდომოდა ინსტიქტის არსს. ლამის გამოუცნობ მოვლენად ჩათვალეს იგი და როცა ერთი ისტორიული ფაქტის შესახებ შეიტყვეს — ძველ რომში, მიწისძვრისას, შენობაში ჩვილთან ერთად მყოფმა დედამ ნანგრევებს პირმშო შეუშვირა და მისი სიცოცხლის ფასად გადარჩა — დედა მკვლელი არ არის, იგი ინსტიქტურად მოქმედებდაო — თქვეს...

თქვენი არ ვიცი და მე რამდენჯერაც მომიწია სამარშრუტო ტაქსით (საფასური 30 თეთრია) მგზავრობამ, ყოველთვის ერთი და იგივე ამბის მომსწრე გავხდი — მიაწოდებ მძღოლს 50-თეთრიანს და უმალ გკითხავს, რამდენის ავიღოო? არ იფიქროთ, რომ მათემატიკის გაგებაში არ არის. ყოველდღიურმა ერთფეროვნებამ განაპირობა მისი ამგვარად მოქცევა. სწორედ ეს არის შეძენილი ინსტიქტი.

ხშირად გაიგონებთ, ქართველებს ფეხბურთის ნიჭი გენში გვაქვს გამჯდარიო. მაშინ ან გენი უნდა გამოვიცვალოთ, ანაც სიტყვა ნიჭი სიყვარულით შევცვალოთ. მეორის გაკეთება აშკარად სჯობს. ფეხბურთის თამაში თანდაყოლილი ინსტიქტი როდია, ფეხებმა ბურთი თავისით რომ დაიმორჩილონ და მოედანზე სასწაულები აკეთონ. ამ საქმეში მთავარი შრომაა და გენეტიკაზე თუ მიდგა საქმე, ქართველები ბურთის გორებაზე დიდი ხნით ადრე ხანჯლაობასა თუ ჭიდაობაში მამაცობდნენ. ისე, არც ლორან მიშელის ძე პლატინის კარგ ფეხბურთელობაზე მსმენია და წამიკითხავს...

რაკი დროულად ვერ შევძელით გვეღიარებინა ქართული საფეხბურთო გენის მცნების აბსურდულობა და არ დავინახეთ, რომ ვილაც ნიგერიელ ყმაწვილსაც არანაკლებ შეუძლია ბურთის გამაოგნებლად კენწვლა და კეფაზე გაჩერება, რა დღეშიც ჩავარდით, კარგად ხედავთ. დიდი ხანი გვჯეროდა (ზოგიერთებს ახლაც სჯერათ), რომ სლოვენიისდარ გუნდებს მარტო გიორგი ქინქლაძით და შოთიკო არველაძით უნდა ვამარცხებდეთ.



ნუ მოთხოვთ ამ ბიჭებს იმაზე მეტს რისი გაკეთებაც შეუძლიათ

ბადრი კოპალიანის ფოტო

ამგვარმა მიდგომამ გულშემატკივრებიც საკმაოდ გააწამა. ხალხს გაუჭირდა რეალურად აღექვა ყოველივე და რეაქციაც არაადეკვატური ჰქონდა. ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ 1981 წლის მერე ქართულ ფეხბურთში აგური აგურზე არავის დაუდია. ტრიბუნებზე გულშეწუხებულ მაყურებელთა რიცხვმა იმატა. ქართველი ფეხბურთელების სამარცხვინო გამოსვლას გულშემატკივრები მძიმედ აღიქვამდნენ (ინსტიქტურად). თავის თავში ვერ პოულობდნენ იმხელა ძალას, რომ რაოდენ მწარეც არ უნდა ყოფილიყო სინამდვილე, თვალი გაესწორებინათ მისთვის, ეღიარებინათ რეალობა და იგი კანონზომიერ მოვლენად ჩაეთვალათ. იყო გაუთავებელი გულისწყრომა, „კოკა კოლას" ბოთლების სროლა, ლოზუნგები — თქვენ არ ხართ პაიჭაძისა და მესხის ჩამომავლები, სინდისი არ გქეჯნით, სისხლი არ გიდუღთ ძარღვებში, მოედანზე უჯიგროდ გადიხართო და ასე შემდეგ. შეუძლებელია თანაგრძნობით არ დაიმუხტო ამ ხალხის მიმართ, ალალად არ შეგეცოდოს სიყვარულისგან გაწამებული ქომაგი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს შველი. ისევ დრო მოგვევლინა მხსნელად. ყველაფრის მკურნალი დრო და, მგონი, გვეშველა კიდეც...

ყოველდღიურმა ერთფეროვნებამ, ამდენმა წარუმატებლობამ, საფეხბურთო არენაზე შინ თუ გარეთ გაუთავებელმა შერცხვენამ, ტელევიზიით უცხოური ჩემპიონატებისა და საერთაშორისო შეხვედრათა ცქერამ თვალი აუხილა და ადეკვატური რეაქციის საზით ერთი ნორმალური ინსტიქტი შესძინა ქართველ გულშემატკივარს — მან ყოველგვარი ემოციის გარეშე აღიქვა ეროვნული ნაკრების მიერ სლოვაკთა ახალგაზრდული გუნდის დამარცხება. ისე, ბევრმა მათგანმა არც იცოდა, რომ ყიფიანისა და ძოძუაშვილის შეგირდებმა ახალგაზრდულ ნაკრებს მოუგეს. თუმცა, ვიმეორებ, საკმაოდ მშვიდი რეაქცია ჰქონდათ.

ქომაგი გარდაისახა. როცა ჩვენს უპირველეს გუნდზე ლაპარაკობს, გეტყვის და საკმაო არგუმენტებით დაგისაბუთებს, რომ ეროვნულ ნაკრებს საშუალო დონის მხოლოდ 3-4 ფეხბურთელი ჰყავს, ცდილობს, ერთხელაც არ ახსენოს შესარჩევი ჯგუფიდან გასვლა და არა იმიტომ, რომ პესიმისტია, არა, ბატონებო, იგი რეალურად აფასებს შექმნილ მდგომარეობას. ფანტაზიებს უნდა შევეშვათ და შესარჩევი ციკლის თამაშები გუნდის ჩამოყალიბების ხელსაყრელ პერიოდად აღვიქვათო — ასეთი გახლავთ ერთ-ერთი მათგანის აზრი და ძნელია, არ დაეთანხმო მას. ვინც სხვაგვარად ფიქრობს, შეუძლია დაელოდოს, თუ როგორ მოახერხებს ევროპის მეხუთე გოდრის (10-ზე მეტი ქვეყანა რომ ჩაეტევა კალათა როგორ ვუწოდო) ბინადარი, მსოფლიოს 32 ეროვნულ ნაკრებს შორის მოხვდეს...

იქნებ ბევრს არ ესიამოვნოს ასეთი მსჯელობა და ძველებურად ემოციებს აჰყვეს. ზოგიერთს არც ის ეხამუშა, „ახალი" ნაკრების სლოვაკებთან გამარჯვება მორბენალი სტრიქონივით რომ აღიქვა უმრავლესობამ. სწორედ მათი ჯანმრთელობისთვის იქნება კარგი, სიმართლეს თვალი გაუსწორონ და გენეტიკური კოდების შესწავლას შეეშვას.

ხომ შეიძლება, შემთხვევით იტალიასაც მოვუგოთ, სხვებსაც და ჯგუფიდან გავაღწიოთო, იტყვის მავანი და დასძენს, ალოგიკური რამდენი რამ ხდება ქვეყანაზეო.

ბალზაკი ამბობდა, ოქროსა და ფულზე ყველაფერს იყიდის კაცი შემთხვევის გარდაო. მართლაც ძნელია შემთხვევითობის ალბათობა განსაზღვრო, მაგრამ ფეხბურთი არც „ფორმულა 1"-ია და არც ველორბოლა, სხვისი წაფორხილებით რომ იხეირო. თანამედროვე ფეხბურთში, შემთხვევით, სუსტმა შეიძლება არ წააგოს ძლიერთან და ისიც ხუთწლედში ერთხელ. ხელი თუ მოცარა იმ ძლიერს, მწერლის არ იყოს, გაუფრთხილებლობის ბრალი კი არა, განგების ნება იქნება უთუოდ და სწორ დასკვნებსაც უმალ გამოიტანს.

ჩვენნაირ ხალხს კი ასწავლის მამაზეციერი — „შეიცან თავი შენი" და „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სასუფეველი შენი".

ჩვენც შევიცნოთ თავი ჩვენი და ვაღიაროთ — ისეთი ეროვნული ნაკრების მეპატრონენი ვართ, სლოვაკეთის ახალგაზრდულ გუნდთანაც რომ უჭირს გამარჯვება, მაგრამ ლოგიკურად აღვიქვამთ ამასაც და მომავალს იმედიანად გავცქერით. იმედი ხომ კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია დედამიწაზე.

ეკლიანი გამოდგა გზა თანდაყოლილი ინსტიქტიდან შეძენილამდე, მაგრამ... რადგან მეორე აშკარად სჯობს პირველს (ამ შემთხვევაში), ღირდა მისი გავლა. შევცვალოთ ნიჭი სიყვარულით...

ხვიჩა სანიკიძე

# ტყუპები დაღესტანში
## იბერიის საშველი?

გუშინდელ „სარბიელშიც" გაუწყეთ სამტრედიელთა გასაჭირზე. შეგვიანებულ პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლეიშვილის გარდა სოსო ფრუიძის საწუხარი ისიც არის, რომ მისი გუნდი წამყვანი მოთამაშეების გარეშეა დარჩენილი. ასეთები კი ტყუპები გიგიაძეები და მეკარე გუბაზ დოლიძე გახლავთ. ფრუიძის ვარაუდით, ტყუპები საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ და ფინანსები (და პრეზიდენტიც) რომ გამოჩენილიყო, იქნებ „იბერიასაც" დაბრუნებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ფრუიძე ამაოდ ელის ტყუპებს (ვიმედოვნებთ, პრეზიდენტისგან განსხვავებით). ნუგზარ ნიკოლაიშვილის „საგარეო გასვლას" შედეგი მოჰყოლია და ტყუპებმაც ახალ გუნდში ამოყვეს თავი, თუმც არცთუ შორს, მეზობელ დაღესტანში დაიდეს ბინა.

დაღესტანში კი დღეისათვის ფეხბურთის ბუმია. ხუმრობა ხომ არ არის, იქაური მახაჩყალის „ანჟიმ" რუსეთის უმაღლესი დივიზიონის კარი შეაღო. ტყუპებს ახალ გუნდში ერთგვარი ქართული გარემო დახვდათ — მათ წასვლამდე „ანჟიში" ალეკო გოგობერიშვილი და ახლახან შემატებული ლევან მიქაძე ირიცხებოდნენ. დაღესტნური გუნდის მთავარ მწვრთნელს, გაჯი გაჯიევს სიხარულით მიუღია ქართველები და უახლოეს საკონტროლო შეხვედრაშიც გამოუცდია ისინი. სპარინგპარტნიორად კი არაბეთის გაერთიანებული საამიროების ნაკრები ჰყოლიათ. მიქაძეს და ვასილ გიგიაძეს 90 წუთი უთამაშიათ სოსო გიგიაძე პირველი ნახევრის შემდეგ დაუსვენებია გაჯიევს, ხოლო გოგობერიშვილს მეორე ტაიმში ვინმე აკაევი შეუცვლია. თანაბარ ბრძოლაში მცირე უპირატესობას მახაჩყალელები ფლობდნენ, მაგრამ შეხვედრა უგოლოდ დასრულდა. ნამატჩევს კი შედეგით კმაყოფილ გაჯი გაჯიევს უთქვამს, გუნდის სათადარიგოებმა გამიმართლესო.

ტყუპების ტრანსფერის დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. იმედია, ყოველივე ნუგზარ ნიკოლაიშვილის დაბრუნების შემდეგ გაცხადდება.

პაატა ძვანტალიანი

# შევჩენკომ ქართველები დაიწუნა

მოსკოვის „ტორპედოში" გასინჯვაზე მყოფი გიორგი დავითნიძე ამ დღეებში საქართველოში დაბრუნდება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვიტალი შევჩენკომ მისი „ტორპედოში" აყვანისგან თავი შეიკავა. მან არც მეორე ახალწვეული მაქსიმ პოვოროვი დაიტოვა.

„მართალია, ეს ფეხბურთელები გუნდში უკვე მყოფთ არაფერში ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ არც არაფრით სჯობდნენ" — ეს შევჩენკომ კვიპროსულ შეკრებაზე დაასკვნა.

ფოთის „კოლხეთის" მცველი გიორგი დავითნიძე მოსკოვში იანვრის მეორე ნახევარში გაემგზავრა. „ტორპედოში" რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ შევჩენკომ მისი კვიპროსულ შეკრებაზე წაყვანა გადაწყვიტა. ამ ბიჭს ალბათ დავიტოვებო, თქვა მაშინ მწვრთნელმა და ტრანსფერის საკითხიც მოგვარებულად ჩავთვალეთ, მაგრამ მოლოდინი გაგვიცრუვდა.

დავითნიძემ კვიპროსში რამდენიმე საკონტროლო მატჩი ითამაშა, თუმც შევჩენკოს გული, როგორც ჩანს, მაინც ვერ მიიოგო. „ტორპედო" კუნძულზე, სადაც ამჟამად საქართველოს ნაკრებიც იმყოფება, კიდევ რამდენიმე დღეს დაჰყოფს. მაგრამ დავითნიძე გუნდში უკვე აღარ არის. იგი გუშინ უნდა დაბრუნებულიყო მოსკოვში.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ დავითნიძის ბედი კიდევ ერთმა ქართველმა, ვალერი აბრამიძემ გაიზიარა. შევჩენკომ იგი კვიპროსში მოწყობილი პირველი შეკრების შემდეგ დაიწუნა.

დავითნიძე თამაშს ალბათ კვლავ ფოთის „კოლხეთში" გააგრძელებს.

ვანო ოქროპირიძე

# გემეზაშვილი გამოჩნდა
## სოკოლი მის დახსნას ლამობს

ირაკლი გემეზაშვილი ნახევარი წელია აღარ ჩანდა. მისი ბოლო ქართული კლუბი თბილისის „არსენალი" გახლდათ. იქიდან კი ჩვენებურმა ელისტის „ურალანს" მიაშურა. გემეზაშვილის ამ ტრანსფერს მაშინ დიდი აურზაური მოჰყვა. ქართველმა ფეხბურთელმა ყალმუხებთან კონტრაქტი გააფორმა და თითქოს საქმეებიც აიწყო, მაგრამ მალე „ურალანიდან" წამოსვლა მოუხდა. წამოსვლის მიზეზი კლუბის მიერ ხელშეკრულების რამდენიმე პუნქტის დარღვევა იყო.

„არსენალმა" „ურალანს" კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო საკომპენსაციო თანხა მოსთხოვა, რაზეც, ცხადია, უარი მიიღო. საქმე სასამართლომდე მივიდა, რომელმაც ელისტელებს 30 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. „ურალანის" ხელმძღვანელობამ სასამართლოს ურჩობა ველარ გაუბედა.

მას შემდეგ გემეზაშვილის შესახებ ბევრი არაფერი გვსმენია. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ მას აგენტი რამდენიმე ვარიანტს, მათ შორის საფრანგეთის საკმაოდ ძლიერ კლუბში გადასვლასაც სთავაზობდა, თუმცა რეალური არც ერთი გამოდგა.

ახლა კი ირაკლი გემეზაშვილი რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბ სარატოვის „სოკოლშია" გასასინჯად. იქ ირაკლიმ ერთი საკონტროლო მატჩიც ითამაშა. სარატოველებმა ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცი" 3:0 დაამარცხეს. ანგარიში მე-20 წუთზე გემეზაშვილმა გახსნა. „სოკოლის" მწვრთნელებმა ქართველი ფეხბურთელი მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშეს, ირაკლიმაც თავი მოაწონა მათ.

„ყველანაირად ვეცდებით, გემეზაშვილი „სოკოლში" დავტოვოთ" — თქვა მატჩის შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ კორეშკოვმა.

ჩვენებურის გადასაბირებლად კი სარატოველთა ხელმძღვანელობას „ურალანისთვის" გარკვეული კომპანსაციის გადახდა მოუწევს, რადგან გემეზაშვილი მათი საკუთრებაა.

ეს ტრანსფერი თუ განხორციელდა, ირაკლი „სოკოლის" მეორე ქართველი ფეხბურთელი იქნება. შეგახსენებთ, ამ გუნდის ღირსებას იცავს მიხეილ ჯიშკარიანი. ზვიად ჯელაძე კი „სოკოლში" შარშან რომ თამაშობდა, ამჟამად სანქტ პეტერბურგის „ლოკომოტივში" გივი ნოდიას ხელმძღვანელობით ემზადება. იმასაც გეტყვით, რომ „სოკოლს" პრეზიდენტიც ქართველია — რომან ფიფია.

ვანო ოქროპირიძე

# გაიხსენეთ და დაფიქრდით!




№14

ილიკო ჭოლიშვილი

### კანონი, მაგრამ, რა კანონი

შეამჩნევდით: აქამდე თითქმის არაფერი მითქვამს უშუალოდ ფეხბურთზე, იმ ამბებზე, რაც საფეხბურთო მინდორზე ხდებოდა. არ გაგვიხსენებია საქართველოს ეროვნული ნაკრების სადებიუტო საერთაშორისო მატჩები, ჩვენი ახალგაზრდული თუ ჭაბუკთა გუნდების პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები. ეროვნული ჩემპიონატიც „თამაშგარეთ“ დაგვრჩა. ამას ერთი უბრალო მიზეზი აქვს: 90-იანი წლების ქართული ფეხბურთის თავგადასავალი, უწინარესად, გაუთავებელი შინაომების კრებულია. საინტერესოც და დამაფიქრებელიც, მეტწილად, კულისებს მიღმა ხდებოდა და არა ავანსცენაზე, ანუ სტადიონზე. ეს ისტორია სრულყოფილი ვერ იქნება, თუ ათწლიანი ეპოპეის ბოლო თავს გამოვტოვებთ. ამ თავის დრამატურგია, ადრინდელების მსგავსად, პრიმიტიულია და სწორხაზოვანი, ოღონდ ტრაგიკული ფინალით.

ამბავი ასე იწყება: 1996 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტი იღებს კანონს სპორტის შესახებ. ამ კანონის მეორე თავის მეხუთე მუხლი განსაზღვრავს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კომპეტენციას. მაგალითად: ერის გაჯანსაღებისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამების შემუშავება; სპორტის სისტემის სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფა, სამეცნიერო, სასწავლო, პოპულარული სპორტული ლიტერატურის გამოცემა; სპორტის დაფინანსების სახელმწიფო ნორმატივების შემუშავება და ა.შ. ბოლო „ლ“ პუნქტი ასე ჟღერს: „ეროვნული სპორტული ფედერაციების მიერ სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეუსრულებლობისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევისას მარეგისტრირებელ ორგანოსთან ერთად ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ფუნქციების შეჩერება საგანგებო ყრილობის მოწვევამდე.“

ახლა გავეცნოთ სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს (თავი 1, მუხლი 2):

ა) საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბ) სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; გ) მართვის დემოკრატიული ხასიათი; დ) მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება; ე) ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პატივისცემა.

ერთ-ერთი ამ პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კანონის თანახმად, დეპარტამენტს მარეგისტრირებელთან ერთად შეუძლია შეაჩეროს ფედერაციის ხელმძღვანელთა უფლებამოსილება. მაგალითად, დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ბადმინტონის ფედერაცია პატივს არ სცემს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს(?); ან ბალახის ჰოკეის ფედერაციამ ვერ უზრუნველყო საყოველთაობა და ხელმისაწვდომობა(?!); ან ჯიუ-ჯიცუს ფედერაციამ ვერ დაიცვა და გააღრმავა ტრადიციები, ვერ შეინარჩუნა თაობათა მემკვიდრეობითობის უწყვეტობა(?!)... დამთავრებული ამბავია: უფლებამოსილებას შეგიჩერებენ და საგანგებო ყრილობას დაგინიშნავენ. იქ კი ტყავს გაგაძრობენ და ციხეს თუ გადაურჩი, ღმერთს მადლობა შესწირე.

ისე, ძალიანაც ნუ შეშინდებით. ფეხბურთელებმა იკითხონ, თორემ დანარჩენებს ზედმეტს ვინ აკადრებს, რაკი „ზედმიწევნით“ იცავენ სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და ხანდახან „გადაჭარბებითაც“ ასრულებენ.

ეშინოდეს ფეხბურთის ფედერაციას! რა მიხვედრა უნდა — „ლ“ პუნქტის სამიზნე იამანიძის ხუთია. აგერ, სპორტის დეპარტამენტის 1997 წლის 6 სექტემბრის დადგენილება ნახეთ: „ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების მხრივ არსებული მდგომარეობა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა ჩაითვალოს უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად.

კატეგორიული წინადადება მიეცეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს, სასწრაფოდ მოიწვიოს ფედერაციის საგანგებო რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც დეტალურად იქნება გაანალიზებული არსებული მდგომარეობა, მისი გამომწვევი მიზეზები და დაისახება კრიზისიდან გამოსვლის კონკრეტული ღონისძიებანი.

დაისვას საკითხი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, როგორც მარეგისტრირებელი ორგანოს წინაშე, სპორტის დეპარტამენტთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საგანგებო ყრილობის მომზადების საქმეში, რათა იგი ჩატარდეს არსებული წესების სრული დაცვით. ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან ზემოაღნიშნული წინადადების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაუყოვნებლივ გამოიყენებს სპორტის შესახებ საქართველოს კანონის მეორე თავის, მეხუთე მუხლის „ლ“ პუნქტს“.

„უკიდურესად კატეგორიულ“ ამ დადგენილებას დეპარტამენტმა განცხადებაც მოაყოლა: „...სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ არავითარი სურვილი არ გააჩნია თვითმიზნურად მიმართოს კანონით გათვალისწინებულ უფლებას ფედერაციის ხელმძღვანელთა უფლებამოსილების შეჩერების შესახებ. რომ მას არავის მიმართ არ ამოძრავებს პირადი ინტერესები. მისი მიზანია ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოყვანა და შემდგომი განვითარება“.

სწორედ ამაზე უთქვამთ — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

განცხადების ეს მონაკვეთი ასეც იკითხება: „სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ დიდი სურვილი გააჩნია თვითმიზნურად მიმართოს კანონით გათვალისწინებულ უფლებას ფედერაციის ხელმძღვანელთა უფლებამოსილების შეჩერების შესახებ. რომ მას პირადი ინტერესები ამოძრავებს ნოდარ ახალკაცის მიმართ. მისი მიზანია ფედერაციის ხელმძღვანელთა გადაყენება და ამ მიზნის მისაღწევად მზად არის ქართული ფეხბურთი უფრო ღრმა კრიზისში შეიყვანოს და მისი შემდგომი განვითარება შეაფერხოს“.

ასე და მხოლოდ ასე!

### „ამის გაკეთება არ შეიძლება“

თვალი მივადევნოთ შემდგომ ამბებს: ფეხბურთის ფედერაცია, ცილისწამებისა და შეურაცხყოფისთვის, ვაკის რაიონის სასამართლოში უჩივის სპორტის დეპარტამენტს.

ფედერაციას სოლიდარობას უცხადებს ფიფა. ციურიხიდან 11 სექტემბერს გამოგზავნილ წერილში ნათქვამია: „თუ ადგილობრივი ხელისუფლება შემდგომშიც ჩაერევა ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, საქმე გადავცეთ ფიფას აღმასკომს, რასაც მოჰყვება უმკაცრესი სანქციები.“

ოქტომბრის მიწურულს თბილისში ჩამოდის უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი და ამბობს: „კარგია, როცა სახელმწიფო ფედერაციას ეხმარება. ცუდია, როცა სახელმწიფო ფედერაციის საქმეებში ერევა. ამის გაკეთება არ შეიძლება“.

5 ნოემბერს იმართება საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის „საფეხბურთო“ სხდომა, რომელიც ავალებს სპორტის დეპარტამენტს აამოქმედოს კანონის „ლ“ პუნქტი, თუ ფედერაცია პირველ დეკემბრამდე არ მოიწვევს საგანგებო ყრილობას.

12 ნოემბერს ფეხბურთის ფედერაციაში იკრიბებიან ეროვნული ჩემპიონატის პირველი ჯგუფის გუნდების ხელმძღვანელები, დეპარტამენტს აგრესიულ პოლიტიკას უწუნებენ და კონსტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდებენ.

ნოემბერშივე ახალკაცი სამკურნალოდ გერმანიაში მიემგზავრება და მის მოვალეობას, დროებით, ალექსანდრე ჩივაძე ასრულებს. ჩივაძე ამბობს: „რიგგარეშე ყრილობა არ გაიმართება. ყრილობას მოვიწვევთ ფედერაციის წესდების მიხედვით, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ“.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ტარიელ კულულაშვილი და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი 21 ნოემბერს ხელს აწერენ ბრძანებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელების ფუნქციების შეჩერების და საგანგებო ყრილობის მოწვევის შესახებ:

„1. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კოლეგიის 1997 წლის 6 სექტემბრის №4-39 დადგენილების, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის სხდომის 1997 წლის 10 ნოემბრის №16 4922 გადაწყვეტილების საფუძველზე და სპორტის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ლ“ პუნქტის შესაბამისად, სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეუსრულებლობის და კანონმდებლობის უხეში დარღვევებისთვის, შეუჩერდეთ ხელმძღვანელის ფუნქციები ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს და გენერალურ მდივანს დავით კვინიკაძეს.

2. აღნიშნული ბრძანება ეცნობოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელს ბატონ ალექსანდრე ჩივაძეს, რათა 1997 წლის 1 დეკემბრამდე განიხილოს საკითხი აღმასკომის სხდომაზე საგანგებო ყრილობის მოწვევის შესახებ, რომელზედაც დეტალურად იქნება გაანალიზებული არსებული მდგომარეობა, მისი გამომწვევი მიზეზები და დაისახება კრიზისიდან გამოსვლის კონკრეტული ღონისძიებანი.

3. ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მიერ 1 დეკემბრამდე საგანგებო ყრილობის მოუწვევლობის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შექმნან საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც სპორტის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ლ“ პუნქტის შესაბამისად, 1997 წლის 31 დეკემბრამდე მოიწვევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო ყრილობას არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით.“

ულტიმატუმი მასეთი არ უნდაო და, ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა ბრძანა: „ფიფა არ დაუშვებს თავისი წევრი ორგანიზაციის რომელიმე ოფიციალური პირის უფლების შეჩერებას რომელიმე სხვა ორგანიზაციის მიერ. ამიტომაც მოვითხოვ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ნოდარ ახალკაცსა და ამავე ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ დავით კვინიკაძეს 1997 წლის 8 დეკემბრამდე აღუდგეთ უფლება-მოვალეობანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიფა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გარიცხავს თავისი რიგებიდან და მომავალში მასთან აღარ ითანამშრომლებს. ქვეყნის ეროვნულ გუნდსა და კლუბებს ჩამოერთმევათ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის უფლება“.

მანდ ჭკუით იყავით, თორემ ახლოსაც არ გაგიკარებთო.

ახლა კომენტარიც ნახეთ.

*კახი ასათიანი:* „რა ფაქსებიც არ უნდა აგზავნონ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სხვადასხვა მუშაკებმა ფიფადან და უეფადან, ჩვენ გადაწყვეტილება მიღებული გვაქვს და მე მგონი სახელმწიფო ვართ. სახელმწიფოში ყველა უნდა ექვემდებარებოდეს იმ კანონებს, რომლებიც გვაქვს მიღებული“.

*ნიკო ლეკიშვილი:* „ეს არის ყველაზე ცუდი მაგალითი, რომელიც ურთიერთდაპირისპირების ფონზე საერთო საქმის საზიანო პრობლემად იქცა... ვთქვათ ჩვენ გადავაყენეთ ეს ფედერაცია, წავიდა ყველა და საქართველოც გარიცხეს სამი, ოთხი თუ ხუთი წლით. ეს უკვე ძალიან ცუდი მომენტია... არსებული წესები არ უნდა დაირღვეს. არსებობს ფეხბურთის ფედერაცია და მისი ყრილობა, რომელმაც უნდა იმსჯელოს ქართული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობაზე. რა თქმა უნდა, სპორტის კანონის თანახმად, დეპარტამენტსაც აქვს ყრილობის დანიშვნის უფლებამოსილება, მაგრამ არ არსებობს მისი აღსრულების მექანიზმი. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ჩინეთმა ამერიკის შეერთებულ შტატებს ხუთი ათასი ნოტა და გაფრთხილება რომ გაუგზავნა“.




ნოდარ ახალკაცი და ლენარტ იუჰანსონი

*ედუარდ შევარდნაძე:* „ძალიან კარგად მესმის, რომ პრეზიდენტი არ უნდა ერეოდეს და არც ჩაერევა იმ დისკუსიაში, რომელიც მისი კომპეტენციის სფეროში არ შედის და რის უფლებასაც მას არ ანიჭებს კონსტიტუცია. მხედველობაში მაქვს ფედერაცია — დამოუკიდებელი სტრუქტურა, რომლის მუშაობაშიც პრეზიდენტი, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერ ჩაერევა... ალბათ, საუკეთესო ვარიანტი, შექმნილი ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ფედერაციის ყრილობის მოწვევა. ვგულისხმობ იმას, რომ ყრილობაში მონაწილეობას მიიღებდა ყველა დაინტერესებული პირი, მოიძებნებოდა კოლექტიური გამოსავალი: დაე, უფლებამოსილმა ორგანომ იმსჯელოს და მიიღოს სამართლიანი, გონივრული გადაწყვეტილება... იმის დაშვება, რომ ჩვენ გაგვრიცხავენ საერთაშორისო ორგანიზაციიდან, წარმოუდგენელია“.

კომენტარს საქართველოს პრეზიდენტმა 4 დეკემბერს №709 ბრძანებულებაც მოაყოლა:

1. ფეხბურთის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე და მისი სახელმწიფოს ინტერესების დაცვის მიზნით „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის 1997 წლის 21 ნოემბრის №5-51 ბრძანება.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (ა. ჩივაძე) უახლოეს პერიოდში მოიწვევს ყრილობას, საკუთარი წესდების შესაბამისად.

3. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა (კ. ასათიანი) იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძე) სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ხელი შეუწყონ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ყრილობის მომზადებასა და გამართვაში.

4. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეშვეობით უზრუნველყოს სისტემატური კონტაქტი ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათ მიერ სანქციების თავიდან აცილებისა და საერთო პრაქტიკული დახმარების მიზნით.

5. შეიქმნას სამთავრობო კომისია საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, დაინტერესებული სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მონაწილეობით, რომელიც შეიმუშავებს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მრავალწლიან პროგრამას.

თავს ზემოთ ძალა არ არის — სპორტის დეპარტამენტი პრეზიდენტის ბრძანებულებას დაემორჩილა.

ფიფამაც უკან წაიღო თავისი მუქარა და ეს საქმეც დაიხურა.

ამის მერე, იქნებ, აღარავის გაახსენდეს მკვდრადშობილი „ლ“ პუნქტი და ზოგიერთი სხვა მუხლიც იმ ნაუცბათევი კანონისა.

იქნებ უფრო მეტი და უფრო ხშირად ზნეობის კანონებზე ვისაუბროთ.

და როცა ამას გავაკეთებთ, უთუოდ გაგვახსენდება ნოდარ ახალკაცი.

უთუოდ ჩაგვაფიქრებს მისი გარდაცვალების თარიღიც — 1998 წლის 25 იანვარი.

# მსაჯებიც ითამაშებენ

## საქართველოს ახალი საფეხბურთო ნაკრები ეყოლება



ბადრი კეთილაძის ფოტო

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში გრანდიოზული პროექტი მზადდება, რისი საშუალებითაც სულ მალე საქართველოს მსაჯთა ეროვნული ნაკრები შეიქმნება.

მავანმა იქნებ იფიქროს, საქმე გამოლევიათ ქართველ შავოსნებსო, მაგრამ რაც მთავარია, სხვაგვარად სჯის მსაჯთა თავკაცი ანატოლი მილჩენკო და „სარბიელს" თავის წამოწყებაზე თვალებგაბრწყინებული ესაუბრება: „ახალი იდეა გაგვიჩნდა, ჩვენი ძალისხმევით და სფფ-ს დახმარებით ავასრულებთ კიდეც. გადავწყვიტეთ, პირველი ლიგის მომსახურე მსაჯებისგან ორი გუნდი გავაკეთოთ. მსაჯები თითქმის გადანაწილებულნი არიან. ერთ გუნდში იქნებიან თბილისელები, მეორეში — საქართველოს სხვა ქალაქების და რაიონების წარმომადგენლები. მეორე ეტაპის განახლებამდე მათ ერთმანეთთან ვათამაშებთ და შედეგის გათვალისწინებით პირველი ლიგის მსაჯთა ნაკრებს ჩამოვაყალიბებთ. მარტიდან კი, როცა რეგიონალური ლიგის მომსახურე მსაჯთა ატესტაცია-ტესტირებას დავასრულებთ, იქაც ორ გუნდს შევქმნით, შესაბამისად — რეგიონალური ლიგის მსაჯთა ნაკრებსაც. ამის შემდეგ პირველი და რეგიონალური ლიგის ნაკრებებს გავაჯიბრებთ, რაც საშუალებას მოგვცემს, გავაკეთოთ ახალი გუნდი, რომელსაც საქართველოს მსაჯთა ეროვნული ნაკრები დაერქმევა".

მკითხველმა შესაძლოა მილჩენკოს ენთუზიაზმი არ გაიზიაროს და იკითხოს, რა საჭიროა ყოველივეო. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში ამ კითხვაზე ერთობ ორიგინალურ პასუხს გაგცემენ — ბურთთან სიახლოვე და უშუალოდ ფეხბურთელის რანგში ყოფნა ჩვენს მსაჯებს საფეხბურთო ნიუანსებში უფრო კარგად გაარკვევს, რაც სამომავლოდ უთუოდ აისახება მათ მიერ განსჯილ ეროვნული პირველობის მატჩებზე.

ახალი პროექტით, ქართველი შავოსნები უფრო შორეულ მიზნებსაც ისახავენ. ანატოლი მილჩენკო: „საქართველოს მსაჯთა ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბების შემდეგ დავუკავშირდებით მეზობელ სომხებს და აზერბაიჯანელებს. იქაურ კოლეგებს გავეჯიბრებით, გარკვეულ საერთაშორისო გამოცდილებასაც შევიძენთ და თუ საშუალება მოგვეცემა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთანაც დავამყარებთ ურთიერთობას, შევხვდებით მოლდოველებს, ბელარუსებს, რუსებს, უკრაინელებს..."

სანამ ჩვენი მსაჯ-ფეხბურთელები საერთაშორისო გამოცდილებას შეიძენენ, მანამდე სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში დანერგილ სიახლეზეც გაცნობებთ. კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამიერიდან ქართველ მსაჯებს სხვადასხვა კატეგორიები მიენიჭებათ. ის, ვისაც პირველ ლიგაში 25 მატჩი უმსაჯია (არბიტრად), ან სამომავლოდ დააგროვებს ამ რაოდენობას, ეროვნული კატეგორიის არბიტრად გამოცხადდება და შესაბამისი ნიშნითაც დაიმშვენებს მაისურას. ეროვნული კატეგორიის ასისტენტის ხარისხი მიეკუთვნებათ 50 ქულის დამგროვებელ (ერთი მატჩი 2 ქულას იძლევა) თანამსაჯებსაც. არის I კატეგორიაც, რომლის მფლობელებიც 30-ქულიანი არბიტრ-ასისტენტები იქნებიან. რაც შეეხება რეგიონალურ ლიგას, მის მომსახურეებისთვისაც არის გათვალისწინებული ჩინები. 15 ქულა II, 10 კი III კატეგორიის ტოლფასია, ოღონდ ეგ არის, რეგიონალურ ლიგაში განსჯილი მატჩი ერთ ქულად ფასობს.

**პაატა ქვანტალიანი**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი), ჩხაბერიძე (თავისუფალი აგენტი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0 |
| **დინამო** *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (ანჟი, რუსეთი) | ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ჩხეიძე (?) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ პავლოდარ (ყაზახეთი) 5:2 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | ჭოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), ბულუხია (თამაში მიატოვა), მელაძე, დ. გოგოლაძე დავითნიძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია (კოლხეთი 2) | |
| **ბათუმი** *ჯანი კარნჯგალი* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), ბოკიჩი (ნაციონალი, ბუქარესტი, რუმინეთი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:3 |
| **დილა** *მერაბ კოჭლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), სოლოღაშვილი, შატაკიშვილი (ლადა-ტოლიატი ვაზ, რუსეთი) | საყვარელიძე (დილას სკოლა) | ვიტ ჯორჯია 0:1, მერანი 0:0, ლოკომოტივი 3:1 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი ან ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (არსენალი), დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური (ხალიბი) | ხალიბი 4:3, 3:2 |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | მერლანი (ვიტ ჯორჯია), ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი) | მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი, გ. ილურიძე (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 4:6 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), თ. დოლიძე, მოსულიშვილი (?) | ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0, დილა 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0 |
| **თბილისი** *რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალია (თბილისი 2), ლუდუშაური (არ თამაშობდა) | |
| **სამგურალი** *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | |
| **ხობი** *უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| **არსენალი** *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (ლოკომოტივი), ტულუში (?); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, ვიტ ჯორჯია 1:2 |

**შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის**

GhanaNigeria2000

# აფრიკის თასი

განანიგერია-22იანვარი13თებერვალი

III ტური

## D ჯგუფი

**ნიგერია 2:0 მაროკო**

1:0 ფინიდი (29), 2:0 აგაოვა (81)

ნიგერია: შორუნმუ, ოკპარა, იენემი (ოკუნოვო 46), ვესტი, ბაბაიარო, ბაბანგიდა, ადეპოჟუ (ლავალი 77), ოკოჩა, აკვუეგბუ (აგაოვა 46), ფინიდი, კანუ

მაროკო: ფუამი, ნექროიზი, სელამი, აბრამი, საბრი, ჩიბა, ელ ხალეჯი (ბენმაჰმუდი 67), მარიანი, ჰაჯი, ბაჰჯა(ა. რამზი 70), ბასირი (ელ ბადრაუ 45)

**ტუნისი 1:0 კონგო**

1:0 ჯაიდი (17)

ტუნისი: ელ ქუარი, ბადრა, ტრაბელსი, ჯაიდი, ტაბეტი, ბუზაინი (მედჰები 77), ჩიჩი, კანზარი (ბაია 81), გაბსი, ალი ზიტუნი, სელიმი (ჯაზირი 64)

კონგო: სამბა, დიამესონი, ნტუნუ, სერვისი, ტჩიმბაკალა, ნკეუა, ოპონგა, მუიმბუაბეკა, ბოკატოლა-ლოსომბო (ეტა 73), ევოლო, ნანიტელამიო

ჯგუფური ეტაპი დასრულდა. ბოლო დღე ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის ნაადრევი გავარდნით დასრულდა. სპეციალისტებმა D ჯგუფს თავიდანვე სასიკვდილო უწოდეს. აფრიკული ფეხბურთის სამი გრანდი — ნიგერია, მაროკო და ტუნისი მეოთხედფინალის ორ საგზურს ეცილებოდა ერთმანეთს. როგორც გაირკვა, მათგან ზედმეტი მაროკო ყოფილა — ნაკრები, რომელიც ბოლო ორი წელია, აფრიკაში საუკეთესოდ ითვლება.

მოგეხსენებათ, რეგლამენტის თანახმად ბოლო ტურის მატჩები ერთდროულად უნდა დაწყებულიყო. ნიგერიელებმა იეშმაკეს და მინდორზე ცოტაოდენი დაგვიანებით გავიდნენ, რათა მეორე თამაშის შედეგი ადრევე გაეგოთ. ტურის წინ ჯგუფში ასეთი მდგომარეობა იყო. ნიგერიას და მაროკოს შეეძლოთ, მატჩი ფრედ დაესრულებინათ და ნახევარფინალში ორივენი გასულიყვნენ. ამით გუნდები ძალების ზედმეტად ხარჯვას აიცილებდნენ. სხვაგვარად მოხდა, რაც უპირველესად ნიგერიელ გულშემატკივართა დამსახურებაა.

საქმე ისაა, რომ წინა შეხვედრაში კონგოს წინაალმდეგ „სუპერარწივებმა“ მხოლოდ უგოლო ფრე გაახერხეს. ამან ქომაგთა უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია და ფეხბურთელთა მისამართით უამრავი შეურაცხმყოფელი სიტყვა ითქვა. გუშინწინ ტრიბუნებზე შეკრებილი 60 ათასი ნიგერიელი თავის ნაკრებს კიდევ ერთ ფრეს არ აპატიებდა.

თამაში გუნდებმა აქტიურად დაიწყეს. მაროკოელებმა, რომლებსაც აქამდე მხოლოდ ერთი ბურთი გაეტანათ, იკე შორუნმუს კარს მეტად სახიფათოდ შეუტიეს და ბეშიქთაშელ მეკარეს ოსტატობის გამოვლენის საშუალება მისცეს. გულხელდაკრეფილნი არც ტურნირის მასპინძლები იყვნენ. აუგუსტინ ოკოჩამ საჯარიმო დარტყმა კარგად შეასრულა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა. თანაგუნდელისგან განსხვავებით, ჯორჯ ფინიდი უფრო ზუსტი იყო. 25 მეტრიდან მისი ცაციათი დარტყმული ბურთი მაროკოელთა კარის ბადეში გაეხვია. ბეტისელის გოლმა მაროკოელები დააბნია და მათი თამაში ნაკლებ შთამბეჭდავი გახდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი 0:1-ზეც ყაბულს იყვნენ და იმედოვნებდნენ, ტუნისელები კონგოს დიდი ანგარიშით ვერ მოუგებენო. აქედან გამომდინარე, „ატლასის ლომებმა“ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა დაიწყეს. ეს მცდარი ტაქტიკა აღმოჩნდა — ნიგერიელთა შეტევის ხაზი მეტად სოლიდურად გამოიყურებოდა და მისი შეჩერება ძნელი იყო. კარგად თამაშობდა მაროკოელთა მეკარე ხალიდ ფუამი, ვისაც წინა ორ მატჩში გაშვებული გოლის სიმწარე არ ეგემა. ერთ მომენტში მცველთაგან დალალატებულმა, ტიჯანი ბაბანგიდას ბრწყინვალედ აუღო. შემდეგ მაროკოსთვის მომაკვდინებელი 81-ე წუთიც დადგა. ჩრდილოაფრიკელებს შეცვლაზე შესულმა 18 წლის ჯულიუს აგაოვამ ჩასცა ლახვარი. დარჩენილი ცხრა წუთი თამაშის გადასარჩენად მეტად მცირე დრო იყო. ასე რომ, 1986 წლის შემდეგ მაროკოელები პირველად დარჩნენ მეოთხედფინალს მიღმა.

მატჩის შემდეგ ნიგერიელები სიხარულს არ მალავდნენ. მათმა კაპიტანმა მეტიუ ადეპოჟუმ ამაყად განაცხადა: „ამ გამარჯვებით დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერი გუნდის ძლევა შეგვიძლია. კონგოსთან 0:0 შემდეგ გულშემატკივართა წყრომა დავიმსახურეთ, რამაც ძლიერ დაგვალონა. ამიტომ ამ მატჩში მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობდით“.



ნიგერია — მაროკო 2:0. მაროკოელმა ლეჰინ აბრამიმ (№15) ნიგერიელი ტიჯანი ბაბანგიდა უკან მოიტოვა

მაროკოელთა ფრანგი მწვრთნელი ანრი მიშელი ისეთ ხასიათზე იყო, მის მდგომარეობას რომ შეეფერება. „ფრე, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი ბურთით წაგება გვაძლევდა ხელს. ეს ვერ შევძელით. მაგრამ ვერავინ იტყვის, მაროკო ჯგუფიდან გასვლას არ იმსახურებდაო“ — თქვა მიშელმა.

ტუნისელები კონგოს წინაალმდეგ სხვა განწყობით გავიდნენ მინდორზე. მათ მეტოქის დამარცხება უცილობლად სჭირდებოდათ, რაშიც დარწმუნებული იყვნენ. თუმცა ერთი საფიქრალი მაინც ჰქონდათ. როგორ შეებრძოლებოდა ნიგერია მაროკოს? ლაგოსური მატჩის ფრედ დასრულებისას ტუნისელთა გამარჯვებისკენ სწრაფვა აზრს კარგავდა. ამიტომაც შეხვედრის შემდეგ მათ მწვრთნელს, ფრანჩესკო სკოლიოს უთქვამს, ტუნისის მეოთხედფინალში გასვლა მთლიანად აფრიკული ფეხბურთის გამარჯვებაა, რადგან გარიგებული მატჩები აქ უცხო ხილი არ არის და ნიგერიელთა მონდომება ამ მავნე ჩვევის აღმოფხვრას უნდა ნიშნავდესო.

ტუნისელებმა პირველივე წუთებიდან შეუტიეს და მე-17 წუთზე ანგარიშიც გახსნეს — ალი ზიტუნის პასით რადი ჯაიდმა შეაგდო. ტუნისელები მერეც მონდომებით თამაშობდნენ, თუმცა მეორე გოლი ვერა და ვერ გაიტანეს. ეს უპირველესად კონგოელთა მეკარის, ბრის სამბას დამსახურებაა. მან 84-ე წუთზე პენალტის მოგერიებაც შეძლო, რომელიც შეცვლაზე შესულმა იმედ მედჰებიმ დაარტყა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ტუნისი — კონგოს მატჩი მეორესთან შედარებით ცოტა ადრე დაიწყო. ამიტომ მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ტუნისელებს რამდენიმე წუთით მოცდა მოუხდათ. და აი, ცნობა მოვიდა, ნიგერიამ მაროკოს 2:0 მოუგოო. ტუნისელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

გიორგი დარჯანია

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ტუნისი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| მაროკო | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| კონგო | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბარტლეტი (ს. აფრიკა) | 4 |
| ჰასანი (ეგვიპტე) | 3 |
| იკპება (ნიგერია) | 2 |
| ოკოჩა (ნიგერია) | 2 |
| აევუ (განა) | 2 |
| სანუ (ბურკინა ფასო) | 2 |
| კამარა (სენეგალი) | 2 |

**მეოთხედფინალი**

6 თებერვალი

აკრა — კამერუნი — ალჟირი

კუმასი — სამ. აფრიკა — განა

7 თებერვალი

კანო — ეგვიპტე — ტუნისი

ლაგოსი — ნიგერია — სენეგალი

## ჰოლანდია

გამოტოვებული მატჩი

**პსვ 0:1 ფეიენოორდი**

0:1 პაუვე (23)

ქვეყნის ჩემპიონი, როტერდამის „ფეიენოორდი“ გათამაშების ამჟამინდელ ლიდერ პსვ-ს ესტუმრა და 23-ე წუთზე პატრიკ პაუვეს მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით 1:0 დაამარცხა. მართალია, ცხრილის ზედა საფეხურზე ვერ აინაცვლა და ისევ მე-6 ადგილზე დარჩა, მაგრამ ლიდერებს საკმაოდ მიუახლოვდა.

პსვ-მ კი პირველობის განმტკიცების ჩინებული შანსი დაკარგა. იგი კვლავ ლიდერობს, თუმცა უახლოეს მდევარ „ჰერენვენსა“ და „ვიტესს“ 3 ქულითღა უსწრებს. ეს გუნდები კი თავიანთ შეხვედრებს დღეს ჩაატარებენ. 23-ე წუთზე პაუვემ დაახლოებით 25 მეტრიდან ზუსტად დაარტყა საჯარიმო და როტერდამელები დააწინაურა. მერე კი მატჩი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა. თუმც „ფეიენოორდის“ დაცვამ იყოჩაღა და თავისას მიაღწია კიდეც.

მასპინძელთა უპირატესობაზე 18 ჩაწოდებული კუთხურიც მეტყველებს, რასაც სტუმრებმა მხოლოდ სამით უპასუხეს. მაგრამ ეინდჰოვენელები შეტევის დაგვირგვინებისას უხეირო დირჯებოდნენ და გოლი ვერ გაიტანეს.

აღსანიშნავია, რომ „ფეიენოორდმა“ ბოლო 18 წუთი რიცხობრივ უმცირესობაში ჩაატარა — როტერდამელებს ორი ყვითელი ბარათის გამო ნახევარმცველი ვან დერ ვისერი გაუძევეს. თუმც პსვ-მ ვერც ეს შესაძლებლობა გამოიყენა და საბოლოოდ დამარცხდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 19 | 13 | 2 | 4 | 55:15 | 41 |
| ჰერენვენი | 19 | 12 | 2 | 5 | 36:20 | 38 |
| ვიტესი | 20 | 11 | 5 | 4 | 39:28 | 38 |
| აიაქსი | 18 | 11 | 4 | 3 | 48:25 | 37 |
| ტვენტე | 18 | 10 | 6 | 2 | 34:18 | 36 |
| ფეიენოორდი | 18 | 10 | 6 | 2 | 34:18 | 36 |
| ალკმარი | 19 | 10 | 2 | 7 | 37:32 | 32 |
| ვალვაიკი | 19 | 10 | 2 | 7 | 31:35 | 32 |
| როდა | 18 | 9 | 3 | 6 | 29:23 | 30 |
| ტილბურგი | 18 | 9 | 3 | 6 | 30:33 | 30 |
| უტრეხტი | 18 | 7 | 1 | 10 | 28:35 | 22 |
| სპარტა | 18 | 6 | 1 | 11 | 27:39 | 19 |
| გრააფსხაპი | 20 | 3 | 8 | 9 | 22:32 | 17 |
| ნაიმეგენი | 18 | 4 | 4 | 10 | 21:35 | 16 |
| მაასტრიხტი | 19 | 3 | 4 | 12 | 25:43 | 13 |
| სიტარდი | 18 | 2 | 5 | 11 | 20:33 | 11 |
| კამბური | 18 | 2 | 4 | 12 | 16:38 | 10 |
| დენ ბოსხი | 19 | 2 | 4 | 13 | 18:48 | 10 |



წამიც და ბურთი რონალდ ვატერეუსის კარში აღმოჩნდება

## ესპანეთი

თასის მერვედფინალი.

II წრე

**რეალი 2:0 სარაგოსა (0:0)**

1:0 გუტი (1), 2:0 ოგნიენოვიჩი (58)

**თასის მეოთხედფინალის წილისყრა**

ოსასუნა — ბარსელონა; კომპოსტელა — ესპანიოლი; მერიდა — რეალი; ატლეტიკო — რაიო ვალეკანო

*პირველი მატჩები გაიმართება 9 თებერვალს, საპასუხოები — 16 თებერვალს.*

# აზერბაიჯანს ფიფადან გარიცხვა ემუქრება

აზერბაიჯანის სპორტის მინისტრი აბულფას გალაევი საგანგებო ვიზიტით ფიფას შტაბბინას ეწვევა, პრეზიდენტ ზეპ ბლატერს შეხვდება და აზერბაიჯანული ფეხბურთისთვის უაღრესად საჭირბოროტო საკითხზე — ფიფაში ადგილის შენარჩუნებაზე გაესაუბრება.

საქმე ის გახლავთ, რომ აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციამ ოთხშაბათს ფიფადან ოფიციალური შეტყობინება მიიღო, თუ აზერბაიჯანულ ფეხბურთში შექმნილ პრობლემას 7 თებერვალს 12 საათამდე ვერ მოაგვარებთ, ჩვენი რიგებიდან გაირიცხებითო.

ვითარება ჩვენი მეზობელი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში სადღეისოდ მართლაც სავალალოა. იანვარში ფედერაცია, ფაქტობრივად, ორად გაიხლიჩა, ოპოზიციური ნაწილი ამჟამინდელი ხელმძღვანელობის მოღვაწეობით უკმაყოფილოა და აშკარა პროტესტს გამოთქვამს. პირველ დივიზიონში მოასპარეზე რვა გუნდი კი ჩემპიონატის დატოვებასა და ახალი ლიგის ჩამოყალიბებას აპირებს.

ცხადია, აზერბაიჯანულ ფეხბურთში წარმოქმნილ კონფლიქტს ფიფა უარყოფითად გამოეხმაურა და ფედერაციას უახლოეს დღეებში სიტუაციის მოგვარება მოსთხოვა, წინაალმდეგ შემთხვევაში კი მსოფლიოს საფეხბურთო ოჯახიდან მოკვეთით დაემუქრა.

„სპორტის მინისტრი აბულფას გალაევი მომავალ ორშაბათს ციურიხს მიემგზავრება, სადაც ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს შეხვდება. იგი შეეცდება, დაარწმუნოს ფიფას ხელმძღვანელობა, რომ უახლოეს დღეებში ყველაფერი გადაწყდება და ფედერაციაში წარმოქმნილ დაპირისპირებას ბოლო მოეღება“ — იუწყება სპორტის სამინისტროს პრესატაშე.




იყიდება

როტვეილერის ლეკვები

☎ 39 42 65

დარეკეთ 12-დან 17 საათამდე

გიო ახვლედიანის

## სვეტი

### ტრავმებისა და წასვლისა

ამასწინეებზე დაიმტვრა მაიკლ ოუენი, უკვე მესამედ ამ სეზონში. უკეთეს შემთხვევაში სეზონის ბოლოს გამოჩნდება მინდორზე, უარეს შემთხვევაში ახალი სეზონის დასაწყისს. ყველაზე ნიჭიერი და სახელგავარდნილი ინგლისელი ყმაწვილის ტრავმა იქედან თუ მოდის, რომ მის ახალგაზრდა ზურგს ოცი კაცისა აჰკიდეს და ამ ოქრობიჭს ჩამუხლვის საშუალებაც არ მისცეს.

ახლა მოუწევთ.

თქვენი არ ვიცი და ოუენის ამბავმა, რონალდოს ამბავი გამახსენა.

რამდენი ხანია ბრაზილიელი წელში არ გამართულა? შემოდგომაზე წაითამაშა და ეგ იყო — ახლა აპრილში ველით. რონალდოს ვარსკვლავობასა და კარგ ფეხბურთელობაზე უკვე ავი ანეკდოტები გამოჩნდა. თამაში აღარ უნდაო, საზოგადო მოღვაწეობაო, უკვე იმდენი ფული აქვს, რომ ფეხბურთი აღარ აინტერესებსო.

არა მგონია.

რონალდოს თამაშიც უნდა და კიდეც თამაშობს.

ის კი ნაღდად სიმპტომატური ხდება, რომ სიყმაწვილეში გავარსკვლავებული ფეხბურთელები გამორჩეულად მძიმე და სადავიდარაბო ტრავმებით წაიქცევიან ხოლმე. აგერ ორი საუცხოო სახელი და აგერ ორი მაგალითი. ეს რა თქმა უნდა იმ ტვირთის ბრალია, მათ რომ აწევთ ზურგზე, მაგრამ, მეორეს მხრივ ჩვენსავე ნათქვამს შევედავებით.

განა გამორიცხულია, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მორიგი ტრავმის შემდეგ ამ ბიჭებმა თქვან, წავედით ისეთ უსაფრთხო და ისეთსავე მდიდარ ბიზნესში, როგორიც ვთქვათ, რეკლამააო? იქ არ წყდება ორთავა კუნთები, არ კვეთენ მყესებს და საერთოდ... შოუს ფეხბურთელები ვიქნებით, ფულს დავითვლით და ხანდახან მოედანზეც გავალთო.

იცით, რას ვამბობ?

დიეგო მარადონა სამ წელიწადს წვალობდა ფეხბურთიდან წასვლის გადაწყვეტილებაზე. ვერ მიდიოდა.

განა რა დარჩენოდა? მაგრამ არა, მხვნეშელი, ავადმყოფი, ჯიუტად ირგებდა „ბოკას“ მაისურს. მერე უცებ იტყოდა წავედიო. მერე ისევ დაბრუნდებოდა: გოლები მხოლოდ პენალტებით გაჰქონდა, კოკაინს ეტანებოდა, მაინც ვერ წყდებოდა „ბომბონიერას“.

იმის თქმა მინდა, რომ რონალდოს და მაიკლ ოუენს ფეხბურთიდან წასვლის პრობლემა არ ექნებათ. იქ ის ჯიგარი არ იტრიალებს, იმავ ჯორჯ ბესტს რომ ამერიკის და ირლანდიის სასაცილო კლუბებში დაატარებდა.

ისიც გამორიცხულია, რომ რონალდოსა და ოუენს მარადონას და ბესტის პრობლემები გაუჩნდეთ ოდესმე და ლოთობისა და წამლების გამო მოხვდნენ მედიის თვალის არეში. არ არის ეს ის ხალხი. ფეხბურთელობამ სულ სხვა სიბრტყეში გადაინაცვლა. ბიზნესი ბიზნესად, მაგრამ საზოგადოების წესიერ, რიგით მდიდრებად ჩამოყალიბება მომხიბვლელი და საჭირო ამბავი ხდება. ფეხბურთელი ნაღდ, კანონისდამჯერ ბურჟუად იქცევა, ბურჟუობას კი თავისი კანონები აქვს.

ამიტომ...

თუმცა, ეგებ ასეც სჯობდეს.

# ჯერ მწვრთნელობა არ მსურს



ხრისტო სტოიჩკოვი

ბულგარელმა ხრისტო სტოიჩკოვმა კატეგორიულად უარყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში რუმინეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე კრაიოვას „უნივერსიტატიაში“ მთავარ მწვრთნელად იმუშავებს.

ეს ინფორმაცია ამ რამდენიმე დღის წინ სტოიჩკოვის პირადმა აგენტმა იოან ბაჩელიმ გაავრცელა.

როგორც ხრისტომ ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსთან ინტერვიუში აღნიშნა, იგი ჯერჯერობით არც ერთი გუნდის მწვრთნელობას არ აპირებს. „ამ საკითხის თაობაზე არავის შევხვედრივარ და ალბათ არც ახლო მომავალში შევხვდები. ამჟამად ბულგარეთის ნაკრების აღმასრულებელი დირექტორი ვარ, ეს პოსტი კი ჯერჯერობით სავსებით მაკმაყოფილებს“ — აცხადებს სტოიჩკოვი, ბულგარული ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელმაც დიდი ფეხბურთის თამაშს ერთი წლის წინ დაანება თავი.

# ფრაიბურგი იაშვილს შეჰყურებს

## ცოტაც მოვიცადოთ, ამბობს ფინკე

წუხელ „დორტმუნდი“ — „კაიზერსლაუტერნისა“ და „ჰანზა“ — „ჰერტას“ მატჩებით ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეორე წრე გაიხსნა. ცენტრალური მატჩი კი ხვალ გაიმართება. მესამე ადგილზე მყოფი „ჰამბურგი“ ლიდერ მიუნხენის „ბაიერნს“ უმასპინძლებს. თუმცა ჩვენთვის „ფრაიბურგი“ — „ულმის“ შეხვედრა უფრო საინტერესო იქნება. „ფრაიბურგის“ ქომაგებს დღევანდელ მატჩში ყველაზე მეტად ქართველი თავდამსხმელის, ალექსანდრე იაშვილის ეიმედებათ.

„იგი კარგ ფორმაშია. თუმცა ცოტა ხანს კიდევ მოგვიწევს მოცდა, მერე კი, დარწმუნებული ვარ, ძველ იაშვილსაც ვიხილავთ“ — განუცხადა ფინკემ ორი დღის წინ პოპულარულ გერმანულ გამოცემა „კიკერს“.

გერმანელმა ჟურნალისტებმა გამოთვალეს, რომ იაშვილმა მოსამზადებელი ეტაპის დროს გამართულ 4 საკონტროლო მატჩში 305 წუთი დაჰყო მინდორზე და სამი გოლიც გაიტანა.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ იაშვილი დღეს ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, რადგან მიმდინარე სეზონის საუკეთესო ბომბარდირი, ტუნისელი ადელ სელიმი ნაკრებთან ერთად აფრიკის თასზე გამოდის. იქაა ფრაიბურგელთა კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი ზუბეიარ ბაიაც.

ამათ გარდა „ფრაიბურგს“ დღეს არც ცქიტიშვილი, კორელი, შუმანი და გიუნეში ეყოლება. ისინი ტრავმირებულნი არიან. ორი ფეხბურთელი ულმელებმაც მოისაკლისეს. ამ გუნდებს შორის პირველი წრის მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა.

ახლა ორიოდე სიტყვა ტურის ცენტრალურ მატჩზეც ვთქვათ.

„ჰამბურგს“ „ბაიერნისგან“ ხუთი ქულა აშორებს. ამიტომ დღეს მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემპიონობის კანდიდატთა რაოდენობა ორამდე შემცირდება. „ჰამბურგის“ საკონტროლო მატჩების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მასპინძლები მეორე წრისთვის კარგად მომზადებულნი არ უნდა იყვნენ. მათ ყველა მატჩი წააგეს, უმეტესობა ძალიან დიდი ანგარიშით, თუმცა ხვალ რა მოხდება, არავინ იცის.

წაფორხილების შემთხვევაში, შესაძლოა „ბაიერნმა“ პირველი ადგილი დაკარგოს, რადგან მეორე საფეხურზე მყოფი „ლევერკუზენი“ ერთ-ერთ აუტსაიდერ „დუისბურგთან“ იოლ გამარჯვებას გეგმავს. კრისტოფ დაუმის შეგირდები დღეს ალბათ იოლად მოიგებენ და ამაში ვერც გუნდის ლიდერ ულფ კირსტენის ტრავმა შეუშლით ხელს. კირსტენი დაშავებულია, მაგრამ სამაგიეროდ ბრაზილიელი ემერსონია მწყობრში. მასზე ბოლოს დიდი ტაციაობაა ატეხილი. განსაკუთრებით იტალიური „რომა“ და მისი მწვრთნელი ფაბიო კაპელი აქტიურობენ. თუმცა დაუმმა ყველა მსურველი სასტიკი უარით გაისტუმრა, ეგ ბიჭი ჯერ ჩვენ გვჭირდებაო. ასე რომ, ემერსონი დღეს მინდორზე იქნება და ლიტველი გინტარას სტაუჩეს კარის დალაშქვრასაც შეეცდება. სხვა მატჩებში აღსანიშნავი არაფერია. მხოლოდ ისაა გამოსაყოფი, რომ კლუბების უმეტესობა მეორე წრეს შემადგენლობის მხრივ საკმაოდ შესუსტებული შეხვდება. თითქმის ყველა გუნდს ტრავმირებული ფეხბურთელების პრობლემა აწუხებს.

რაც შეეხება ახალწვეულებს, მათი რიცხვი არც ისე დიდია. წრეებს შორის შესვენება გერმანულმა კლუბებმა პასიურად გამოიყენეს. ზამთრის პერიოდში არც ერთი მნიშვნელოვანი ტრანსფერი არ განხორციელებულა.

„აინტრახტს“ ტრანსფერისთვის სულაც არ სცალია. ეს გუნდი მეორე წრეს ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ხვდება ასწლიანი ისტორიის მქონე კლუბი დღესდღეობით ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას. შეგახსენებთ, ფრანკფურტელები ახლახან უპრეზიდენტოდ დარჩნენ. როლფ ჰელერი „აინტრახტის“ მმართველმა საბჭომ იაძულა თანამდებობიდან წასულიყო. გუნდს ვალები აწუხებს და ამის გამო ლიცენზიის ჩამორთმევას უპირებენ. ეს კი თავისთავად მის გაუქმებას გამოიწვევს.

უპრეზიდენტო და აფორიაქებული „აინტრახტი“ კვირას „უნტერჰახინგს“ სტუმრობს.

ვანო ოქროპირიძე

# სვასტიკა სტადიონზე

იტალიური ფეხბურთი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას — ნეოფაშიზმმა სტადიონებზე შეაღწია. კვირას „ლაციო“ — „ბარის“ შეხვედრისას რომაელმა ქომაგებმა ტრიბუნაზე ტრანსპარანტი გამოფინეს, რომელზეც ეწერა: „დიდება და პატივი ვეფხვ არკანს“. არკანი სერბთა საველე მეთაური იყო და ცოტაოდენი ხნის წინ ბელგრადში, გაურკვეველ ვითარებაში დახვრიტეს. სად ფეხბურთი და სად პოლიტიკაო? — იკითხავთ. მართლაც საკვირველია, თუმცა სტადიონზე ათიათასობით ადამიანი იყრის თავს, ტელეკამერებიც იქვეა და საკუთარი იდეების თუ შეხედულებების გასავრცელებლად ეს მშვენიერი ადგილია. ვწერდით, ხორვატი ალენ ბოკშიჩი ამ ტრანსპარანტის შინარსს ისე აღუშფოთებია, უთქვამს, მინდორზე ფეხს არ გავადგამო. ბოკშიჩი მარტო არ არის. იტალიის ხელისუფალნიც ასე ფიქრობენ. მათ კანონიც უმაგრებთ ზურგს — აპენინებზე ყოველგვარი რასისტული თუ ფაშისტური პროპაგანდა აკრძალულია (აქვე შეგახსენებთ, რომ მავან გულშემატკივარს ბენიტო მუსოლინის უზარმაზარი პორტრეტიც ეკავა). ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრს მატჩის შემდეგ განუცხადებია, სვასტიკიანი ხალხი მომრავლდა და ბრძოლა უნდა გავუმართოთო. ვინაიდან ამგვარი რამეები ძირითადად საფეხბურთო მატჩების დროს ხდება, საქმეში იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლუჩიანო ნიცოლაც ჩაერია. ნიცოლა მინისტრს შეხვდა, ითათბირეს და გადაწყვეტილება მიიღეს. ამიერიდან ტრიბუნებზე რასისტულ-ფაშისტური პლაკატების და სურათების გამოფენა იკრძალება. ამ მოთხოვნის შესრულებას მატჩებზე საგანგებოდ მივლინებული პოლიციელთა ჯგუფები გააკონტროლებენ. რა მოხდება დაუმორჩილებლობის შემთხვევაში? პოლიციის და არბიტრის შეთანხმებული ქმედებით თამაში 45 წუთით გადაიდება. თუ ამ გაფრთხილებამაც არ იმოქმედა, მსაჯი ფეხბურთელებს გასახდელისკენ გაუძღვება და ფაშისტთა ქომაგობაში შემჩნეულ გუნდს 0:2 წაგებას ჩაუთვლიან. იმედოვნებენ, რომ ეს მეთოდი ეფექტური იქნება.



ზინედინ ზიდანს და ედგარ დავიდსს მაისურებზე აწერიათ: ძირს რასიზმი, ნაციზმი და ძალადობა

ახალ წესს უმალ მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ. ისინი რამდენიმე კითხვას სვამენ, რომელზე პასუხის გაცემაც არც ისე ადვილია. რა მოხდება, თუ ექსტრემისტი ქომაგები შეტევაზე გადავლენ და არეულობების მოწყობას შეეცდებიან? რა მოხდება, თუ თამაშის საყურებლად მისული დანარჩენი გულშემატკივრები მათ წესრიგის დაცვისკენ მოუწოდებენ? ერთმა არასწორმა სიტყვამ ან მოქმედებამ შესაძლოა ტრიბუნებზე სისხლისღვრა გამოიწვიოს. ანდა რა დააშავეს კლუბებმა, რომლებიც სხვათა დანაშაულის გამო დაისაჯებიან? როგორც ვხედავთ, კითხვები მართლაც სერიოზულია. პასუხი კი მორიგ ტურში დედაქალაქურმა დერბიმ უნდა გაგვცეს. რატომ მაინცდამაინც „ლაციო“ — „რომას“ მატჩმა? „ლაციო“ იტალიელ ნეოფაშისტთა საყვარელი გუნდია. შორეულ 30-იან წლებში მისი თავგადაკლული ქომაგი თვით ბენიტო მუსოლინი იყო. „რომა“ კი იმით არის ცნობილი, რომ მას მეტწილად იტალიაში მცხოვრები ებრაელები ქომაგობენ. 1998 წელს ამ კლუბების მატჩი დიდი შეტაკებითაც დასრულებულა.

გიორგი დარჯანია

## საჭირბოროტო
## კითხვა — პასუხი

***— ფეხბურთელს ცოლი არ უნდა ყავდეს?***

— გააჩნია რა შემთხვევაში.

***— შემთხვევა რად უნდა? ფეხბურთელი ბერი კი არ არის.***

— აი, ზიდანს უნდა ჰყავდეს ცოლშვილი და ჰყავს კიდეც.

***— რივალდოს?***

— რივალდოსაც, მაგრამ შვილს უნდა მიხედოს.

***— რატომ?***

— რო არ გაბლატავდეს, რივალდიჩი ვარო.

***— და ზიდანიჩი არ გაბლატავდება?***

— არა, ეგ სხვა ოჯახი ჩანს.

***— შვილებზე არ გეუბნები, ცოლზე ვამბობ.***

— ცოლი? აგერ სქოულზმა ბავშვობის შეყვარებული შეირთო.

***— მერე, არ უნდა შეერთო?***

— სქოულზს კი უნდა შეერთო.

***— ჰოდლი ხო გაშორდა ცოლს?***

— ფეხბურთელობისას ყავდა.

***— მერე რატომ გაშორდა?***

— დემონების ამბავში ვერ მორიგდებოდნენ.

***— მაინც ვერ გავიგე, უნდა ყავდეს ფეხბურთელს ცოლი, თუ არ უნდა ყავდეს?***

— ფეხბურთელს გააჩნია.

***— ვთქვათ, შუკერს...***

— შუკერს უნდა ყავდეს.

***— ფიგუს?***

— იცი რა, ბექემს არ უნდა ყავდეს.

***— რატომ?***

— წაახდენს ეგ ქალი.

***— წაახდენს კი არა ხალხში გამოიყვანა.***

— ბექემს ხალხში გამოყვანა არ ჭირდება. ბექემი მინდორზე უნდა გამოვიდეს.

***— გამოდის მერე, რა გინდა?***

— ახ, ბიჭობაში რო გადიოდა, ისე უნდა გადიოდეს.

***— რა გინდა? კაცი მეორეა.***

— ვიქტორია არ მინდა.

***— ადამიანებს უყვართ ერთმანეთი.***

— უყვართ, მაგრამ ეგ ქალი ფეხბურთის ყურებაში მიშლის ხელს.

***— ეგ როგორ?***

— როგორ და, რო გამოვა ბექემი, ვფიქრობ ვიქტორიას ქმარი გამოვიდაო. მგონი, თვითონაც ეგრე ფიქრობს, ვიქტორიას ქმარი გამოვედიო.

***— დიდი რამე, დედოფალ ვიქტორიას სულ არ ჰყავდა ქმარი.***

— ეს ვიქტორია და ის ვიქტორია შევადაროთ?

***— და გაზა?***

— ეჰ, გაზა.

***— გაზას უნდა შეერთო ცოლი?***

— მაგ შემთხვევაში ცოლი არ წყვეტდა.

***— აბა, რას ასილაქებდა?***

— ხელი გაექცა.

***— ესე იგი მთავარი ცოლი არ იყო?***

— მთავარი იყო, არის და იქნება გაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უიღბლონი

## 100 იუბილარი

**იტალიაში** არსებობს საფეხბურთო კლუბი, რომელიც დღესდღეობით არა მარტო ამ ქვეყნის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთ გრანდად ითვლება, მას ამასთანავე სუპერკლუბსაც უწოდებენ.

უცნაურია, მაგრამ ასეთ გუნდს ერთი მეტსახელიც შეარქვეს — უიღბლონი...

რომის „ლაციოზე" ვლაპარაკობთ, მსოფლიოში უძლიერესი ლიგის, სერია A-ს ერთ-ერთ ლიდერზე, რომელსაც 9 იანვარს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა.

დღეს ყველამ იცის რომ „ლაციო" ძლიერი გუნდია. ფულიანი პატრონი ჰყავს. „ლაციო" ის გუნდია, რომელმაც გასულ ზაფხულს, ერთი წლის წინ მადრიდის „ატლეტიკოდან" 20 მილიონ დოლარად შეძენილი ფორვარდი კრისტიან ვიერი მილანის „ინტერს" 50 მილიონად მიჰყიდა. „ლაციოს" ვაჭრობა ეხერხება და ახლაც რეკორდისთვის ემზადება — მზად არის, ესპანურ „ბარსელონას" ბრაზილიელ რივალდოში 62 მილიონი(!) ამერიკული დოლარი გადაუხადოს.

ეს დღესაა, მაგრამ რა იყო მაშინ, ასი წლის წინათ, რამ გამოიწვია იტალიაში კიდევ ერთი საფეხბურთო კლუბის დაარსება? იმ დროს ხომ უკვე არსებობდა „ჯენოა", „ლივორნო", „იუვენტუსი", „მილანი", „ვერონა"...

### ოფიცერი ლუიჯი

რომაული კლუბის სრული სახელწოდება SS LAZIO (სოსიეტა სპორტივა ლაციო) გახლავთ. როგორც გითხარით, საფეხბურთო კლუბები იტალიას მანამდეც ჰყავდა, მაგრამ „ლაციო" პირველი დედაქალაქური გუნდია.

1900 წლის 9 იანვარს ცხრა მეგობარმა, რომელთაც ახალგაზრდა სამხედრო ოფიცერი ლუიჯი ბიგარელი ხელმძღვანელობდა, დააარსეს კლუბი, რომელსაც „სოსიეტა პოდისტიკა ლაციო" უწოდეს. თავიდან კლუბი წმინდა საფეხბურთოდ არ ითვლებოდა, მისი წევრები სპორტის სხვადასხვა სახეობას მისდევდნენ. თავად სახელი — ლაციო იმ რაიონისგან შეარჩიეს, რომელიც მარადიულ ქალაქ რომში მდებარეობს. აი, კლუბის ფერებს, თეთრ-ლურჯს, რატომღაც ბერძნულ დროშას დაესესხნენ.

საფეხბურთო კლუბად კი „ლაციო" დაარსებიდან ორი წლის შემდეგ იქცა. თუმცა 1907 წლამდე გუნდი, რომ იტყვიან, კარჩაკეტილად ცხოვრობდა, თავის ნაჭუჭში, რომში ტრიალებდა. პირველი ოფიციალური მატჩები კი დედაქალაქელებმა იმავე წელს გამართეს, რომს გასცდნენ და პიზაში ჩავიდნენ, სადაც მასპინძელთა გარდა „ლუკა" და „ლივორნო" მონაწილეობდნენ. რომაელებმა სამივე მეტოქეს სძლიეს და პირველი ტიტულიც მოიგეს, თუმც ეს ტურნირი მაინც არაოფიციალური სტატუსისა გახლდათ. აღსანიშნავი კი ისაა, რომ „ლაციომ" სამივე მეტოქე ერთ დღეს(!) დაამარცხა.

პირველი ოფიციალური ტიტული „ლაციომ" მოგვიანებით მოიპოვა — 1912-13 წლებში „ჯირონ ლაციალეს" თასს დაეუფლა. იმავე წელს კი გუნდი სკუდეტოსთვის ბრძოლაში ჩაება.

„ლაციომ" ფინალსაც მიაღწია, ცოტაც და პირველ ჩემპიონობასაც იზეიმებდა, მაგრამ ვინ აცალა, იმ დროს საკმაოდ ცნობილ „პრო ვერჩელისთან" წააგო. რომაელები მომდევნო სეზონშიც ფინალში გავიდნენ, მაგრამ... „ლაციო" უსუსური აღმოჩნდა, გუნდი „კასალესთან" ორი მატჩის ჯამში 1:9 განადგურდა. უიღბლობა მთელი 9 წელი გაგრძელდა და აი, 1923 წელს კვლავ სკუდეტოსთვის ბრძოლა. „ლაციოს" ფინალში მასზე უძველესი, ცნობილი „ჯენოა" შეება. ორი შეხვედრის ჯამში გენუელებმა რომაელთაგან ქვა ქვაზე არ დატოვეს და... 6:1 სძლიეს.

### სილვიო პიოლა

30-იანი წლებიდან იტალიის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი უფრო ორგანიზებული გახდა და დაარსდა დღესდღეობით მსოფლიოში უძლიერესი ლიგა — სერია A. „ლაციოც", ბუნებრივია, რჩეულთა მარაქაში გაერია. 1937 წელს გუნდმა ჩემპიონობის ბრწყინვალე შანსი დაკარგა ხელიდან და მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა. იმ დროს „ლაციოს" ლურჯ-თეთრი მაისურით სილვიო პიოლა თამაშობდა, რომელსაც 1938 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სუპერვარსკვლავი უწოდეს. პიოლას ეკუთვნის სერია A-ს ერთი რეკორდიც, რომელიც ჯერჯერობით და ალბათ კარგა ხანს დაუმხობელი იქნება. პიოლამ თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე სერია A-ში 290 ბურთი გაიტანა, აქედან 143 „ლაციოს" მაისურით. 50-იან წლებში „ლაციო" მუდამ ლიდერთა შორის იყო, მისი საუკეთესო შედეგი კი მესამე-მეოთხე ადგილი გახლდათ. 1958 წელს კი რომაულმა გუნდმა პირველი ჯილდო — იტალიის თასი მოიგო. პიერინო პრინის ერთადერთი გოლით დედაქალაქელებმა ფლორენციის „ფიორენტინა" დაამარცხეს 1:0. იმავე სეზონში ისინი ვერცხლის მედლებსაც დაეუფლნენ.



1999 წლის 19 მაისი. „ლაციოს" პრეზიდენტ სერჯიო კრანიოტის (მარცხნივ) და მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს პირველი ევროპული ჯილდო — თასთა თასი უპყრიათ

### ოქროს ხანა

60-იანი წლებიდან „ლაციოს" კვლავ ჩავარდნის პერიოდი დაუდგა. 61-ში გუნდი სერია B-ში გავარდა, სადაც სამი წელი დაჰყო. სერია A-ში „ლაციო" ჯეროვნად ვერ დაბრუნდა და სამ წელიწადში, 1967 წელს კვლავ ნაცნობ ლიგაში, სერია B-ში ამოჰყო თავი.

70-იანი წლები, „ოქროს ხანადაა" წოდებული „ლაციოს" ასწლოვან ისტორიაში. გუნდმა პირველად და უკანასკნელად სკუდეტო, იტალიის ჩემპიონობა მოიგო. 72-ში კლუბი სერია A-ში დაბრუნდა და იმავე წელს მეორე იყო, ნელნელა უახლოვდებოდა მწვერვალს და 1973-74 წლების სეზონში ჩემპიონიც გახდა. მაშინდელი წარმატება ჯორჯო კინალიას სახელს უკავშირდება. კლუბის საუკეთესო თავდამსხმელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

„ლაციომ" იტალიის ჩემპიონობა კი მოიპოვა, მაგრამ ევროპის ჩემპიონთა თასზე მაინც ვერ ითამაშა. უეფამ რომაული კლუბი ევროთასებს ერთი წლით ჩამოაშორა. რატომ? წინა წელს, უეფას თასზე, „ლაციო" ინგლისურ „იფსვიჩ თაუნთან" ორი მატჩის ჯამში 2:8 განადგურდა. გადარეულმა ტიფოზებმა წაგება ვერ იგუეს და მასობრივი დებოში და არეულობა მოაწყვეს. უეფამაც კარისკენ მიუთითა — ერთი წლით თავისუფლები ხართო.

მერე კი კვლავ ჩავარდნა. 1976 წელს „ლაციოს" ქომაგთა კერპმა კინალიამ ამერიკას მიაშურა სათამაშოდ, ხოლო ჩემპიონი გუნდის ერთი ფეხბურთელი ყოვლად უაზრო და ტრაგიკულმა შემთხვევამ შეიწირა.

ლუჩანო რე ჩეკონი სათამაშო იარაღით საიუველირო მაღაზიაში შეიჭრა და გამყიდველს ძვირფასეულობა მოსთხოვა. უწყინარი ხუმრობა საბედისწეროდ დასრულდა. მაღაზიის გამყიდველმა ფეხბურთელი ნამდვილ მძარცველად ჩათვალა და მომხვდური სასიკვდილოდ დაჭრა.

„ლაციოს" უიღბლობა ამის მერეც გაგრძელდა. 80-იან წლებში გუნდი კვლავ ქვედა ლიგაში გავარდა, 87-ში კი სერია C1-ში დაქვეითების საფრთხე დაემუქრა. იმ წელს „ლაციომ" სერია B-ში მე-16 ადგილი დაიკავა და პლეი ოფში „კამპობასოს" შეხვდა. რომაელებმა ძალ-ღონე მოიკრიბეს, მეტოქე 1:0 დაამარცხეს და უდიდეს სირცხვილს გადაურჩნენ. „ლაციო" ლიგაში დარჩა.

### ახალი ერა სერჯიო კრანიოტი

რომის „ლაციოს" ხელახალი აღზევება 90-იანი წლებიდან იწყება. ყოველივეს კი ერთი კაცის სახელს უკავშირებენ — სერჯიო კრანიოტი, იტალიაში საკმაოდ ცნობილი საკვები პროდუქტების მწარმოებელი ფირმა CIRIO-ს მფლობელი.

სინიორ კრანიოტიმ ფეხბურთში დიდი ფულის ჩადება განიზრახა, ასეც მოიქცა და შედეგსაც ნაბიჯ-ნაბიჯ იმკის.

„ლაციოს" ახალმა მფლობელმა ძლიერი ფეხბურთელების შესაძენად მილიონობით დოლარი არ დაიშურა და დედაქალაქს ვარსკვლავებიც მრავლად მოაწყდნენ: ინგლისელი პოლ გესქოინი, ხორვატი ალენ ბოკშიჩი, გერმანელები კარლ-ჰაინც რიდლე და თომას დოლი, ჰოლანდიელი არონ მოჰამედ ვინტერი. 90-იანების დასაწყისში კი კლუბის სუპერვარსკვლავი იტალიელი თავდამსხმელი ჯუზეპე სინიორი იყო. ბეპე (სინიორის ასეც ეძახიან) ხუთი წლის მანძილზე იცავდა „ლაციოს" ღირსებას, რომლის რიგებშიც ზედიზედ სამჯერ(!) გახდა სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი. სინიორი გადარეულ რომაელ ტიფოზთა კერპი შეიქნა. მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ სინიორის, თავიანთ საყვარელ ფეხბურთელს, ოდესმე საყვარელი გუნდის მაისურით ვერ იხილავდნენ. ეს ამბავი კი სამი წლის წინ მოხდა. ხომ გაგიგიათ, ფული ჯოჯოხეთს ანათებსო. ჰოდა, კრანიოტის სქელი ჯიბის წყალობით „ლაციოში" ვარსკვლავებმა მოიყარეს თავი. თავდასხმის ხაზში პიერლუიჯი კაზირაგი, ალენ ბოკშიჩი, იგორ პროტი და ბეპე სინიორი იყვნენ. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ კრანიოტიმ ასე ჩათვალა, ჯუზეპე სინიორის თუ ვერ გაყიდდნენ, იჯარით მაინც უნდა გაეშვათ.

**ლაციო** რომი, იტალია

*დაარსდა: 09.01.1900*
*პრეზიდენტი: სერჯიო კრანიოტი*
*გენერალური მენეჯერი: ნელო ჯოვერნატო*
*დირექტორი: გაბრიელა გრაცი*
*მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი (შვედეთი)*
*სტადიონი: „სტადიო ოლიმპიკო" (ტევადობა 83 000)*
*იტალიის ჩემპიონი (1): 1974*
*იტალიის თასის მფლობელი (2): 1958, 98*
*იტალიის სუპერთასის მფლობელი (1): 1998*
*ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1): 1999 (ფინალი მოუგო ესპანურ „მალიორკას" 2:1)*
*ევროპის სუპერთასის მფლობელი (1): 1999 (მოუგო ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედს" 1:0)*
*კაპიტანი: ალესანდრო ნესტა*
*კლუბის გენერალური სპონსორი: CIRIO*

პრეზიდენტმა და მფლობელმა ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ მის რეზიდენციას გულშემატკივართა ნაკადი მიაწყდა ერთადერთი მოთხოვნით — სინიორის ვერ გაუშვებთ, თუ გაყიდით, აგაფეთქებთო. ტიფოზთა დაშლა კარაბინერებმა წყლის ჭავლებით შეძლეს, თუმც რამდენიმემ მაინც მოასწრო კრანიოტის ოფისის შუშების ქვებით ჩალეწვა.

მოსახდენი მაინც მოხდა. „ლაციომ" ბეპე სინიორი გენუის „სამპდორიას" ათხოვა. ერთი წლის მერე ფორვარდი მშობლიურ კლუბში დაბრუნდა, მაგრამ სინიორი უკვე ძველი ბეპე აღარ იყო და იგიც საბოლოოდ დასცილდა „ლაციოს", „ბოლონიაში" გადავიდა.

1992-93 წლების სეზონიდან მოყოლებული „ლაციო" მუდამ საუკეთესო ხუთეულშია. 1995-ში იგი მეორე იყო „იუვენტუსის" შემდეგ, 96-ში — მესამე, 94 და 96-ში კი მეოთხე.

სერჯიო კრანიოტი ხომ კლუბის მფლობელი და საპატიო პრეზიდენტია, მაგრამ ერთი ხანობა „ლაციოს" პრეზიდენტი „პაპა დინო" — დინო ძოფი გახლდათ. იტალიის ეროვნული ნაკრების ახლანდელმა მწვრთნელმა, ვიდრე „სკუადრა ატურას" ჩააბარებდნენ, კლუბში მწვრთნელადაც წაიმუშავა. როდესაც ძოფი ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს, მან „ლაციოზე" ყველანაირი პასუხისმგებლობა მოიხსნა და ნაკრებზე გადაერთო. სერჯიო კრანიოტიმაც რომის „ლაციოს" თავკაცობა გამოცდილ და საქმეში კარგად ჩახედულ ცბიერ შვედს, სვენ გორან ერიკსონს შესთავაზა.

### 50 მილიონი

და დაიწყო... ახალმა მწვრთნელმა პირველ რიგში კრანიოტის მოსთხოვა, ძლიერი ფეხბურთელები მჭირდებაო. ამისთვის კი ყველამ კარგად იცის, რაც არის საჭირო. პრეზიდენტ-მფლობელმა ყოველგვარი დახმარება აღუთქვა ერიკსონს და „ლაციოშიც" გამოჩნდნენ: რობერტო მანჩინი, კრისტიან ვიერი, ჩილელი მარსელო სალასი, იუგოსლავი სინიშა მიხაილოვიჩი, ჩეხი პაველ ნედვედი, ასევე იუგოსლაველი დეიან სტანკოვიჩი, პორტუგალიელები სერჟიო კონსეისაო და ფერნანდო კოუტუ, არგენტინელი მატიას ალმეიდა, ესპანელი ივან დე ლა პენია და სხვები. სამაგიეროდ, გუნდი ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს, პიერლუიჯი კაზირაგის შეელია. შედეგმაც არ დააყოვნა. „ლაციომ" 1999 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო. ეს კლუბის ისტორიაში პირველი ჯილდო იყო. ფინალური მატჩის მიწურულს პაველ ნედვედის მოქნეულმა მარჯვენამ ესპანური „მალიორკა" იმსხვერპლა. ამას ევროპის სუპერთასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხება მოჰყვა. 1998 წელს, 40-წლიანი შესვენების შემდეგ, „ლაციომ" იტალიის თასი დაისაკუთრა, ორმატჩიან ფინალში „მილანს" 3:2 სძლია. ყველაზე დიდი იმედგაცრუება ერიკსონის ბიჭებისთვის შარშანდელი იტალიის ჩემპიონატი იყო. გუნდი თითქმის მთელი პირველობის განმავლობაში ლიდერობდა და ის-ის იყო, ყველას აფიქრებინა, „ლაციომ" მეორედ მოიპოვა სკუდეტოო, როცა... ორი ტურით ადრე პირველობა „მილანს" გადააბარა. ალბერტო ძაკერონის გუნდს ბოლო მატჩი პერუჯაში ჰქონდა, ერიკსონისას კი რომში, „პარმასთან". „ლაციოს" უნდა მოეგო, ამავე დროს არ უნდა ემარჯვა „მილანს". ორივე მატჩი 2:1 დასრულდა. რომში სალასისა და ნედვედის გოლებით „პარმა" დამარცხებულია, მაგრამ... პერუჯაში „მილანი" ხარობდა.

წლევანდელი სეზონის დაწყებამდე რომაული კლუბი კვლავ მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. გუნდმა ფორვარდი კრისტიან ვიერი აქამდე გაუგონარ თანხად, 50 მილიონ ამერიკულ დოლარად მილანის „ინტერში" გაყიდა, სამაგიეროდ, იმ ფულით სამი არგენტინელი — ხუან სებასტიან ვერონი, დიეგო პაბლო სიმეონე, ნესტორ სენსინი და იტალიელი თავდამსხმელი სიმონე ინძაგი შეიძინა.

დღეს „ლაციო" კვლავაც სკუდეტოსთვის იბრძვის. აკი განაცხადა ამ ცოტა ხნის წინ სერჯიო კრანიოტიმ, თუ გუნდი ჩემპიონი ვერ გახდება, ერიკსონს თანამდებობიდან წასვლა მოუწევსო. 19 ტურის შემდეგ „ლაციო" 39 ქულით მეორეა და ერთით ჩამორჩება „იუვენტუსს". ერთი სიტყვით, უიღბლობიდან ჩემპიონობამდე ჯერ კიდევ 15 ტურია, ერიკსონის ბედიც გაზაფხულზე გადაწყდება.

გუნდს არა მარტო იტალიის ჩემპიონობის, ევროპაში თავისი მესამე ტიტულის მოპოვებაც დაუსახავს მიზნად. „ლაციოს" ჩემპიონთა ლიგაში ესპანურ „ბარსელონასთან" ერთად უპირველეს ფავორიტად მიიჩნევენ, მაგრამ ლიგაში ხომ მის გარდა „მანჩესტერ იუნაიტედი", მიუნხენის „ბაიერნი" და სხვები არიან.

ვინ დაეხმარება სვენ გორან ერიკსონს თანამდებობის შენარჩუნებაში? *მეკარეები: ლუკა მარკეჯანი, მარკო ბალოტა და ემანუელ კონჩეტი; მცველები: პაოლო ნეგრო, ჯუზეპე ფავალი, ნესტორ სენსინი, სინიშა მიხაილოვიჩი, ალესანდრო ნესტა, ჯუზეპე პანკარო, ფერნანდო კოუტუ; ნახევარმცველები: დარიო მარკოლინი, სერჟიო კონსეისაო, დიეგო პაბლო სიმეონე, ატილიო ლომბარდო, გუერინო გოტარდი, პაველ ნედვედი, დეიან სტანკოვიჩი, ხუან სებასტიან ვერონი, მატიას ალმეიდა, ჯანპიერო პინცი; თავდამსხმელები: ალენ ბოკშიჩი, მარსელო სალასი, რობერტო მანჩინი, სიმონე ინძაგი, ფაბრიციო რავანელი.*

**გიორგი ვაშაკიძე**



რომის „ლაციო" ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხებით თავისი მეორე ევროპული ტიტულის — ევროპის სუპერთასის მოგებას ზეიმობს

# საქართველოს ჩემპიონატი 16 ტური ანონსი

| 5 თებერვალი. ვერის ბაღი. 13.00 | 6 თებერვალი. ვერის ბაღი. 13.00 |
|---|---|
| სდასუ — გორი | სსუ — ასქ |
| 5 თებერვალი. ვერის ბაღი. 14.45 | 6 თებერვალი. ვერის ბაღი. 14.45 |
| დინამო — აზოტი | მაკაბი — ბასკო |
| 5 თებერვალი. ვერის ბაღი. 16.30 | 6 თებერვალი. ვერის ბაღი. 16.30 |
| თსუ — სტუ | ვითა — შევარდენი |



პირველი წრის სტუ — თსუ 105:86.
სტუელი ამროსი ორმოცაძე (ბურთით) და ბადრი ნათობაძე (№11)

შინაური საკალათბურთო ჩემპიონატის მიმოხილვისას ამ თუ იმ მატჩის რეპორტაჟში ჩვენ, ჟურნალისტებს, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად გვიწევს ერთი და იმავეს გამეორება: „დარჩენილი დრო ფორმალობად იქცა“ — არცთუ იშვიათად შეგხვდებათ ასეთი შინაარსის ფრაზა. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ყველაფერს აქვს თავისი დრო და გაურკვევლობაში მყოფი გულშემატკივარი მერე უკვე თავის თავსლა ეკითხება გაოცებული, ამ ჩემპიონატის ჩატარება საერთოდ ფორმალობა ხომ არ არისო.

ამ ბოლო დროს მართლაც დაგვჩემდა მსგავსი გაორება, ხან გვაფიქრებს, ხანაც გვაღონებს-ხოლმე ეს თავისთავად გაჩენილი კითხვა და შესაბამისი დასკვნების გამოტანისკენ გვიბიძგებს. ბევრმა უკვე დიდი ხანია, გააკეთა თავისი არჩევანი, ჩირადაც აღარ უღირს ქართული კალათბურთი და ერთ დროს თავგადაკლულ ქომაგს დავიწყებულიც კი აქვს მისი არსებობა. არიან ისეთებიც, ვისაც კიდევ სჯერა რაღაცის, თუნდაც სულ ცოტა იმედი აქვს და ამით შეგულიანებულ ხავსს ებღაუჭება. ხავსს ჩაჭიდებული დასახრჩობად განწირული კაცის გადარჩენა, აბა, ვის გაუგია, მაგრამ სხვა გამოსავალსაც თუ ვერ ხედავ რა გინდა, რომ ქნა?

და მაინც, არ გვინდა, დღევანდელი ქართული კალათბურთის მაცქერალთ წყალწაღებულნი ვუწოდოთ, სხვა თუ არაფერი, ჩვენც მათ რიცხვს მივეკუთვნებით.წინააღმდეგ შემთხვევაში სულ მთლად დაკარგავს აზრს ყოველივე ცხადია, გაზეთ „სარბიელის“ მსგავსი შინაარსის წერილებიც, რომლებიც ტრადიციულად შაბათის ნომერში იმეჭდება და უახლოესი ტურის ანონსსა და წვრილმან-მსხვილმან ინტრიგებს ამცნობს ჯერ კიდევ დაინტერესებულ მკითხველს.

სიტყვა ინტრიგაზე ჩამოვარდა და ჩემპიონატის მეორე წრეში, ანუ ექვსეულების დაწყებამდე, ერთი საკითხილაა ბუნდოვანი, რომელიც აზრს და ინტერესს უნარჩუნებს დარჩენილ შეხვედრებს. ამის მიხვედრას დიდი მახვილგონიერება არ სჭირდება, საკმარისია, გათამაშების ცხრილის შუა ნაწილში მიმდინარე მოვლენებს მივადევნოთ თვალი და...

ვინ დაიმკვიდრებს ადგილს ელიტარულ ექვსეულში? — აი, კითხვა, რომელიც დღემდე ამოუხსნელი გვრჩება.

გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ბასკო“, ვიცე-ჩემპიონი „აზოტი“ და ბრინჯაოს პრიზიორი სტუ არხეინად არიან. ამ გუნდებმა უკვე გააკეთეს თავიანთი საქმე და მშვიდად ყოფნის უფლებაც აქვთ. დარჩენილი სამი ადგილისთვის ბრძოლის შანსი კი სადღეისოდ ოთხ კლუბს შერჩენია, რომელთაგანაც ერთი ზედმეტია. „ვითას“, სდასუს, „მაკაბისა“ და თსუ-ს მოსვენება აქვთ დაკარგული, მათ ჯერ კიდევ უნდა გაარკვიონ თავიანთი ბედი მეცხრე ეროვნულში.

წინა პირველობის ნახევარფინალისტი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი წლეულს ძველებური რიხით ვეღარ თამაშობს და მისი ამჟამინდელი მეშვიდე ადგილიც ლოგიკურია. ასე იოლად კი ნამდვილად არ შეელევა ნოდარ ქორქიას სამწყსო ექვსეულს მიღმა ტრიალს. თსუ-ს ერთადერთი საზრუნავიც ამ ეტაპზე ის გახლავთ, რომ როგორმე ერთი ქულითა და საფეხურით წინ მყოფ „მაკაბის“ გადაუსწროს. საამისოდ თსუ-ს წინა ტურშიც კარგი შანსი მიეცა, მაგრამ განახევრებული და უვარჯიშებელი „ვითას“ წინააღმდეგობა გადაულახავი ბარიერი შეიქნა მისთვის. დღეს ნოდარ ქორქიას შეგირდები გაცილებით უფრო სოლიდურად დაკომპლექტებულ ტექნიკოს კოლეგებთან დაიჭერენ საქმეს და დანაკარგის ანაზღაურებასაც შეეცდებიან. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დაუმარცხებელ „ბასკოსთან“ შეხვედრაში ხვალ „მაკაბი“ წინდაწინვე განწირულია, უნდა ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტელები ერთიორად მობილიზებულნი წარდგებიან სტუ-ს წინაშე. მათ ხომ ექვსეულში შესაღწევად კარგი პერსპექტივა გადაეშალათ წინ.

ეს კი ასეა, მაგრამ თუ რეალისტები ვიქნებით და საქმის ვითარებაშიც უფრო ღრმად ჩავიხედავთ, დავინახავთ — ამ მატჩში მაინც სტუ-ა ფავორიტი, მიუხედავად იმისა, რომ ამ კლუბს სადღეისოდ გაცილებით ნაკლები სტიმული აქვს. ამბიცია კი, იცოცხლეთ, სამყოფი აქვს ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს — წლეულსაც ჩემპიონობაზე უჭირავს თვალი.

თსუ-ს კალათბურთელების გამოუცდელობას ვერ დავწამებთ, მათ საკმარისი პრაქტიკა აქვთ, მაგრამ მწვრთნელ ნოდარ ქორქიას არ ეგულება ისეთი მოთამაშე, ან ესა თუ ის რგოლი, რომელსაც მატჩის სადავეებს მიანდობს. გოჩა წოწელია უდავოდ გამორჩეული ფიგურაა უნივერსიტეტელთა რიგებში, მას კრიტიკულ მომენტებში დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია, თსუ-ს თამაშიც ძირითადად წოწელიაზე აგებული, მაგრამ ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ ამ სტუდენტური გუნდის სათამაშო რგოლები არცთუ შეხმატკბილებულად მოქმედებენ, რაც ერთეულების, ჩვენს შემთხვევაში წოწელიას ჯაფას წყალში ყრის. „დინამოდან“ ვანო აბულაძის გადაბირებით თსუ-მ მნიშვნელოვნად შეიმსუბუქა ცენტრის პოზიციაზე არსებული პრობლემა, თუმც საბოლოოდ გადაჭრაო, ვერ ვიტყვით, რის საშუალებასაც აბულაძის ახალგაზრდული ასაკი და აქედან გამომდინარე, დაუღვინებელი ქმედება არ გვაძლევს. მას დღეს ძალიან გაუჭირდება მეტოქის ტანმაღალი კალათბურთელების წინააღმდეგობის დაძლევა. მით უფრო, რომ ჭეიშვილის გუნდში ერთიმეორეზე ნაცადი მოთამაშეები ილვწიან ამ ამპლუაში. მათ შორის გამოკვეთილი ცენტრი მხოლოდ გოდერძი კორძაძეა, მაგრამ ოთიურიძეს, ორმოცაძეს, ჩუბინიძესა და მინაშვილსაც ძალუძთ, წარმატებით გაართვან თავი ფარქვეშ თამაშს.

უკანახაზშიც ჭეიშვილს უფრო მეტი გასაქანი აქვს. მათ შორის პირველი გუნდის გამთამაშებელი და წინამძღოლი დავით თორთლაძეა. დანარჩენები — ტუღუში, მიქაძე, მოისწრაფიშვილი პირველ ყოვლისა წოწელიას გაუვნებლებაზე იზრუნებენ. გამორიცხული არაა, რომ წოწელიას ზურაბ ჩუბინიძე აადევნონ მწვრთნელებმა, მსგავსი ექსპერიმენტი მათ სდასუ-ს უკანახაზელ ხოშტარიაზე მოსინჯეს და ამან გაამართლა კიდეც.

კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ შარშან მესამე ადგილისთვის სწორედ თსუ და სტუ შეეჭიდნენ ერთმანეთს. მაშინ ბრინჯაო სტუ-ს დარჩა, ვერც მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში მოუხერხა თსუ-მ მეტოქეს რაიმე (105:86) და ახლა ორმაგი რევანში გაუხდა საზრუნავი.

ზღვისპირული „ბასკოს“ დედაქალაქში სტუმრობის ამბავი უკვე გაუწყეთ. ისიც ვთქვით, ამჯერად ბათუმელები „მაკაბის“ ხვდებიან და ორ ქულასაც გაიფორმებენო. ეს იმან გვაფიქრებინა, რომ აჭარული გუნდი მუდამ საბრძოლო გუნება-განწყობაზეა და წარმატებული სერიის გახანგრძლივებას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ისე, კაცმა რომ თქვას, სპორტი სპორტია და პროგნოზებსაც თავი უნდა ავარიდოთ, მაგრამ ზურაბ ტომარაძის „ბასკო“ რომ უფრო ძლიერი გუნდია, ვიდრე „მაკაბი“ და წარმატების მეტი შანსიც აქვს, საქმეში ჩახედულთათვის არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი. „მაკაბი“ მებრძოლი გუნდია, სიურპრიზების შემოთავაზებაც ძალუძს და ამას არც არავინ უკარგავს, უბრალოდ, „ვითასა“ და „აზოტის“ ძლევის მერე „ბასკოს“ დამარცხება, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია ჩვენთვის.

პროგნოზი და წინასწარმეტყველება იქით იყოს და თუ ვინმეს ამ ტურში არაფრისა ეღარდება, ეს პირველ ყოვლისა, რუსთავის „აზოტია“. ოთარ ხმელიძის გუნდი, მართალია, სტუმრად თამაშობს, მაგრამ ვერც ეს ფაქტორი გაუჩენს მას დამატებით თავსატეხს. ვიცე-ჩემპიონთა მეტოქე ხომ „დინამო“ იქნება, რომელსაც ისე შეთხელებია ჯიბე, რომ გასულ უქმეებზე თამაშიც არ დაანებეს, ისე ჩაუწერეს წაგება და 0 ქულა.

არც შუაგული ქართლის პირმშო, „გორი“ უნდა იყოს იმედიანად. მას მოწინააღმდეგედ ამჯერად სდასუ ერგო, კიდევ ერთი სტუდენტური გუნდი, რომლის მიზნები და შესაძლებლობები ახლოსაც კი ვერ მოვა „გორთან“. ძნელი საფიქრალია, რომ ლევან მოსეშვილის გუნდს ამ შეხვედრაში რაიმე პრობლემა შეექმნას, გასულ უქმეებზე რუსთავის „აზოტთან“ ჩაფლავებული მატჩიც ეყოფა სდასუ-ს საიმისოდ, რომ დასკვნები გამოიტანოს და ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ „გორთან“ გამარჯვებით მოუბრუნოს ქომაგს გული.

კვირის წინ შვიდგზის ჩემპიონმა „ვითამ“ დაკარგული ადგილი დაიბრუნა, ოთხეულში მოკალათდა და თსუ-ს ძლევით შერყეული პრესტიჟიც აღიდგინა. „შევარდენთან“ კიდევ ერთი გამოცდის ჩატარება მოუწევს ჩემპიონს, თანაც პოზიციების გამყარებას ეცდება. მიზნის მიღწევას „ვითას“ ერთიორად გაუადვილებს დისკვალიფიკაციამოხდილი მამუკა ტურაშვილის მოედანზე დაბრუნებაც. თავის მხრივ, „შევარდენსაც“ აქვს საამმატჩო საზრუნავი, თხა თხაზე ნაკლებიო და „გორი“ — „მაკაბის“ მსგავსად ამ გუნდსაც უნდა, „ვითას“ დამმარცხებლის იმიჯი შეიქმნას.

დღემდე ორი გუნდია ისეთი, ოდენ კონკილა გამარჯვებით რომ „იწონებს“ თავს — ასკ და სსუ. ესენი ამ ტურში ერთმანეთს ხვდებიან და ერთი, რისი თქმაც გადაჭრით შეგვიძლია, ის გახლავთ, რომ მომავალი კვირიდან რომელიმეს მოგებათა გრაფაში უეჭველად „2“ ჩაეწერება. ხოლო თუ ვის, ამასაც მალე ვნახავთ...

**გიორგი ბიძაშვილი**

# ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 2-3 თებერვალი

## E ჯგუფი

**ცსკა 90:85 თოფაში**

ცსკა: ალანოვიჩი (1), დაინეკო (20), ეინიკოსი (12), კარასიოვი (15), კირილენკო (8), კუდელინი (12), პანოვი (20), სკელინი (2), ვეტრა

თოფაში: ბაში, ერდენი, გრიფიტი (10), ქონუქი (2), ოქური (10), ფარსი, რიმაცი (11), რივერსი (38), როჯერსი (14)

**ბარსელონა 66:64 ჟალგირისი**

ბარსელონა: ალსტონი (4), დე ლა ფუენტე (5), დიგბო, დუენიასი (5), ელსონი (4), გასოლი (7), გოლდვაიერი (3), გუროვიჩი (17), რენციასი (6), როდრიგესი (15)

ჟალგირისი: ბატლერი (12), გარნერი (7), მასიულისი (9), სლანინა, ტიმინსკასი (15), ზიდეკი (4), ე. ჟუკაუსკასი (5), მ. ჟუკაუსკასი (12)

**ბენეტონი 86:78 ალბა**

ბენეტონი: ბულერი, დი სპალატრო, ედნი (21), მარკონატო (16), ნეესი (8), ნიკოლა (18), პიტისი (4), სანტოსი, შეპარდი (19)

ალბა: ალექსისი (18), ბოგოევიჩი (2), დეჰია (21), ფემერლინგი (11), ჰამინკი (3), ოკულაია (11), პაპიჩი, როდლი (12)

## F ჯგუფი

**პანათინაიკოსი 67:58 ცრვენა ზვეზდა**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (9), ბუდურისი, ფოცისი (14), ჯენტილე (3), კალაიძისი (5), კარაგუტისი (8), კოხი (3), მაგლოსი (8), რებრაჩა (13), როჯერსი (4)

ცრვენა ზვეზდა: ალეკსიჩი (2), ბოლიჩი (2), ბოშკოვიჩი (5), იესტრატიევიჩი (18), ლუკოვსკი (6), რაკოჩევიჩი (9), ტიცა (6), ტოპალოვიჩი (10), ვუიანიჩი

**ოლიმპია 69:55 შოლე**

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (16), ბრეჟეცი (1), დუშჩაკი, გოლემაცი (7), იასიკევიჩუსი (16), კოტნიკი (7), მილიჩი (12), მოდრიჩი (4), პარავინია, ზდოვცი (6)

შოლე: ბარდე, ბილონი (4), დოუბო (2), გოტიე (17), ჰეიესი (8), ჟანო (4), მარკიზი (1), მიკუ, მილერი (3), სტივენსონი (16)

**რეალი 72:61 პაოკ**

რეალი: ა. ანგულო (13), ლ. ანგულო (14), ჯორჯევიჩი (20), გალილეა (2), იტურბე, მიხაილოვი (4), სკოტი (9), სტრიულენსი (10)

პაოკ: ალექსანდერი (11), ანგელიდისი (1), ბალოიანისი (6), ბაზარევიჩი, ბ. ედვარდსი (17), მასლარინოსი (12), ნიკოლაიდისი (6), პერალი (8)

## G ჯგუფი

**ვილერბანი 76:61 პო ორტეზი**

ვილერბანი: ბილბა (2), ბლომი (2), ლარანიაგა (17), ლოვერნი, მაქსი (5), პერსევო (2), პლუვი (8), სამი (3), სილსი (17), სონკო (20)

პო ორტეზი: ფატუ (2), დ. გადუ (1), ტ. გადუ (11), გულიაში (8), მაზინგი (4), რიზაშე (9), სვინსონი (12), ჩილოემბა (3), ტრუვიონი (11)

**მაკაბი 74:60 ბუდუჩნოსტი**

მაკაბი: ბრისკერი (2), კომეგისი (4), ჰენფელდი (8), ჰაფმანი (13), მაკდონალდი (14), შარფი (3), შეფერი (11), შელეფი (19)

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (6), ბულატოვიჩი (6), პაიოვიჩი (2), რადონიჩი (2), შჩეპანოვიჩი (17), ტომაშევიჩი (7), ტოპიჩი (11), დრაგან ვუკჩევიჩი (9)

**ოლიმპიაკოსი 74:63 კახა სან ფერნანდო**

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (4), დე მიგელი (6), ტ. ედვარდსი (10), გრანტი (5), პაპანიკოლაუ (7), რობინსონი (17), ტარლაჩი (16), ტომიჩი (9)

კახა სან ფერნანდო: კარგოლი, კორალესი (2), ფერნანდესი (4), ფორტიე (8), რომერო (1), შუტე, სკოტი (10), სმიტი (14), სოლანა (12), ტერნერი (12)

## H ჯგუფი

**ფორტიტუდო 79:53 ულქერი**

ფორტიტუდო: ანკიზი, ბაზილე (18), ფუჩკა (13), გალანდა (5), გაი, კარნიშოვასი (19), იარიჩი (17), მაიერსი (7), პილუტი, ს. ვრანკოვიჩი

ულქერი: ალენი (10), აიდინი (1), ბექირი (3), გონლუმი (2), კოტუროვიჩი (5), ოზთურქი (8), პოუპი (5), სარიჯა (5), თოფსაკალი (8), ილდირიმი (6)

**ეფესი 78:68 პივოვარნა**

ეფესი: ბეშოქი (13), დალი, დრობნიაკი (13), ფირინჯიოღლუ (3), ქუთლუაი (10), მულაომეროვიჩი (24), ონანი, რიდი (2), თურქოღლუ (10), ვექილოღლუ (3)

პივოვარნა: ბაირამოვიჩი, დრაგიჩი (2), გოლიოვიჩი (23), ჰაფნარი (14), იურაკი (14), ლისიცა (15), ნახბარი, ჟარკოვიჩი

**ციბონა 75:59 ვარეზე**

ციბონა: ალიპოჯიჩი, ბეიკერი, გირიჩეკი (21), კრსტიჩი (5), მარცელიჩი (7), ნიჩევიჩი (10), პრკაჩინი (10), სესარი (9), ი. ვრანკოვიჩი (5), ჟურიჩი (8)

ვარეზე: ფოიერა (3), კისურინი (12), მენეგინი (11), პოცეკო (9), სანტიაგო (6), ვესკოვი (11), ვუხერერი (6), ზანუს-ფორტესი (1)

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 69:51 | 75:67 | 17.02 | 68:65 | 66:64 | 12 | 2 | 1046:946 | 26 |
| 2 | ბენეტონი | 68:72 | | 61:81 | 86:78 | 16.02 | 88:75 | 9 | 5 | 1015:980 | 23 |
| 3 | ცსკა | 76:72 | 77:75 | | 71:76 | 90:85 | 17.02 | 8 | 6 | 1064:1037 | 22 |
| 4 | ალბა | 72:64 | 66:76 | 10.02 | | 81:55 | 80:64 | 7 | 7 | 1026:1044 | 21 |
| 5 | თოფაში | 10.02 | 86:65 | 87:73 | 76:66 | | 77:73 | 6 | 8 | 1038:1034 | 20 |
| 6 | ჟალგირისი | 60:68 | 10.02 | 84:76 | 89:70 | 62:68 | | 3 | 11 | 1002:1049 | 19 |

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 100:80 | 96:69 | 16.02 | 85:50 | 67:58 | 13 | 1 | 1107:928 | 27 |
| 2 | ოლიმპია | 71:86 | | 73:63 | 69:63 | 69:55 | 17.02 | 8 | 6 | 1068:1058 | 22 |
| 3 | რეალი | 63:66 | 76:74 | | 72:61 | 17.02 | 98:78 | 8 | 6 | 1045:1037 | 22 |
| 4 | პაოკ | 69:77 | 9.02 | 72:71 | | 83:76 | 82:53 | 6 | 8 | 995:969 | 20 |
| 5 | შოლე | 10.02 | 66:77 | 83:90 | 48:66 | | 69:59 | 2 | 12 | 894:1032 | 16 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 61:76 | 83:77 | 10.02 | 65:64 | 56:64 | | 2 | 12 | 916:1102 | 16 |

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვილერბანი | | 70:65 | 61:54 | 75:64 | 17.02 | 76:61 | 11 | 3 | 988:901 | 25 |
| 2 | მაკაბი | 73:61 | | 54:65 | 17.02 | 74:60 | 65:55 | 10 | 4 | 1054:939 | 24 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 65:55 | 65:63 | | 74:63 | 89:61 | 16.02 | 9 | 5 | 970:890 | 23 |
| 4 | სან ფერნანდო | 10.02 | 51:75 | 65:66 | | 75:73 | 77:60 | 5 | 9 | 942:979 | 19 |
| 5 | ბუდუჩნოსტი | 59:65 | 59:67 | 9.02 | 88:65 | | 68:71 | 5 | 9 | 999:1041 | 19 |
| 6 | პო ორტეზი | 72:61 | 10.02 | 74:73 | 79:74 | 68:72 | | 4 | 10 | 948:1025 | 18 |

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ეფესი | | 99:63 | 17.02 | 69:60 | 84:74 | 78:68 | 9 | 5 | 1047:992 | 23 |
| 2 | ფორტიტუდო | 76:56 | | 79:53 | 92:78 | 16.02 | 81:63 | 8 | 6 | 1029:986 | 22 |
| 3 | ულქერი | 93:87 | 76:68 | | 9.02 | 79:70 | 68:78 | 8 | 6 | 1059:1068 | 22 |
| 4 | ციბონა | 71:69 | 71:61 | 64:81 | | 75:59 | 17.02 | 8 | 6 | 1041:1056 | 22 |
| 5 | ვარეზე | 9.02 | 91:72 | 82:86 | 89:77 | | 80:70 | 5 | 9 | 1028:1070 | 19 |
| 6 | პივოვარნა | 79:91 | 9.02 | 84:95 | 68:81 | 73:83 | | 2 | 12 | 990:1149 | 16 |

რეგულარული ჩემპიონატი

# იტყუები, კარლ?

3 თებერვალი

**ნიუ იორკი 98:88 პორტლენდი**
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (22), იუინგი (20)
პორტლენდი: სმიტი (18), ველსი (18)

**დალასი 106:96 შარლოტი**
დალასი: ფინლი (32), სტრიკლენდი (23)
შარლოტი: ჯონსი (21), კოულმენი (19)

**ჰიუსტონი 109:106 ფილადელფია**
ჰიუსტონი: ანდერსონი (32)
ფილადელფია: აივერსონი (40), რეთლიფი (25)

**სან ანტონიო 112:95 ტორონტო**
სან ანტონიო: დანკანი (32 ქულა, 17 მოხსნა, 7 პასი), ჯონსონი (19)
ტორონტო: მაკგრეიდი (21), კარტერი (19)

**იუტა 99:102 მილუოკი**
იუტა: მელოუნი (28 ქულა, 10 მოხსნა), სტოქტონი (18)
მილუოკი: ალენი (36), რობინსონი (30)

სოლტ ლეიკ სიტიში შიშმა დაისადგურა. იქ კალათბურთის გულშემატკივრებს იმის გაფიქრებაც კი სზარავთ, რა დღეში შეიძლება აღმოჩნდეს მათი ჯილა „იუტა ჯაზი". თამაშს თამაში მოსდევს, „იუტას" კი, აგერ ბოლო ხუთი თამაშია, გაწბილების მეტი არა უნახავს რა. ჯერ ამ ბობოლა გუნდის დაცემაზე საუბარი, ცოტა არ იყოს, ნაადრევია, მაგრამ ზედიზედ ხუთი წაგება ბევრ რამეზე მეტყველებს. თან აქედან სამი მარცხი შინაურია. ზედიზედ სამი თამაში შინ „ჯაზს" არ წაუგია, 90-იან წლებში და აი, ამასაც მოესწრო ალბათ ყველაზე ერთგული გულშემატკივარი. თვითონ მოთამაშეების გულებშიც შიში და უიმედობა ბუდობს. „როდესაც თამაშს იწყებ და ზურგსუკან ცუდი სერია გაქვს, ფიქრობ, რომ ვერც ამ თამაშს მოიგებ და ამაში შიშიც გიშლის ხელს" — როდესაც თვით გუნდის ლიდერი კარლ მელოუნი ფიქრობს ასე, მაშინ რაღაზეა საუბარი, მისი გუნდიც განწირულია.

„იუტას" წესით და რიგით იოლად უნდა მოეგო შინ „მილუოკის" დარი გუნდისთვის, მაგრამ... თვითონ მელოუნი ტრავმებს შეუწუხებია და სწორედ ამის გამო აპირებს „ოლ სტარის" გამოტოვებას. ამბობს, თამაშს ტრავმის გამო ვერ შევძლებო, მაგრამ ამას ტყუილის სუნი უდის. მელოუნს ერთბაშად ორი ტრავმა აქვს — ზურგი და თითი აწუხებს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, 28 ქულა ჩაეგდო და 10 მოხსნაც გაეხერხებინა.

მელოუნისგან განსხვავებით, „ოლ სტარს" თავს არ არიდებენ მილუოკელები — გლენ რობინსონი და რეი ალენი. პირიქით, მათ პირველად ეძლევათ იქ თამაშის შესაძლებლობა და ამ ამბავს ისინი დიდად აღუფრთოვანებია. სტუმრებმა თავიდანვე შეატყვეს, რომ „ჯაზი" დამფრთხალი თამაშობდა და ტოლი არ დაუდეს მას და აკი მოიგეს კიდეც. გლენ რობინსონმა სულაც ბოლო წამზე სირენასთან ერთად ჩააგდო სამქულიანი და „იუტას" თავს ლაფი დაასხა. „ბურთი რომ მივიღე, მატჩის დასრულებამდე სულ 2,6 წამი რჩებოდა — იხსენებს გამარჯვების მომტანი ბურთის ჩამგდები რობინსონი — ეს არცთუ ბევრი დროა, მაგრამ ვიფიქრე, უარესი რა უნდა მოხდეს, ოვერტაიმში ვითამაშებთ და ეგ არის მეთქი. ოდნავ გვერდზე გავიწიე და ისე ვესროლე. კიდევ კარგი, ჩავაგდე, თორემ „იუტასთან" ოვერტაიმში ჯაჯგური არცთუ სასიამოვნო რამაა."

მარცხს ვერ გადაურჩა კიდევ ერთი დასავლელი ბობოლა. „პორტლენდი" ნიუ იორკს ეწვია და იქ დაასრულა ზედიზედ ექვსმატჩიანი მოგებების სერია, რის შემდეგაც დასავლეთში პირველობა „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" გადაულოცა. ნიუიორკელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო მათმა ბებერმა ცენტრმა პატრიკ იუინგმა, რომელმაც აშკარად აჯობა სტუმართა ასევე ბებერ ცენტრს, ლიტველ არვიდას საბონისს. ეს იუინგის საუკეთესო მატჩი იყო ამ სეზონში, კიდევ მოაგროვა სეზონში ყველაზე მეტი, 20 ქულა. სამაგიეროდ, საბონისი დაიჩაგრა. მან ექვსი სროლიდან სულ ერთადერთი ჩააგდო და ორი ქულის მეტი არ გაუკეთებია.

იმ დღეს ჰიუსტონში მართლაც საზეიმო ვითარება სუფევდა. „როკიტსმა" ღვაწლმოსილ კლაიდ დრექსლერს მუდმივი ნომერი მიაკუთვნა, თან მასპინძლებმა მაკმაოდ სერიოზული მეტოქე, „ფილადელფია 76" დაამარცხეს უმძიმეს ბრძოლაში. დრექსლერის დაჯილდოების ცერემონიალი ტაიმებს შორის გაიმართა, რის შემდეგაც მეტოქეები გაორკეცებული ძალებით შეიბნენ. მასპინძელმა შენდონ ანდერსონმა 32 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა და აივერსონს 40 ქულა წყალში გადაუყარა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# დრექსლერის ნომერი ქერში

3 თებერვალს „ჰიუსტონ როკიტსმა" ოფიციალურად დაუფასა ამაგი ყოფილ მოთამაშეს კლაიდ დრექსლერს და მუდმივი ნომერი მიაკუთვნა. დრექსლერის 22-ნომრიანი მაისურა ზარზეიმით აღმართეს და დარბაზ „კომპაკ სენთერის" ჭერზე კიდევ სამი ყოფილი ჰიუსტონელის მაისურის გვერდით მიუჩინეს ადგილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან 22 ნომრით თამაშის უფლება „ჰიუსტონში" აღარავის აქვს. ამგვარი პატივი დრექსლერის გარდა რგებიათ კელვინ მერფის (23 ნომერი), მოზეს მელოუნს (24) და გუნდის ამჟამინდელ მწვრთნელ რუდი ტომიანოვიჩს (45). ცერემონია გაიმართა „ჰიუსტონ" — „ფილადელფიას" მატჩის შესვენებაზე და მას, ცხადია, არაერთი ცნობილი პიროვნება დაესწრო.

დრექსლერს „ჰიუსტონის" რიგებში არცთუ ბევრი — მხოლოდ ოთხი სეზონი უთამაშია, მაგრამ მან უაღრესად ნაყოფიერად გაატარა ეს წლები და პატივისცემის ღირსიც ნამდვილად იყო. კლაიდი „ჰიუსტონში" 1995 წელს გადავიდა და გუნდს პლეი ოფის ზედიზედ მეორედ მოგებაშიც დაეხმარა. კალათბურთელი 1998 წელს გავიდა პენსიაზე, ზუსტად 15 სეზონის თამაშის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც მოაგროვა 22195 ქულა (მე-18 შედეგი ლიგის ისტორიაში), 6677 მოხსნა, 6125 პასი და 2207 ჩაჭრა (მეოთხე შედეგი ლიგის ისტორიაში). მის გარდა მხოლოდ ორ კალათბურთელს მიუთვლია კარიერაში 20 ათას ქულაზე, 6 ათას მოხსნასა და 6 ათას პასზე მეტი.




კლაიდ დრექსლერის მაისურებთან: „ჰიუსტონ როკიტსის" მფლობელი ლეს ალექსანდერი (მარცხნივ) და თავად კლაიდ დრექსლერი

დრექსლერი შეიყვანეს ლიგის ყველა დროის 50 საუკეთესო მოთამაშეს შორის.

კალათბურთელს კარიერის უმეტესი ნაწილი „პორტლენდში" გაუტარებია, მისი წყალობით ამ გუნდმა 1990 და 92 წლებში ნბა-ს ფინალს უწია. სწორედ დრექსლერმა დააყენა კლუბი ფეხზე, წლების განმავლობაში მისი სული და გული იყო, მაგრამ რადგან წარმოშობით ჰიუსტონიდანაა, მშობლიურ ქალაქში ისურვა კარიერის ბოლო წლების გატარება. კალათბურთიდან წასვლის შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა სწორედ იმ უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდს, რომლის რიგებშიც სტუდენტობის ჟამს თამაშობდა.

# როდმანი დალასში ითამაშებს

შეშლილი დენის როდმანი დაუბრუნდა აქტიურ კალათბურთს. სამშაბათს თავჭრელა დენისმა „დალას მავერიქსს" გაუფორმა კონტრაქტი და სეზონის ბოლომდე ამ გუნდის კუთვნილებაა. ნახევარ სეზონში იგი ვეტერანისთვის განკუთვნილ მილიონ დოლარს მიიღებს. მისი დებიუტი „დალასის" რიგებში 9 თებერვალს შედგება, როცა „მავერიქსი" ჩვენებური ვოვა სტეფანიას გუნდ „სიეტლ სუპერსონიქსს" უმასპინძლებს. როდმანის მისვლით „დალასი" უდავოდ მოძლიერდება, კლუბმა იგი იმიტომ მიიყვანა, რომ ხეირიანი მომხსნელი არა ჰყავს. საშუალოდ მატჩში 8,1 მოხსნით გუნდში ყველას სჯობნის ფრთა სედრიკ სებალოსი, როდმანი კი, გარდა იმისა, რომ მსოფლიოში განთქმულია თავისი სიგიჟით, ბრწყინვალე მომხსნელიც გახლავთ და 1992-98 წლებში შვიდჯერ გახდა სეზონის საუკეთესო მომხსნელი. ახლა, როდმანს, მიუხედავად იმისა, რომ 38 წელი შეუსრულდა, ალბათ სასტარტო ხუთეულში ფარის ქვეშ მიუჩენენ ადგილს და იქიდან ან სებალოსს, ანაც გერმანელ დირკ ნოვიცკის ამოაგდებენ. არც ისაა გამორიცხული, როდმანის გუნდში მისვლით ძირითადში ადგილი 228-სანტიმეტრიანმა ახმახმა ცენტრმა შონ ბრედლიმ დაკარგოს.

სანამ როდმანი „დალასის" წევრი გახდებოდა, ამერიკული ბურთაობის თამაშებზე დასწრებით იქცევდა თავს და ჰავაის კუნძულების ხშირი სტუმარიც გახლდათ. როდმანს პროფესიულ სპორტში მობრუნების აზრი ატლანტაში მოუვიდა, როცა ფეხბურთის მატჩს ესწრებოდა. მან თავის ბოლო გუნდს, „ლეიკერსს" მიაკითხა და თავის ყოფილ მწვრთნელ ფილ ჯექსონს სთხოვა, დაბრუნების შანსი მიეცა — ძველი ნაცნობობის ხათრით შენს ფრთებქვეშ ამიყვანეო. მაგრამ მისი „ლეიკერსში" დაბრუნება არ მოხერხდა და სწორედ ამ დროს გამოჩნდა „დალასის" მფლობელი მარკ კუბანი. თავდამსხმელის გუნდში აყვანის იდეაც მას ეკუთვნის და ამ საქმის ინიციატორიც ეს მილიონერი გახლავთ. უფრო მეტიც, ამ ღირსეულმა კაცმა გიჟმაჟ დენისს თავისი ვილა დაუთმო და, წარმოიდგინეთ, იქ ღრეობის გამართვა და ქალების მოყვანის ნებაც დართო. ეგაა, კალათბურთელი მას ყოველთვიურად გადაუხდის ბინის ქირას, სამი ათას დოლარს. იგი აგრეთვე ყაბულსაა, ყოველდღიურად 15 დოლარი უხადოს კუბანის ერთ-ერთ მძღოლს, რომელიც დღეიდან მის განკარგულებაშია. როდმანს და კუბანს არ გასჭირვებიათ საერთო ენის გამონახვა და უკვე კარგი მეგობრებიც არიან.

ბინის ქირაში და მძღოლის მომსახურებაში დახარჯული ფულის ანაზღაურება როდმანს, წესით, არ უნდა გაუჭირდეს. იგი თითოეულ მატჩში 12195 დოლარს მიიღებს და ამ ფულის სანაცვლოდ ვალდებულია, მთლიანად დაიხარჯოს. ამასთან კუბანმა კალათბურთელს პირობა ჩამოართვა, რომ ის, რაც „ლეიკერსში" მოხდა, არ განმეორდება. „ლეიკერსში" ყოფნისას გიჟი დენისი ხშირად აგვიანებდა, ანაც სულაც აცდენდა ვარჯიშებს და თამაშებსაც კი, რისთვისაც გააგდეს კიდეც.

როდმანის მრავალწლიან კარიერაში „დალასი" მეხუთე გუნდია და აღსანიშნავია, რომ ყველაზე სუსტი. წინა ოთხი კლუბიდან ყველა ჩემპიონობის კანდიდატი იყო, „დეტროიტსა" და „ჩიკაგოში" კი კალათბურთელმა ხუთჯერ მოიგო ჩემპიონობა. რაც შეეხება „დალასს", მისი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, საეჭვოა, ამ გუნდმა პლეი ოფში საერთოდ ითამაშოს.




სან ანტონიო — ტორონტო. მარიო ელი (№17) ტორონტოელი ვინს კარტერის წინააღმდეგ

# კლიპერსმა ფორდი გააგდო

ოთხშაბათს ღამით „ლოს ანჯელეს კლიპერსის" მწვრთნელი კრის ფორდი თანამდებობას გამოეთხოვა. ორ თებერვალს „ფინიქსთან" შეხვედრა მისთვის, როგორც „კლიპერსის" თავკაცისთვის, ბოლო გამოდგა. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა, 60-იანი წლების ლეგენდარულმა კალათბურთელმა ელჯინ ბეილორმა ფინიქსთან 68:114 დამარცხება ვერ აპატია და ფორდს კარისკენ მიუთითა. ბეილორი განაცვიფრებას იყო: მისმა გუნდმა 46 ქულის სხვაობით წააგო, ამას კი ყურიც არ შეუბერტყავსო. ფორდის ადგილს სეზონის ბოლომდე მისი ასისტენტი ჯიმ ტოდი დაიკავებს, რომელსაც საერთოდ არა აქვს ნბა-ში მთავარი მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება. ტოდმა ჩაიბარა გუნდი, რომელსაც მიმდინარე სეზონში 45 თამაშიდან მხოლოდ 11 მოუგია და დასავლეთის კონფერენციაში ბოლო ადგილზეა.

ფორდს მწვრთნელის სკამზე დიდხანს ყოფნა რომ არ ეწერა, ეს კარგა ხნით ადრე გახდა ცნობილი. საკმაოდ პერსპექტიული შემადგენლობის მიუხედავად, ფორდმა ვერ შეძლო ბოლო წლების ამ ერთ-ერთი ყველაზე უხეირო გუნდის გამოცოცხლება. „კლიპერსმა" არცთუ ცუდად დაიწყო სეზონი, მაგრამ მერე წაგებებს უხშირა და ბოლო 13 შეხვედრიდან 12 ჩააფლავა. ბოლო ორმა თამაშმა ხომ მთლად წყალი შეუყენა ფორდის სავარძელს. „ფინიქსთან" 46 ქულით დამარცხებამდე „კლიპერსი" შინ შერცხვა „გოლდენ სტეიტთან" და იმდროისთვის დასავლეთის უსუსტეს გუნდს 31 ქულით გამარჯვების საშუალება მისცა.

„კლიპერსი" ფორდის სამწვრთნელო კარიერაში მესამე გუნდია და მასთან მუშაობით თავს ნამდვილად ვერ მოიწონებს — ფორდის თავკაცობით ჩატარებული 96 თამაშიდან „კლიპერსმა" მხოლოდ ოცი მოიგო. „კლიპერსში" მოსვლამდე ფორდმა ორ სეზონში „მილუოკის" 69 შეხვედრა მოაგებინა და 95 წააგებინა. ყველაზე წარმატებული კი „ბოსტონში" გატარებული ხუთი სეზონია. ფორდის თავკაცობით „სელტიქსმა" 222 მოიგო, 188 წააგო და ხუთიდან ოთხჯერ უწია პლეი ოფს.




კრის ფორდი

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-18 ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 054 არმინია-შალკე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 055 ლევერკუზენი-დუისბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 056 ლევერკუზენი-დუისბურგი | | | |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 057 ფრაიბურგი-ულმი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 058 ვერდერი-შტუტგარტი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 059 მიუნხენ 1860-ვოლფსბურგი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 060 უნტერჰახინგი-აინტრახტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 061 ჰამბურგი-ბაიერნი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 062 ფიურტი-ალემანია | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 24-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 063 ასტონ ვილა-უოტფორდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 064 ასტონ ვილა-უოტფორდი | | | |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 065 ბრედფორდი-არსენალი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 066 დერბი-უენსდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 067 ლესტერი-მიდლსბრო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 068 ლივერპული-ლიდსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 069 მანჩესტერი-ქოვენთრი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 070 მანჩესტერი-ქოვენთრი | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 071 საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 072 სანდერლენდი-ნიუკასლი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 073 ტოტენჰემი-ჩელსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 074 უიმბლდონი-ევერტონი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 30-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 075 ბარნსლი-იფსვიჩი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 076 ბოლტონი-ბლექბერნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 077 ქრიუ-ბირმინგემი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 078 ფულემი-ვესტ ბრომვიჩი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 079 ჰადერსფილდი-პორტსმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 080 ჰადერსფილდი-პორტსმუთი | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 081 ნორვიჩი-უოლსოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 082 ნოტინგემი-მანჩესტერ სიტი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 083 პორტ ვეილი-ქუინზ პარკი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 084 შეფილდი-ტრანმერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 085 სტოკპორტი-ჩარლტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 086 სუინდონი-გრიმსბი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 087 ვულვერჰემპტონი-კრ.პალასი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 30-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 088 ბრენტფორდი-ნოტსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 089 ბრისტოლი-ჩესტერფილდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 090 ბარნლი-როვერსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 091 კემბრიჯი-უიგანი | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 092 კოლჩესტერი-ბერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 093 ჯილინგემი-სტოკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 094 ლუტონი-ბორნმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 095 მილუოლი-ოლდემი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 096 ოქსფორდი-ბლეკპული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 097 პრესტონი-რედინგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 098 პრესტონი-რედინგი | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 099 სკანთორპი-კარდიფი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 100 რექსემი-უიკომბი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 30-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 103 ბარნეტი-ჩელტენემი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 104 ჰარტლპული-შრიუსბერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 105 ჰალი-ბრაიტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 106 ლეიტონი-საუთენდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 107 ნორთჰემპტონი-იორკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 108 პლიმუთი-კარლაისლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 109 როჩდეილი-ჩესტერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 110 როჩდეილი-ჩესტერი | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 111 როტერჰემი-მაკლსფილდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 112 ტორკი-ჰალიფაქსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 113 დარლინგტონი-პიტერბრო (17[00]) | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 25-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 114 პსჟ-ნანტი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 115 ტრუა-სედანი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 116 ლანსი-ოსერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 117 ბასტია-სენტ ეტიენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 118 რენი-ნანსი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 119 ბორდო-სტრასბური | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 120 მონპელიე-ლე ავრი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 121 მეცი-მარსელი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 122 ლიონი-მონაკო | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 26-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 123 ლე მანი-გენიონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 124 ტულუზი-ამიენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 125 ტულუზი-ამიენი | | | |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 126 კაენი-ლორიანი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 127 კანი-ვალანსი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 128 აიაჩო-ნიმი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 129 ლუანი-გინგამი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 130 შატორუ-ლავალი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 131 ვასკალი-ლილი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 132 კრეტეი-ნიცა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 133 ნიორი-სოშო | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### იტალია. სერია "ა". მე-20 ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 134 კალიარი-პერუჯა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 135 უდინეზე-იუვენტუსი | 3,5 | 2,8 | 2,0 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 136 ლეჩე-პიაჩენცა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 137 მილანი-ბარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 138 მილანი-ბარი | | | |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 139 პარმა-ინტერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 140 რეჯინა-ბოლონია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 141 რომა-ვენეცია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 142 რომა-ვენეცია | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 143 ტორინო-ლაციო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 144 ვერონა-ფიორენტინა | 2,7 | 2,8 | 2,4 |

### იტალია. სერია "ც1/ა". მე-22 ტური

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 145 ალბინოლეფე-კარარეზე (17[30]) | 1,9 | 2,5 | 4,2 |
| 146 ბრეშელო-მოდენა (17[30]) | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 147 კრემონეზე-ვარეზე (17[30]) | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 148 ლეკო-ლუმეცანე (17[30]) | 1,9 | 2,5 | 4,2 |
| 149 ლუკეზე-ჩიტადელა (17[30]) | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 150 პიზა-მონტევარკი (17[30]) | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 151 პიზა-მონტევარკი (17[30]) | | | |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 152 სანდონა-კომო (17[30]) | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 153 სიენა-ლივორნო (17[30]) | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 154 სიენა-ლივორნო (17[30]) | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 155 სპალ-რეჯანა (17[30]) | 1,7 | 2,7 | 5,6 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". მე-22 ტური

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 156 არეცო-აველინო (17[30]) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 157 ატლეტიკო-ლოდიჯანი (17[30]) | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 158 ბენევენტო-ასკოლი (17[30]) | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 159 დი სანგრო-სტაბია (17[30]) | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 160 ფ.ანდრია-ანკონა (17[30]) | 3,2 | 2,5 | 2,3 |
| 161 გუალდო-პალერმო (17[30]) | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 162 მარსალა-კროტონე (17[30]) | 3,6 | 2,5 | 2,1 |
| 163 ჩოჩერინა-კატანია (17[30]) | 2,3 | 2,4 | 3,3 |
| 164 ვიტერბეზე-ჯულიანოვა (17[30]) | 1,6 | 2,7 | 7,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 23-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 165 ვალენსია-ბეტისი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 166 რაიო ვალეკანო-სელტა (15[00]) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 167 მალიორკა-სოსიედადი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 168 ატლეტიკო-სარაგოსა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 169 სევილია-რასინგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 170 ოვიედო-ესპანიოლი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 171 ბარსელონა-ალავესი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 172 ბარსელონა-ალავესი | | | |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 173 მალაგა-ვალიადოლიდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 174 ბილბაო-ნუმანსია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 175 დეპორტივო-რეალი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 25-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 176 ხეტაფე-ელჩე | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 177 ლას პალმასი-ტოლედო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 178 ლას პალმასი-ტოლედო | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 179 ოსასუნა-ლეგანესი (15[00]) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 180 ესტრემადურა-ეიბარი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 181 ბადახოსი-ვილიარეალი | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 182 ალბასეტე-ლევანტე | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 183 სალამანკა-ტენერიფე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 184 ლეიდა-სპორტინგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 185 ლოგრონიესი-უელვა | 1,5 | 3,4 | 5,6 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 186 კორდობა-მერიდა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 187 კომპოსტელა-ატლეტიკო "ბ" | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| პორტუგალია. მე-19 ტური | | | |
| 5 თებერვალი | | | |
| 189 მარიტიმუ-სეტუბალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 190 მარიტიმუ-სეტუბალი | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 191 კამპომაიორენსე-ალვერკა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 192 პორტუ-ბრაგა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 193 პორტუ-ბრაგა | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 194 სპორტინგი-ფარენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 195 სპორტინგი-ფარენსე | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 6 თებერვალი | | | |
| 196 ლეირია-ჟილ ვისენტე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 197 სალგეირუში-რიუ ავე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 198 ბენფიკა-სანტა კლარა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 199 ბენფიკა-სანტა კლარა | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 200 გიმარაეში-ამადორა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ჰოლანდია | | | |
| 5 თებერვალი | | | |
| 202 ჰერენვენი-ალკმაარი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 203 ნაიმეგენი-გრააფსხაპი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 204 ტილბურგი-ტვენტე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 205 სპარტა-ვიტესი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 6 თებერვალი | | | |
| 206 აიაქსი-კამბური (17$^{30}$) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 207 აიაქსი-კამბური | | | |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 208 დენ ბოსხი-ეინდჰოვენი (17$^{30}$) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 209 ვალვაიკი-სიტარდი (17$^{30}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 210 ფეიენოორდი-როდა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბელგია. მე-22 ტური | | | |
| 5 თებერვალი | | | |
| 211 გენკი-შარლერუა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 212 გენკი-შარლერუა | | | |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 213 გენტი-მუსკრონი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 214 მეხელენი-ლიერსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 215 ვესტერლო-ბევერენი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 6 თებერვალი | | | |
| 216 აალსტი-სენტ ტრუიდენი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 217 ჰარელბეკე-ლომელი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 218 სტანდარდი-გეელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 219 სტანდარდი-გეელი | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 220 ანდერლეხტი-ბრიუგე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| საბერძნეთი. მე-18 ტური | | | |
| 6 თებერვალი | | | |
| 221 ოფი-კალამატა (17$^{00}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 222 ოფი-კალამატა | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 223 აეკ პაოკ (17$^{00}$) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 224 არისი-ქსანთი (17$^{00}$) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 225 ტრიკალა-პანათინაიკოსი (17$^{00}$) | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| 226 იონიკოსი-პანაჰაიკი (17$^{00}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 227 კავალა-ეთნიკოსი (17$^{00}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 228 ოლიმპიაკოსი-პროდეფტიკი (17$^{00}$) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 229 ოლიმპიაკოსი-პროდეფტ- | | | |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 230 აპოლონი-ირაკლისი (17$^{00}$) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 231 პანილიაკოსი-პანიონიოსი (17$^{00}$) | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| თურქეთი. მე-19 ტური | | | |
| 5 თებერვალი | | | |
| 233 ბურსა-ისთანბული (15$^{30}$) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 234 გენჩლერბირლიგი-დენიზლი (15$^{30}$) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 235 ქოჯაელი-ფენერბაჩე | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 6 თებერვალი | | | |
| 236 ერზურუმი-ვანი (14$^{00}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 237 ადანა-ანკარაგიუჯუ (15$^{30}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 238 ანთალია-გაზიანთეფი (15$^{30}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 239 გიოზთეფე-ალთაი (15$^{30}$) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 240 გალათასარაი-ტრაბზონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| შოტლანდია. 21-ე ტური | | | |
| 5 თებერვალი | | | |
| 241 აბერდინი-სენტ ჯონსტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 242 სელტიკი-ჰარტსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 243 სელტიკი-ჰარტსი | | | |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 244 მოზერველი-დანდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 6 თებერვალი | | | |
| 245 ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| აფრიკის თასი. 1/4 ფინალი | | | |
| 6 თებერვალი | | | |
| 507 კამერუნი-ალჟირი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 508 ს.აფრიკა-განა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 7 თებერვალი | | | |
| 509 ეგვიპტე-ტუნისი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 510 ნიგერია-სენეგალი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| რაგბი. ექვსი ერის თასი. I ტური | | | |
| 5 თებერვალი | | | |
| 861 იტალია-შოტლანდია | 3,8 | 7,0 | 1,2 |
| 862 ინგლისი-ირლანდია | 1,1 | 7,0 | 5,6 |
| 863 უელსი-საფრანგეთი | 2,5 | 7,0 | 1,4 |
| კალათბურთი | | | |
| 5 თებერვალი | | | |
| 874 ვაშინგტონი-შარლოტი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 875 ორლანდო-ინდიანა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 876 კლივლენდი-ატლანტა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 877 მილუოკი-ტორონტო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 878 დენვერი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 879 კლიპერსი-დალასი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 6 თებერვალი | | | |
| 880 ბოსტონი-პორტლენდი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 881 ნიუ იორკი-მაიამი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 882 ნიუ ჯერსი-გოლდენ სტეიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 883 ფილადელფია-საკრამენტო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 884 დეტროიტი-ჰიუსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 885 იუტა-სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 886 ფინიქსი-სიეტლი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 887 კლიპერსი-ჩიკაგო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 888 ვანკუვერი-დალასი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 7 თებერვალი | | | |
| 889 ორლანდო-გოლდენ სტეიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 890 ინდიანა-ფილადელფია | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 891 მილუოკი-პორტლენდი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 892 ლეიკერსი-დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ჰოკეი. ევროლიგა | | | |
| 5 თებერვალი | | | |
| 893 ტურკუ-მეტალურგი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 894 ლუგანო-სპარტა | 2,2 | 4,4 | 1,8 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ანა-ბანა ანასათვის



მარი პირსი

ტოკიო. იაპონია.
PAN PACIFIC OPEN
დარბაზი, ჰარდი.
საპრიზო 1,08 მილიონი $

**ტოკიოში** მიმდინარე პრესტიჟული ტურნირის მეორე წრეში ერთი დიდი სენსაცია მოხდა: ასპარეზობას მეორედ განთესილი ფრანგი ლამაზმანი მარი პირსი გამოეთიშა.

მისი მძლეველი, ამერიკელი ლილია ოსტერლოჰი ტურნირის ძირითად ბადეში სულაც შემთხვევით მოხვდა. მან საკვალიფიკაციო ტურნირზე წააგო, მაგრამ რაკი ბოლო მომენტში ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა ლინდსი დევენპორტმა ამომავალი მზის ქვეყანაში ჩასვლაზე უარი განაცხადა, „იღბლიანი წაგებულის“ პრინციპით მისმა თანამემამულემ იხეირა.

ოსტერლოჰმა თავის დროზე აშშ-ის საუკეთესო სტუდენტი ჩოგბურთელის სტატუსიც მოიპოვა, თუმცა პროფესიონალებში თავი არაფრით გამოეჩინა და პირსთან წინა შეხვედრიდანაც ტკბილი მოგონებები არ გამოჰყოლია.

„გასულ წელს „ლიპტონის“ ტურნირზე მარიმ უბრალოდ გადამიარა 6:1, 6:1. ამაზე უარესი რამ ძნელი წარმოსადგენია, ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ ამჯერად ცოტა უკეთესი ანგარიშით მაინც დავმარცხდებოდი“ — აღიარა მოგვიანებით ოსტერლოჰმა.

თავის ამოცანა-მაქსიმუმს ამერიკელმა პირველ სეტში მართლაც წარმატებით გაართვა თავი და პირსს მხოლოდ ტაი-ბრეიკზე დანებდა, მაგრამ თანდათან ჭამაში მადამ გაიღვიძა და ოსტერლოჰმაც მეტი მოინდომა.

ამერიკელმა მეორე და მესამე სეტების დასაწყისში მეტოქეს მოწოდება აართვა, დაკუნთულ პირსზე არანაკლებ ჯანიანი დარტყმებითაც გამოიჩინა თავი და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საბოლოოდ 6:7 (3:7), 6:4, 6:4 მოიგო.

„ეს ჩემი კარიერის საუკეთესო მიღწევაა. გადავწყვიტე, უკან არ დამეხია, ბოლომდე რისკიანად მეთამაშა და გამიმართლა კიდეც“ — განაცხადა ოსტერლოჰმა.

„ჩემმა მოწოდებამ დამღუპა, თანაც რაღაც უაზროდაც ვთამაშობდი — თვითკრიტიკაში უკან არ დაუხევია ტანმშვენიერ ფრანგს — ტოკიოში უსაქმურად მაინც არ დავრჩენილვარ, შევეცდები, მარტინა ჰინგისთან ერთად წყვილებში მაინც გავიმარჯვო“.

**მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ანა კურნიკოვა (5, რუსეთი) 6:0, 6:2; სანდრინ ტესტიუ (6, საფრანგეთი) — ნატალი ტოზია (3, საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:0; ჩანდა რუბინი (7, აშშ) — ამანდა კუტცერი (4, სამხრეთ აფრიკა) 6:4, 6:4; კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) — ლილია ოსტერლოჰი 7:6 (8:6), 6:1.**

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ჰინგისმა მეოთხედფინალში თავის ყოფილ მეწყვილესა და მეგობარ ანა კურნიკოვას მეტად მწარე გაკვეთილი ჩაუტარა.

აქამდე 18 წლის რუსი 19 წლის შვეიცარიელს შვიდჯერ შეხვედროდა, მაგრამ ასე კატასტროფულად არასოდეს წაეგო. „მარტინასთან თამაში, მით უმეტეს, როდესაც ასეთ ფორმაშია, ძალიან ძნელია. თითქოს ყოველი შეცდომის შემდეგ ძალა კიდევ უფრო ემატებოდა“ — თავი იმართლა კურნიკოვამ.

მატჩის დასაწყისმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, მაგრამ მსაჯის ერთი გადაწყვეტილებით დაზარალებულმა რუსმა საკუთარი მოწოდება დაკარგა და თეთრი ბაირაღი გადმოფინა.

მეორე სეტის დასაწყისში კურნიკოვა ცოტა ხნით გამოცოცხლდა, მეტოქეს მოწოდება აართვა და საკუთარზე 30:0 დაწინაურდა, თუმცა ჰინგისმა აქაც მალე მიუჩინა თავისი ადგილი და დარჩენილ დროში ერთადერთი გეიმი მოაგებინა. გაკვეთილი ჩვეულებრივზე ოდნავ მეტი, 47 წუთი გრძელდებოდა.

„დღეს თითქმის სრულყოფილად ვითამაშე. ის ძალიან ბევრს რისკავს, მაგრამ ჩემისთანა სწრაფ ჩოგბურთელთან ერთი დარტყმით ქულას ვერ იგებს, ხანგრძლივი გათამაშებების დროს კი ბურთის კორტზე შენარჩუნება უჭირს“ — მარტივად განუმარტა ჟურნალისტებს წარმატების საიდუმლო ჰინგისმა.

## დევისის თასი

პირველი წრე

**ესპანეთი 2:0 იტალია**

**ალბერტ კოსტა** — დავიდე სანგვინეტი 6:4, 6:4, 6:2, **ალექს კარეტხა** — ანდრეა გაუდენცი 4:6, 6:1, 6:1, 6:1

**რუსეთი 2:0 ბელგია**

**ევგენი კაფელნიკოვი** — ფილიპ დევულფი 6:7 (3:7), 6:4, 7:5, 6:2; **მარატ საფინი** — კრისტოფ როშიუ 7:5, 3:6, 6:2, 6:4

**სლოვაკეთი 1:0 ავსტრია**

**კაროლ კუჩერა** — მარკუს ჰიპფლი 6:2, 6:3, 6:3

**გერმანია 1:0 ჰოლანდია**

**ტომი ჰაასი** — იონ ვან ლოტუმი 4:6, 7:6 (7:4), 6:3, 6:2

**აშშ 1:1 ზიმბაბვე**

**ანდრე აგასი (აშშ)** — უეინ ბლექი 7:5, 6:3, 7:5; **ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე)** — კრის ვუდრაფი (აშშ) 7:6 (7:2), 6:3, 6:2

მსოფლიო პირველ ჩოგან ანდრე აგასის 4000-კაციან დახურულ დარბაზში ზიმბაბველები ფეხზე წამოდგომითა და დაფდაფების ცემით მიესალმნენ, თუმცა ხოტორა ამერიკელმა სტუმართმასპინძლობა ვერ შეიშნო და მასპინძელთა მეორე ჩოგან უეინ ბლექს იოლად სძლია.

„ასეთ სიმაღლეზე, თანაც მსგავს ნესტიან ჰავაში თამაში ძალიან ძნელია და ზოგჯერ სულის მოთქმაც მიჭირდა. ჩვენი კაპიტანი მძიმე მომენტებში ძალიან დამეხმარა“ — შეაქო აგასიმ ჯონ მაკინროი მატჩის შემდეგ.

ამერიკელები უქმეებზე მთლად უდარდელად მაინც ვერ იქნებიან — ბაირონ ბლექის მონდომების წყალობით პირველი დღის შემდეგ ანგარიში საყაიმოა.

სამაგიეროდ, თითქმის გაინაღდეს მომდევნო წრეში გასვლა ესპანელებმა და რუსებმა, რომლებიც 2:0 დაწინაურდნენ, თანაც მშობლიურ კედლებში თამაშობენ.

**ავთანდილ სვანიძე**



ალბერტ კოსტა (მარჯვნივ) და ესპანელთა მწვრთნელი ხავიერ დუარტე



# მადლობა ღმერთს, რომ ავსტრალიელია

**მსოფლიოს** თასის მეექვსე და მეშვიდე ეტაპებისგან განსხვავებით, მერვეში, რომელიც შეფილდის 25-მეტრიან აუზში გაიმართა, მსოფლიოს რეკორდი არ დამყარებულა. 17 წლის ავსტრალიელი იან ტორპი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ორი კვირის წინათ სიდნეიში დამყარებული თავისსავე მსოფლიოს რეკორდს (1,44.82) ორი წამით ჩამორჩა. თუმცა, ტორპმა მეორე ადგილზე გასული ამერიკელი ჩად კარვინი მაინც 1,19 წამით ჩამოიტოვა.

საინტერესოა, რომ ტორპი აქამდე არ ყოფილა ბრიტანეთში, ევროპაშიც პირველად იასპარეზა, რაც სამი გამარჯვებით აღნიშნა — იგი პირველი იყო 100, 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

ტორპის ჰეთ თრიქმა და მისმა თვალშისაცემმა უპირატესობამ, გერმანელი მწვრთნელი მანფრედ ტისმანი დააეჭვა. მან ერთ-ერთ ჟურნალთან ინტერვიუში აღნიშნა, ასეთ „აშკარა უპირატესობებს“ ტორპი აკრძალული პრეპარატთა დაუხმარებლად ვერ მიაღწევდაო. თუმცა ტორპმა კატეგორიულად უარყო ეს ბრალდება.

— ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ მე არ ვსაჭიროებ არანაირ დოპინგს. ყველამ კარგად ვიცით, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებენ. ჩემი ერთადერთი დოპინგი ის უზარმაზარი შრომა გახლავთ, რომელიც ვარჯიშებზე მიხდება. კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩამიდენია. არასდროს გამომიყენებია დოპინგი და არც ვაპირებ. ეს ხომ ნამდვილი ყალთაბანდობაა. ამასთან, ყოველ ორ კვირაში ერთხელ გავდივარ დოპინგზე შემოწმებას, ტესტირებისთვის ვაბარებ სისხლს და მზად ვარ, ეს წინასწარაც გავაკეთო — თქვა ცურვის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონმა, რომელმაც ამგვარ წარმატებას 15 წლისამ, 1998 წელს პერთში, „დიდ წყლებში“ გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიაღწია.



იან ტორპი

ეს ფენომენალური მოცურავე სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე 200, 400 და 4X200 ესტაფეტაში გამარჯვების უპირველესი ფავორიტია.

— ბედნიერი ვიქნები, თუ ერთ-ერთ დისტანციაზე მაინც გავიმარჯვებ. ისე კი ვფიქრობ, მე უფრო 300 მეტრზე მოცურავე ვარ — ხუმრობით თქვა ტორპმა, რომელიც სასექტემბროდ 100-მეტრიანი დისტანციის ათვისებასაც აპირებს. მეტიც, ეტყობა, ტორპს 1500 მეტრზე კარგად ასპარეზობაც შეუძლია. ერთი თვის წინათ, ახალი სამხრეთის ღია ჩემპიონატზე მან 100, 200, 400 მეტრიანი დისტანციების გარდა 1500-ზეც ჩემპიონობა მოიპოვა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ესტაფეტაში ორი და ინდივიდუალურ სახეობაში ექვსი მსოფლიოს რეკორდის მფლობელს, სამ ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა განუზრახავს. ამდენად, გასაკვირი არ იქნება, თუ იგი, როგორც ამერიკელი მარკ სპიცი, ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდება.

ამიტომაცაა, რომ ტორპის შემყურე ავსტრალიელთა ნაკრების მწვრთნელი დონ ტელბოტი ღმერთს მადლობას სწირავს.

— ძილის წინ ვლოცულობ და ღმერთს მადლობას ვუძღვნი, რომ ჩვენ ტორპი გვყავს. მას შეუძლია, გახდეს უდიდესი მოცურავე, რომელიც კი ოდესმე გვყოლია და იქნებ უბრწყინვალესიც მათ შორის, ვინც მსოფლიოს უნახავს.

რაც შეეხება შეფილდში გამართულ შეჯიბრებებზე სხვათა შედეგებს, იგი ყველაზე უხვმოსავლიანი გამოდგა სლოვაკი მარტინა მორავცოვასა და სამხრეთაფრიკელი ტერენს პერკინსისთვის, რომლებმაც ოთხ-ოთხი გამარჯვება მოიპოვეს. მორავცოვამ წარმატებას 100 და 200 მეტრზე კომპლექსურ და იმავე მანძილებზე თავისუფალი სტილით ცურვაში მიაღწია, ხოლო პერკინსმა 100 და 200 მეტრზე ბრასში და 100 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში იმარჯვა.

ამ შეჯიბრებაზე ერთნაირი შედეგი აჩვენეს 100 მეტრზე ბრასით ცურვაში (1.02,04) ბრიტანელმა დარენ მიუმ და კანადელმა მიშელ ბულიანმა, რომლებიც ერთი წამით ჩამორჩნენ ტერენს პერკინს და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდნენ. საინტერესოა, რომ პერკინსი ყრუ არის და ამიტომაც იგი სტარტის ნიშანს ნათურის ანთებით იგებს.

აღსანიშნავია ამერიკელი ლენი კრეიზელბერგის გამოსვლაც, რომელმაც შეფილდში სამი გამარჯვება მოიპოვა 50, 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში. ამასთან, ამ ბოლო დისტანციაზე გზად 100-მეტრიან მონაკვეთზე ისეთი შედეგი აჩვენა, რომელიც 200 მეტრზე საკუთარი მსოფლიოს რეკორდის „გრაფიკს“ აღემატებოდა, მაგრამ ასეთი ტემპი ბოლომდე ვერ შეინარჩუნა. საბოლოოდ 1,53,96 აჩვენა, რაც 1,5 წამით მეტია თავის წინა მიღწევასთან შედარებით.

**გიგა გურასაშვილი**

პროფესიონალი მორბენალი ოლეგ ხარაზიშვილი მოსამზადებლად იწვევს სპორტსმენებს საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

ჯგუფებში ჩაწერა 11-დან 20 თებერვლამდე 11-დან 18 საათამდე.

*მისამართი:* ჭავჭავაძის პროსპექტი 49, სპორტის აკადემიის სტადიონი.

მიიღებიან სპორტის ყველა სახეობაში მოვარჯიშენი, ასევე ყველა ასაკის ადამიანები, რომელთაც სურთ გაიკაჟონ ჯანმრთელობა.

ანაზღაურება შეთანხმებით.

☎ 69 83 92, ოლეგი

# მუდამ ფერარი!

ფორმულა 1-ის ჩემპიონატებს შორის ოთხთვიანი შესვენება სულაც არაა არდადეგები. მართალია, პილოტებიცა და მათი შეფებიც ხშირად ჩნდებიან უამრავ წვეულებასა თუ ხმაურიან პრეს-კონფერენციებზე, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კონსტრუქტორებსა და მექანიკოსებს მხარ-თეძოზე კოტრიალის დრო უდგათ. ყველა ცდილობს, რაიმე კონსტრუქციულ სიახლეს მიაგნოს და ნახაზებიდან უშუალოდ ბოლიდებში გადაიტანოს, მერე კი ტესტპილოტების მეშვეობით ტრასაზეც შეამოწმოს. ერთი სიტყვით, ნებისმიერი საჯინიბოს მიზანია, მორიგ ჩემპიონატს განახლებული მანქანით შეხვდეს და კონკურენტები ჩამოიტოვოს. ამიტომაც, სამხრეთის თბილი ქვეყნების ავტოდრომებზე ერთი დღითაც არ წყდება 800-ცხენისძალიანი ურჩხულების „საშვებულებო" ღმუილი.

ცხადია, არც შარშანდელი სეზონის ერთ-ერთი გმირი, „ფერარია" გულხელდაკრეფილი. სისხლისფერი ბედაურების მეპატრონე ლუკა დე მონტეძემოლო 15-წლიანი ხელმოცარვის შემდეგ მოპოვებული კონსტრუქტორთა თასის შენარჩუნებასაც აპირებს და უფრო მეტსაც, ესე იგი, აბსოლუტურ ჩემპიონობას უმიზნებს.




**სკუდერია ფერარი**

გუნდი შეიქმნა 1929 წელს

შტაბ-ბინა: მარანელო (იტალია)
დებიუტი ფორმულაში: 1950 წლის 21 მაისი, მონაკო
პირველი გამარჯვება: 1951, ბრიტანეთის დიდი პრიზი — ხოსე ფროილან გონსალესი (არგენტინა)
618 რბოლა; 125 გამარჯვება; 3259, 8 ქულა
მსოფლიოს ჩემპიონატი — 9
1952-53 ალბერტო ასკარი (იტალია)
1956 ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა)
1958 მაიკ ჰოტორნი (დიდი ბრიტანეთი)
1961 ფილ ჰილი (აშშ)
1964 ჯონ სარტისი (დიდი ბრიტანეთი)
1975, 77 ნიკი ლაუდა (ავსტრია)
1979 ჯოდი შექტერი (სამხრეთ აფრიკა)
კონსტრუქტორთა თასი — 9
1961, 1964, 1975, 1976, 1977, 1979, 1982, 1983, 1999
გუნდის მფლობელი: ლუკა დე მონტეძემოლო
დირექტორი: ჟან ტოდტი

## კომენდატორეს პირმშო

ნიშანდობლივია, რომ ზუსტად ნახევარსაუკუნოვანი ფორმულის 50-ე საიუბილეო ჩემპიონატში სწორედ „ფერარიმ" გაიმარჯვა — „სამეფო რბოლების" ყველაზე სახელოვანმა გუნდმა, ერთადერთმა, რომელიც უკლებლივ ყველა პირველობაში მონაწილეობდა.

„ფერარის" ისტორია 70 წლის წინათ დაიწყო. იტალიელმა მრბოლმა ენცო ფერარიმ 1929 წელს „ალფა რომეოსთან" ერთად შექმნა თავისი პირველი ავტომობილი — F 125.

თავად ენცო საშუალო დონის მძღოლი იყო. მართალია, 12-წლიანი კარიერის მანძილზე არაერთხელ გაუმარჯვებინა, მაგრამ ექსტრაკლასის პილოტობამდე მაინც ბევრი აკლდა. მისი უმთავრესი ნაკლი კი ის გახლდათ, რომ ბუნებით ფიცხი და მკაცრი კომენდატორე რბოლისას ზედმეტად უფრთხილდებოდა, ლამის ეფერებოდა მანქანას. 1931 წლის ივნისში, მორიგი პრიზის მოგების შემდეგ, მან საკუთარ თავს სიტყვა მისცა, თუ ვაჟიშვილი შეეძინებოდა, შეჯიბრებებში აღარ მიიღებდა მონაწილეობას. ასეც მოიქცა, როდესაც 1932 წლის იანვარში დინო დაიბადა. მას შემდეგ ფერარი მთლიანად მანქანების კონსტრუირებაზე გადაერთო.

40-იანი წლების ბოლოს, როცა ახალშექმნილმა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ბოლიდები ძრავის სიმძლავრის მიხედვით კლასებად დაჰყო და „ფორმულის" ცნებაც გაჩნდა, კომენდატორეს უკვე საათივით ჰქონდა საქმე აწყობილი. მის ფირმაში მთავარ კონსტრუქტორად მუშაობდა საავიაციო მრეწველობიდან გადმობირებული ჩინებული ინჟინერი აურელიო ლამპრედი, რომლის კრედოც იყო მსუბუქი და, რაც მთავარია, საიმედო ძრავების შექმნა. სწორედ ლამპრედის საუცხოო მოდელმა F 500 მოუტანა ფერარის საყოველთაო აღიარება და დიდება — ამ მანქანით ზედიზედ ორჯერ (1952, 53) მსოფლიოს ჩემპიონობა არავის დაუთმო ლეგენდარულმა იტალიელმა მრბოლმა ალბერტო ასკარიმ. ხუთასიანმა „ფერარიმ" ლამის აბსოლუტური რეკორდიც დაამყარა — 15 ეტაპიდან 14 მოიგო, თანაც 1952 წლის ჩემპიონატის მთელი პოდიუმი კომენდატორეს ბიჭებმა ასკარიმ, ჯუზეპე ფარინამ და პიერო ტარუფიმ დაიპყრეს. ცხადია, მსგავსი შემთხვევა აღარ გამეორდება, რადგან ამჟამად ყოველი გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ ორორი პილოტია.

ამ ისტორიულმა გამარჯვებებმა ჩაუყარა საფუძველი იმ უდიდეს გუნდს, რასაც უკვე კარგა ხანია წარმოადგენს „ფერარი" — ფორმულის სიმბოლო, იტალიელთა ეროვნული სიამაყე, „სამეფო რბოლების" ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც მუდამ მხოლოდ საკუთარი ძრავით ასპარეზობს. საავტომობილო სამყაროში უზარმაზარი პოპულარობის და თაყვანისმცემელთა რაოდენობის მხრივ ენცო ფერარის პირმშო ერთად აღებულ ყველა გუნდს ჯობნის.

## ოქროს ხანა

„ფერარის" ზღაპრული ტრიუმფის პერიოდი ფორმულის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის საწყის ორ მესამედზე მოდის. მართალია, იმ წლებში სხვა ფირმების პილოტებიც აღწევდნენ წარმატებებს, მაგრამ სხვებზე მძლავრად და სტაბილურად მაინც სისხლისფერი ბედაურები დაჯირითობდნენ. პირად-გუნდურ პირველობაში 17-გზის ჩემპიონობა ამის ნათელი დასტურია.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა 70-იანი წლების ბოლო. 1975-79 წლებში „ფერარის" პილოტებმა ოთხჯერ კონსტრუქტორთა თასი და სამჯერ პირადი პირველობა დაისაკუთრეს. ასეთი ბრწყინვალე მიღწევების მიუხედავად, კომენდატორე მაინც გულდაწყვეტილი იყო, რადგან ყველა ეს ტიტული მის თავიდან ბოლომდე იტალიურ გუნდს უცხოელებმა მოუპოვეს. ასკარი „სკუდერიის" ერთადერთ იტალიელ ჩემპიონად დარჩა.

კონსტრუქტორთა თასი, ანუ გუნდური პირველობა 1958 წლიდან თამაშდება. შედარებით სუსტი სამი სეზონის შემდეგ, 1961 წელს „ფერარი" პირველად დაეპატრონა თასს და პირადი ტურნირიც მოიგო. მაგრამ ეს ტრიუმფალური შედეგი, ანუ აბსოლუტური ჩემპიონობა იტალიაში ზარ-ზეიმით არ აღუნიშნავთ. მიზეზი სეზონის ბოლოს დატრიალებული ფორმულის ყველაზე სისხლიანი ტრაგედია გახდა. იმ დაწყევლილ ჩემპიონატში „ფერარის" საჭეს უსხდნენ ამერიკელი მილიონერი ფილ ჰილი და გერმანელი ბარონი ვოლფგანგ ფონ ტრიპსი. კომენდატორეს ბოლიდების უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე ჰილ-ტრიპსის დუეტს პრაქტიკულად განაღდებული ჰქონდა პირად-გუნდური პირველობა. გასარკვევი ისღა რჩებოდა, რომელი მათგანი მოიპოვებდა ჩემპიონობას. ტრიპსი 7 ქულით უსწრებდა თანაგუნდელს და წარმატების ჩინებული შანსიც ჰქონდა. მაგრამ 10 სექტემბერს „მონცას" ავტოდრომზე იტალიის დიდი პრიზის გათამაშებისას მეორე წრეზევე მოხდა ის საშინელი კატასტროფა — ჯიმ კლარკის „ლოტუსთან" შეჯახების შემდეგ ტრიპსის მართვადაკარგული ბოლიდი მაყურებლებში შევარდა და თავისი მძღოლის გარდა კიდევ 14 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რბოლა მაინც გაგრძელდა. გაიმარჯვა ჰილმა და პირველი ამერიკელი ჩემპიონიც გახდა.

ფორმულის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული და საინტერესო, ამასთან ტრაგიკულიც, 1982 წლის ჩემპიონატი იყო. „ფერარის" პილოტებმა დიდიე პირონიმ და ჟილ ვილნევმა თავიდანვე ხელთ იგდეს ლიდერობა. მაგრამ მეხუთე ბელგიურ ეტაპამდე ვარჯიშისას ვილნევის „ფერარისა" და გერმანელი იოხენ მასის „მარჩის" ავარიამ კანადელი მრბოლი იმსხვერპლა, სამი თვის შემდეგ კი გერმანიაში, „ჰოკენჰაიმრინგზე" ისე დაიმტვრა პირონი, რომ საერთოდ ჩამოშორდა რბოლებს. საოცარია, მაგრამ ამ საშინელი კატასტროფების მიუხედავად, ის ჩემპიონატი მაინც „ფერარის" გამარჯვებით დასრულდა — პატრიკ ტამბიმ და მარიო ანდრეტიმ ღირსეულად გააგრძელეს დაწყებული საქმე და კონსტრუქტორთა თასი მარანელოში დააბინავეს.

როგორც ხედავთ, „სკუდერიას" საჩემპიონო გზა, სამწუხაროდ, მხოლოდ ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი.

## იქნებ შუმიმ მაინც

1983 წელს, კონსტრუქტორთა თასის მერვედ მოგების შემდეგ, „სკუდერიას" „დიდი დეპრესიის" პერიოდი დაუდგა. ისე, მეორე-მესამე ადგილი „ფერარისთვისაა" წარუმატებლობა, თორემ თითქმის ყველა სხვა გუნდისთვის ოცნების მწვერვალი გახლავთ.

იტალიური საჯინიბოს შეფები და კონსტრუქტორები იდეების ნაკლებობას არასდროს უჩიოდნენ და მუდამ ტექნიკური განახლების ავანგარდშიც იდგნენ, მაგრამ, ეტყობა, შესრულება და შემსრულებლები არ უვარგოდათ.

12 წლის წინ ენცო ფერარის გარდაცვალების მერე ხელმძღვანელობა არაერთხელ შეიცვალა, თუმცა საქმეს მაინც არაფერი ეშველა. „ფერარის" პრესტიჟის აღდგენა ნაწილობრივ შეძლო ლეგენდარულმა ალენ პროსტმა, რომელმაც 1990 წელს ხუთი დიდი პრიზის მოგება მოახერხა და ახლოსაც იყო ჩემპიონობასთან, მაგრამ გუნდიცა და ფრანგი „პროფესორიც" საბოლოოდ მხოლოდ მეორე ადგილებს დასჯერდნენ „ჯადოქარ" აირტონ სენასა და მისი „მაკლარენის" შემდეგ. იმავე სეზონში, კულუარული ინტრიგების მიზეზით, პროსტს „სკუდერიის" დატოვება მოუხდა და იტალიელთა სიამაყე ისევ ჩაიძირა. მომდევნო ხუთ ჩემპიონატში ორად-ორი გამარჯვება სწორედ რომ კატასტროფის ტოლფასი იყო.

მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა 1996 წელს, როცა „ფერარის" საჭეს მიხაელ შუმახერი მიუჯდა. მართალია, ჯერჯერობით ვერც მან შეძლო პირველობის მოპოვება, მაგრამ ამ ოთხ სეზონში 59 რბოლიდან 16-ის მოგება მოასწრო და გუნდის რეკორდსმენიც გახდა. თანაც, შარშან, მიუხედავად იმისა, რომ საშინელი ავარიის გამო ექვსი ეტაპი გამოტოვა, თავისი 44 ქულით საერთო საქმეს მნიშვნელოვნად შეეწია და ედი ირვინთან და მიკა სალოსთან ერთად, როგორც იქნა, „ფერარის" კონსტრუქტორთა თასი მოაპოვებინა. ეს მოხდა უსაშველოდ გაჭიანურებული, 15-წლიანი კრიზისის შემდეგ.

„სკუდერიისთვის" იმ უიღბლო ხანაში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს მისმა უმთავრესმა კონკურენტებმა „მაკლარენმა" და „უილიამსმა". ამ ინგლისურმა საჯინიბოებმა 7-7 ტიტული მოიხვეჭეს, თან „გზად" რამდენიმე რეკორდიც „მიითვისეს". თუმცა, იტალიელებს მაინც დარჩათ ისეთი „მუდმივი" მიღწევები, რომელთა დამხობა მოხერხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად იტყვიან უარს რბოლებში მონაწილეობაზე.

სისხლისფერმა ბოლიდებმა ყველაზე მეტ — 618 რბოლაში მიიღეს მონაწილეობა; 90 პილოტი 1425-ჯერ გავიდა სტარტზე; მოიგეს 125 დიდი პრიზი, 126-ჯერ კვალიფიკაცია ანუ პოული, 138-ჯერ იყვნენ წრეზე უსწრაფესნი; სარეკორდოა დაგროვილი ქულების რაოდენობაც — 3259,8. გარდა ამისა, ფერარელებმა ყველაზე მეტჯერ მოიგეს ფორმულის უმთავრესი ეტაპები (მონაკოს გარდა): გერმანიისა — 15-ჯერ, იტალიის — 12-ჯერ, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ბელგიის — 11-ჯერ.

დღემდე ვერავინ მოახერხა „სკუდერიის" კიდევ ერთ ფანტასტიკურ შედეგთან მიახლოებაც კი: 1952-53 წლებში ასკარიმ, ფარინამ, ტარუფიმ და მაიკ ჰოტორნმა ზედიზედ 14 რბოლა მოიგეს.

## ლუკას რუბენსი სჭირდება

ფორმულაში გამოჩენისთანავე „ფერარის" მიზანი მუდამ გამარჯვება და ჩემპიონობა იყო. ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიუხედავად იტალიური ბოლიდით თუნდაც ერთი სეზონი რბოლა ყოველი პილოტის სანუკვარ ოცნებად რჩება. ეს იმის დარია, რაც, ვთქვათ, მონტე-კარლოს ურთულეს ტრასაზე ფინიშამდე მიღწევა და თუნდაც ერთი ქულის მოპოვება, ან ჩოგბურთელისთვის ერთხელ მაინც უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე გამარჯვება.

წლეულს ეს პატივი ხვდა ბრაზილიელ რუბენს ბარიკელოს, რომელმაც „ფერარის" კოკპიტში შეცვალა ზედმეტად ენაწყლიანი ედი ირვინი. თუმცა, ირლანდიელის უტაქტო ლაყბობა არ ყოფილა მონტეძემოლოს ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი. „ფერარის" მეპატრონეს სპორტულზე მეტად საკითხის კომერციული მხარე აინტერესებს: ბარიკელო პირველი ბრაზილიელი პილოტია, ვინც „სკუდერიის" ბოლიდით ირბოლებს და სინიორ ლუკაც სწორედ რუბინიოს დახმარებით აპირებს სამხრეთ ამერიკის ამ უდიდესი ქვეყნის საავტომობილო ბაზრის დაპყრობას. მართლაც, „ფერარისა" და მისი მესაკუთრის, კონცერნ „ფიატის" ნაწარმს ბრაზილიის საუკეთესო და ძალიან პოპულარულ მრბოლზე უკეთ ვინ გაუწევს რეკლამას.

რაც შეეხება 27 წლის ბარიკელოს პროფესიულ მონაცემებს, ისინი ირვინისაზე უკეთესი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, არაფრითაა უარესი. მართალია, 113 რბოლიდან ჯერ ერთიც ვერ მოუგია, მაგრამ ამაში, ვფიქრობთ, დამნაშავეა მისი ადრინდელი მანქანები „ჯორდანი" და „სტიუარტი", რომლებიც გრანდებს ნამდვილად არ განეკუთვნება. სხვათა შორის, კარიერა ირვინმაც „ჯორდანში" დაიწყო საკმაოდ უხეიროდ და პირველი დიდი პრიზის მოგება სწორედ „ფერარიში" მისვლის შემდეგ, 33 წლისამ მოახერხა თავის 82-ე რბოლაში.

მოკლედ, ბარიკელოს ეიმედება, რომ ერთ-ორ რბოლასაც მოიგებს და შუმახერსაც დაეხმარება საპირველადგილო ბრძოლაში. ისე, მართლაც უკვე დროა, რომ შუმიმ „სკუდერიაში" საქმიანობის მეხუთე წელს მაინც მოიპოვოს ჩემპიონობა და გაამართლოს თავისი 30-მილიონიანი შემოსავალი, ანუ ყოველდღიური 80 000 დოლარი. მონტეძემოლო კი გულის სიღრმეში ლამის დარწმუნებულიცაა, რომ ორივენი თავთავიანთ ნავსს გატეხენ და ეს შეხმატკბილებული გერმანულ-ბრაზილიური დუეტი მის იტალიურ საჯინიბოს დიდი ხნის ნანატრ აბსოლუტურ ჩემპიონობას მოუპოვებს.

**ირაკლი ნიკოლაძე**



ლეგენდარული კომენდატორე ენცო ფერარი

# ქართველები შორიდან იწყებენ

ხვალ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ექვსი ერის B ჯგუფის პირველ მატჩში პორტუგალიას ეთამაშება. შეხვედრა ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე გაიმართება იქაური დროით 3 საათზე. ჩვენები ლისაბონის გარეუბან კარსაველოსში, სასტუმრო „პრაი ამარში“ დაბინავდნენ. როგორც რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა ტელეფონით გვაცნობა, ქართველთა ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი და მისი შეგირდები თავს კარგად გრძნობენ და ბრძოლისთვის მზად არიან.

სორელი საქართველოს ნაკრებს მოედანზე ასეთი შემადგენლობით გაიყვანს:

*ცაბაძე, შველიძე, გიორგაძე, ნადირაძე, პარწიკანაშვილი, ლაბაძე, ზედგენიძე, მჭედლიშვილი, აბუსერიძე, ჯიმშელაძე, ხეხელაშვილი, ქავთარაშვილი, ხამაშურიძე, ანდღულაძე, ურჯუკაშვილი.*

თადარიგში იქნებიან: *აბაშიძე, მოდებაძე, ზიბზიბაძე, კაცაძე, ნიკოლაენკო, ესაკია.*

პორტუგალიელებს ახალი, ახალზელანდიელი მწვრთნელი ჰყავთ. მათ უკანა ხაზის მორაგბეებს და გარემარბებს უქებენ.

ქართველთა ხვალინდელი მეტოქე ევროპაში საშუალო დონის გუნდად ითვლება. მას მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე ჯერ არ უასპარეზია. ამ დიდ ტურნირზე მოხვედრის ყველაზე დიდი შანსი პორტუგალიელებმა შარშან გაუშვეს ხელიდან, როცა პლეი ოფში ურუგვაის ნაკრებთან დამარცხდნენ.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ქართველებს სარევანშო სტიმულიც აქვთ: 1997 წელს ლისაბონში მასპინძლებმა ჩვენ ნაკრებს 21:17 მოუგეს.

ზაზა ბენიძე

# ინგლისელებს შეძენები ენატრებათ



კლივ ვუდვორდი

მსოფლიოს თასის ნაადრევად დამთავრების (მეოთხედფინალში) შემდეგ ინგლისის ნაკრები მარცხის მიზეზების ძიებაშია. გუნდის თითქმის ნახევარი განახლდა, ინგლისელთა თავკაცმა კლივ ვუდვორდმა უკვე განაცხადა, რომ ზაფხულში დატოვებს თანამდებობას. რა თქმა უნდა, ამ პირობებში ექვსი ერის პირველობის პირველი გათამაშებისთვის მზადება გართულდა, მაგრამ კლივ ვუდვორდმა ალბათ იცის, რასაც აკეთებს. სამხრეთ აფრიკასთან მძიმე მარცხისთვის (21:44) კრიტიკის ქარცეცხლში გატარებულმა ვუდვორდმა, მსოფლიოს თასის მომდევნო პერიოდში ბევრი ახალბედა ნახა საქმეში და ნაკრებსაც ახალი სისხლი გადაუსხა.

ინგლისელთა ყოფილი კაპიტანი ვილი კარლინგი ნაკრების მთავარ მწვრთნელზე უარყოფითი აზრისაა: „ვუდვორდი არაა სიტუაციის კაცი. მსოფლიოს თასისთვის საშინლად მოამზადა გუნდი და თუ მუშაობას იგივე მეთოდებით გააგრძელებს, არა მგონია, ინგლისური რაგბი აღმავლობის გზას დაადგეს“.

2003 წლის მსოფლიოს თასისთვის უკეთესად მოსამზადებლად ინგლისის რაგბის კავშირმა ნაკრების ყოფილ კაპიტან რობ ენდრიუს დაავალა გარკვეული სიახლეების ძიება და დანერგვა, განსაკუთრებით საკლუბო დონეზე. გადატვირთული კალენდარი, არასაკმარისი ფინანსური შემოსავლები, ბრიტანული ლიგის პროექტი, უცხოელ მორაგბეთა მოზღვავება, თითქმის იგივე პრობლემები აქვს ინგლისურ რაგბის, რაც იქაურ ფეხბურთს (ფინანსების გარდა).

„ყველა ამბობს, რომ სეზონი გადატვირთულია და განტვირთვა სჭირდება, მაგრამ იგივე შეცდომებს ვიმეორებთ. როდემდე უნდა ვითამაშოთ შუა კვირაშიც?“ — აღშფოთებულია „ლონდონ ირიშის“ მთავარი მწვრთნელი დიკ ბესტი, რომელიც ბევრს ვუდვორდის შემცვლელად მიაჩნიათ.

„ერთ კვირაში სამი მატჩი, ორი ჩემპიონატში და ერთი თასზე და ეს საერთაშორისო მატჩამდე ერთი კვირით ადრე — ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ვერანაირი ფული ვერ აღადგენინებს მოთამაშეებს ძალებს ერთ კვირაზე უფრო მოკლე დროში“ — დაამატა ბესტმა.

სწორედ ამ გადატვირთული კალენდრის ბრალია, რომ ვუდვორდის ნაკრებს ათზე მეტი მორაგბე გამოაკლდა, რომელთა უმეტესობაც ტრავმირებულია. ფრთა დენ ლაჯერი, ნახევარმცველი პოლ გრეისონი და, რაც მთავარია, კაპიტანი მარტინ ჯონსონი, რომელსაც 1994 წლიდან ხუთი ერის პირველობაზე ზედიზედ 24 მატჩი უთამაშია, სწორედ ტრავმების გამო ვერ დაეხმარებიან ნაკრებს.

ამიტომაც ვუდვორდმა კვლავ ახალგაზრდები მიიწვია — მაიკ ტინდელი და ბენ გოჰენი 21 წლისანი არიან და ირლანდიის წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში იქნებიან, იენ ბოლშოუ, ალექს კინგი და ენდი გომარსალი კი სათადარიგოთა სკამზე ისხდებიან. თუმცა ინგლისში გამოცდილებიც ბევრნი იქნებიან. სწორედ მათი იმედით შეუტევს ვუდვორდი ირლანდიურ „უტეხ სულს“.

# გმირთა ვარამი ირლანდიურად

ირლანდიელთა მწვრთნელმა უორენ გეტლენდმა მხოლოდ ოთხი ცვლილება მოახდინა გუნდში, რომელმაც მსოფლიოს თასზე მეოთხედფინალში გასასვლელი მატჩი არგენტინასთან წააგო. დღეს ირლანდია თვიქნემში შეებრძოლება ინგლისს ექვსი ერის პირველობის პირველ ტურში.

ახალზელანდიელმა მწვრთნელმა სამეოთხედელ მაიკ მალინზს და მორკინალ რობერტ კეისის მისცა საშუალება, თავიანთი პირველი მატჩი ეთამაშათ ტურნირში. მათ გარდა „ძველი ახლებიც“ არიან — პიტერ კლოჰესი და ენტონი ფოლეი. ახლახან ცნობილი გახდა, რომ ჯერემი დევიდსონი და რონენ ოგარა, შესაბამისად, იდაყვისა და მუხლის ტკივილების გამო ინგლისთან ვერ ითამაშებენ.

„მათმა იძულებითმა უქმობამ შემადგენლობის დადგენა გამიადვილა. თუმცა ჩვენ ისინი ძალიან დაგვაკლდებიან და ვწუხვართ კიდეც მათი ტრავმების გამო“ — თქვა გეტლენდმა.

შარშან ხუთი ერის პირველობაზე ბოლოსწინა ადგილზე გასული (საფრანგეთს ბურთების შეფარდებით აჯობა) და მსოფლიოს თასზე შერცხვენილი ირლანდია როგორმე უნდა ამაღლდეს ქომაგების თვალში. არადა, უორენ გეტლანდის მისვლის შემდეგ თითქოს ირლანდიური რაგბი აღმავლობის გზას უნდა დასდგომოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ირლანდია ერთმანეთის მიყოლებით მარცხდებოდა და ხსნა არსაიდან ჩანდა.

წლეულს ირლანდიურმა კლუბმა „მანსტერმა“ ამ სეზონში მშვენივრად ჩაატარა მატჩები და ევროპის თასის მეოთხედფინალშიც გავიდა. ჰოდა, მისმა კაპიტანმა კეიტ ვუდმაც (28 წ. 31 კეპი) მალევე იგემა კლუბში ბრწყინვალე თამაშის შედეგი. იგი „სამყუროვანთა“ კაპიტნად აირჩიეს, თუმცა აქამდეც ყოფილა მინდორზე თავისიანების წინამძღოლი, მაგრამ ამ როლში გამართულ ცხრავე მატჩში მისი გუნდი დამარცხებულა.

„ირლანდიელებს აღარ სურთ „გმირული მარცხები“. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ გმირული გამარჯვებებიც შეგვიძლია“ — თქვა კეიტ ვუდმა და თან დაიქადნა, ინგლისელებს ფიცხელ ომს გავუმართავთ და ყველანაირად ვეცდებით მათ დამარცხებასო.

ისე, ირლანდია ბრიტანელთაგან ყველაზე ნაკლებტიტულიანი ქვეყანაა. ხუთი ერის პირველობა სულ 10-ჯერ მოუგია, დიდი სლემი მხოლოდ ერთხელ შეუსრულებია შორეულ 1948 წელს. სამმაგი გვირგვინი კი, რომელიც დანარჩენი ბრიტანელების დამარცხებისთვის განკუთვნილი ჯილდოა, ირლანდიელებს უკანასკნელად 1985 წელს მოუპოვებიათ.

ერთი სიტყვით, ვნახოთ, იქნებ წელს რალაც გამოუვიდეთ „მწვანეებს“?

გაიოზ თალაქვაძე

## ექვსი ერის ყველა კაცი

**იტალია:** პინი, დ. დალანი, მ. დალანი, მარტინი, სტოიკა, დომინგესი, ტრონკონი (კაპ.), ბერგამასკო, ვისერი, ჯიოვანელი, გრიტი, ჩეკინატო, პაოლეტი, მოსკარდი, კუტიტა

**შოტლანდია:** მეტკელფი, ლონგსტაფი, მეიერი, ჯ. ლესლი (კაპ.), ლოგენი, თოუნსენდი, რედპეტი, პოუნტნი, სიმპსონი, მ. ლესლი, გრიმზი, მიურეი, სტიუარტი, ბალოკი, სმიტი

**ინგლისი:** პერი, ჰილეი, ტინდელი, კეტი, გოჰენი, უილკინსონი, დესონი (კაპ.), ბეკი, ჰილი, დალალიო, შოუ, არჩერი, ვიკერი, გრინინგი, ლეონარდი

**ირლანდია:** ოში, ბიშოპი, ოდრისკოლი, მალინზი, მეგზი, ჰამფრიზი, ტირნეი, ფოლეი, დეისონი, ოკუინეგენი, ოკელი, კეისი, უოლოსი, ვუდი (კაპ.), კლოჰესი

**უელსი:** ჰოვარტი, ტომასი, ტეილორი, ჯონს-ჰიუგზი, ჯეიმსი, ნ. ჯენკინსი, ჰოული, სინკინსონი, ქუინელი, ჩარვისი, ვიატი, გოუგი, იანგი (კაპ.), გ. ჯენკინსი, როჯერსი

**საფრანგეთი:** კასტანიედი, ნტამაკი, ლომბარი, დურთი, დომინისი, ლამეზონი, გალტიე, მანი, პელუ (კაპ.), ბენაზი, მატიუ, ბრუზე, ტურნერი, დალ მაზო, კალიფანო



3 თებერვალი

**ბოსტონი — ტორონტო 4:2**

2:0 1:0 1:2

1:0 სამსონოვი 4'29 (12); 2:0 მენი 8'14 (1); 3:0 ტორნტონი 31'33 (14); 3:1 სუნდინი 44'47 (25); 3:2 ჯონსონი 46'26 (11); 4:2 მაკლარენი 53'34 (6)

**ბუფალო — ოტავა 4:2**

1:0 2:0 1:2

1:0 პეკა 14'56 (10); 2:0 შატანი 30'40 (26); 3:0 ჰოლცინგერი 35'44 (7); 3:1 ჰოსა 41'27 (18); 4:1 აფინოგენოვი 47'01 (13); 4:2 პროსპალი 49'37 (13)

**ვაშინგტონი — კაროლინა 2:1**

0:1 1:0 1:0

0:1 რობერტსი 12'39 (12); 1:1 მაკენზი 23'22 (4); 2:1 დალინი 46'22 (9)

**ნიუ ჯერსი — ნეშვილი 4:1**

1:1 1:0 2:0

0:1 რონინგი 5'56 (19); 1:1 ჰოლიკი 7'38 (18); 2:1 არნოტი 20'09 (16); 3:1 მორისონი 46'15 (4); 4:1 პედერსონი 56'28 (3)

**ფილადელფია — ანაჰაიმი 3:3**

1:1 1:1 1:1 0:0

1:0 ლეკლერი 0'37 (27); 1:1 ტვერდოვსკი 9'10 (6); 2:1 დეჟარდენი 36'25 (12); 2:2 ნილსენი 39'03 (8); 2:3 სელიანე 41'09 (23); 3:3 ლინდროსი 46'15 (20)

**პიტსბურგი — აილენდერსი 4:2**

2:0 2:0 0:2

1:0 რაიტი 6'42 (6); 2:0 ჰრდინა 17'06 (10); 3:0 ბარნაბი 22'37 (6); 4:0 ლანგი 29'11 (17); 4:1 უოტი 42'32 (1); 4:2 გრინი 46'59 (7)

**ტამპა — მონრეალი 1:2**

0:1 1:0 0:0 0:1

0:1 ლინდენი 0'19 (5); 1:1 ტაკერი 30'46 (14); 1:2 რუჩინსკი 60'31 (16)

**ატლანტა — რეინჯერსი 3:6**

2:2 1:2 0:2

1:0 ემერსონი 5'34 (10); 2:0 ფერარო 10'08 (13); 2:1 შნაიდერი 11'27 (6); 2:2 ნედვედი 19'34 (17); 3:2 ემერსონი 20'26 (11); 3:3 იორკი 31'05 (17); 3:4 კამენსკი 38'57 (6); 3:5 დეიგლი 44'39 (6); 3:6 ჰლავაჩი 55'56 (10)

**კალგარი — ჩიკაგო 5:5**

0:3 3:1 2:1 0:0

0:1 სალივანი 1'44 (9); 0:2 მირონოვი 3'55 (3); 0:3 დაზე 18'22 (20); 1:3 შანცი 23'31 (8); 1:4 კოტი 24'51 (6); 2:4 ლინდსეი 32'41 (5); 3:4 ჰაუსლი 39'20 (8); 4:4 ბურე 41'59 (28); 5:4 უიმერი 43'42 (5); 5:5 დაზე 59'50 (21)

**კოლორადო — სან ხოსე 3:3**

0:2 1:0 2:1 0:0

0:1 რიჩი 0'23 (14); 0:2 რიჩი 6'48 (15): 1:2 ჰეიდუკი 37'34 (23); 1:3 სუნდსტრიომი 41'37 (6); 2:3 დევრიზი 43'44 (1); 3:3 ჰეიდუკი 44'29 (24)

**ფინიქსი — დალასი 0:2**

0:2 0:0 0:0

0:1 მოროუ 1'17 (7); 0:2 მოდანო 15'51 (22)

**ვანკუვერი — სენტ ლუისი 2:5**

2:1 0:2 0:2

0:1 ბარტესკო 7'08 (12); 1:1 შეფერი 9'35 (13); 2:1 ოკუანი 19'19 (10); 2:2 რიშე 23'19 (9); 2:3 ელეტი 32'02 (1); 2:4 ისტვუდი 40'22 (16); 2:5 რიზონერი 55'21 (3)

**ლოს ანჯელესი — დეტროიტი 6:3**

0:1 4:1 2:1

0:1 ფიოდოროვი 17'42 (14); 1:1 პალფი 21'45 (18); 1:2 ფიოდოროვი 24'03 (15); 2:2 შტუმპელი 32'57 (5); 3:2 სმოლინსკი 33'37 (15); 4:2 რობიტაილი 34'17 (25); 5:2 მიურეი 49'47 (17); 6:2 პალფი 51'50 (19); 6:3 მოლტბი 55'23 (3)



სენტლუისელ კრეიგ კონროის დროზე რომ არ ემარჯვა, თანაგუნდელ ბობ ბასენს მძიმედ დააშავებდა

## სატურნირო ვითარება

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტორონტო | 54 | 30 | 6 | 3 | 18 | 164:141 | 69 |
| ოტავა | 53 | 25 | 9 | 2 | 19 | 141:133 | 61 |
| ბოსტონი | 54 | 18 | 14 | 4 | 22 | 141:152 | 54 |
| ბუფალო | 53 | 21 | 7 | 2 | 25 | 133:139 | 51 |
| მონრეალი | 51 | 18 | 7 | 2 | 26 | 113:125 | 45 |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 53 | 33 | 6 | 0 | 14 | 163:111 | 72 |
| დეტროიტი | 53 | 31 | 6 | 1 | 16 | 182:141 | 69 |
| ნეშვილი | 54 | 20 | 6 | 4 | 28 | 145:167 | 50 |
| ჩიკაგო | 53 | 18 | 7 | 2 | 28 | 151:168 | 45 |
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 53 | 33 | 5 | 4 | 15 | 168:126 | 75 |
| ფილადელფია | 51 | 26 | 10 | 1 | 15 | 150:118 | 63 |
| რეინჯერსი | 53 | 23 | 7 | 3 | 23 | 152:146 | 56 |
| პიტსბურგი | 52 | 25 | 4 | 5 | 25 | 163:155 | 55 |
| აილენდერსი | 52 | 13 | 6 | 1 | 33 | 113:172 | 33 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| კოლორადო | 54 | 26 | 8 | 1 | 20 | 150:139 | 61 |
| ედმონტონი | 53 | 18 | 13 | 7 | 22 | 145:139 | 56 |
| კალგარი | 53 | 23 | 6 | 2 | 24 | 129:155 | 54 |
| ვანკუვერი | 52 | 15 | 10 | 6 | 27 | 133:157 | 46 |
| **სამხრეთ აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ფლორიდა | 52 | 30 | 4 | 3 | 18 | 162:127 | 67 |
| ვაშინგტონი | 51 | 25 | 8 | 1 | 18 | 141:128 | 59 |
| კაროლინა | 54 | 21 | 8 | 0 | 25 | 134:149 | 50 |
| ტამპა | 51 | 12 | 6 | 5 | 33 | 134:189 | 35 |
| ატლანტა | 52 | 11 | 6 | 4 | 35 | 115:189 | 32 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 53 | 29 | 5 | 2 | 19 | 126:114 | 65 |
| ფინიქსი | 53 | 29 | 6 | 1 | 18 | 159:137 | 65 |
| სან ხოსე | 56 | 22 | 7 | 2 | 27 | 148:146 | 58 |
| ლოს ანჯელესი | 51 | 23 | 7 | 3 | 21 | 160:148 | 56 |
| ანაჰაიმი | 54 | 22 | 8 | 1 | 24 | 136:140 | 53 |

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 80 (36+44); რეკი (ფილადელფია) 63 (19+44); პ. ბურე (ფლორიდა) 61 (37+24); ნოლანი (სან ხოსე) 60 (32+28); რენიკი (ფინიქსი) 59 (24+35); კარია (ანაჰაიმი) 58 (30+28); ტარჯონი (სენტ ლუისი) 58 (23+35); ვ. ბურე (კალგარი) 52 (28+24); ლეკლერი (ფილადელფია) 52 (27+25); დემიტრა (სენტ ლუისი) 52 (21+31); სუნდინი (ტორონტო) 51 (25+26); ამონტე (ჩიკაგო) 51 (23+28); სელიანე (ანაჰაიმი) 50 (23+27); უიტნი (ფლორიდა) და აიზერმანი (დეტროიტი) 50 (22+28); კოზლოვი (ფლორიდა) 50 (14+36)*

# ხელმოტეხილმა გოგოლაძემ ტიტული დაიცვა

დასაწყისი პირველ გვერდზე

პირველივე რაუნდიდან გოგოლაძე უტევდა, ტერნერის გამოხტომები კი სახიფათო იყო, თუმცა, სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდებოდა. გოგოლაძემ ოთხჯერ ჩაატარა თავისი საფირმო ნომერი — დაყვინთვა და განზე გასვლა. ამერიკელი ოთხჯერვე დაიბნა, რაც მეტად სახალისო შესახედი იყო. გოგოლაძე აშკარად სჯობდა ამერიკელს და მეორე და მესამე რაუნდებშიც დასამახსოვრებელი ნიშნები დაადო ამ უკანასკნელს.

გარდამტეხი ალბათ მეოთხე რაუნდი იყო, როცა გოგოლაძემ ერთი კუთხიდან მეორისკენ გააქცია ამერიკელი და მუშტებით მიჰყვა. ამას რაუნდის დასრულებამდე წუთით ადრე ნოკდაუნი მოჰყვა. რეფერი პოლ ლეგლანმა ამერიკელს დაუთვალა.

საფიქრებელი იყო, რომ მომდევნო (სხვა დროს იქნებ გადამწყვეტ) რაუნდებში გოგოლაძე კიდევ უფრო შეავიწროვებდა ტერნერს და ეგებ ვადამდელ გამარჯვებამდეც მისულიყო, მაგრამ... ქართველი გამუდმებით უტევდა, თუმცა კი დამაგვირგვინებელ შეტევაზე არ წასულა, ყოვნდებოდა და გაეცლებოდა ხოლმე მოწინააღმდეგეს, რის შემდეგაც ახალ, ისეთსავე იერიშს ამზადებდა. გარედან მაყურებელს ეს საკვირველად უჩანდა და ხშირად გაიგონებდით, მიდი, კობაო, რაც ნოკაუტისკენ მოწოდებას ნიშნავდა. გარეგნულად ეს სიფრთხილეს ჰგავდა, იფიქრებდი, რომ ტექნიკური და მოქნილი გოგოლაძე რისკს გაურბის, რადგან იცის, რომ ქულებით აშკარად წინაა.

მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცოდით, რომ მეოთხე რაუნდში, სწორედ იმ სანოკდაუნო დარტყმისას გოგოლაძეს მარცხენა ხელის მტევანმა უმუხთლა. სწორედ იმ მტევანმა, კვიპროსული ბრძოლის დროს რომ მოტყდა ქართველს.

და ახლა, ხელმეორე მოტეხილობა და ბრძოლის შემდეგ კვლავ მკურნალ ასკურავას წამლობა!

ისევე, როგორც კვიპროსზე, თბილისშიაც გოგოლაძემ მოტეხილი ხელით განაგრძო ბრძოლა და დასიებული მტევანი გამარჯვების შემდეგ გამოაჩინა.

აი, რისთვის არის საქებარი!

ამიტომ აღარ უნდა გაგვიკვირდეს ის, რაც ბოლო რაუნდებში თვალში საცემი შეიქნა — გოგოლაძე ერიდებოდა თავისი ელვისებური ცაციის გაქნევას.

სხვაფრივ შოუ ჩვენს პირობაზე რიგიანად იყო მოწყობილი (თუ არ ჩავთვლით, რომ ორი საათით ადრე სინათლე წავიდა და სანახაობაც ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო ცივ სასახლეში). კრივს ჩვეული ომახიანობით უძღვებოდა უცვლელი საკრივო ენაუნსერი ამირან ამირანაშვილი. აბრამ ბაზელის გოგონები ამერიკა-ბრიტანეთის დროშების ყაიდაზე შეკერილ სამოსში გამოჩნდნენ და ამერიკისა და საქართველოს დროშები მოჰქონდათ, ქართული დროშით მოსილ გოგონას კი გოგოლაძის კუთვნილი ქამარი. ქართველ მებრძოლთა გამოსვლისას საგანგებო ჰანგები ჟღერდა, გოგოლაძის გამოჩენა კი ხმაურიანმა ფოიერვერკმა გვამცნო. გოგოლაძეს კვლავ თავისი განუყრელი შავზოლებიანი თეთრი „ადიდასის" ტრუსი და შავი წუღები ემოსა. ამერიკელს ცისფერი „ადიდასისვე" ტრუსი და ნაიკის დაბალყელიანი შავი ფეხსაცმელი. ქართველის კორნერში მუშაობდნენ ფილიპ ფონდიუ, ვალიკო გოგუაძე და ვასილ სამსონია. ტერნერს კი არ ჰყავდა თავისი კორნერი და მას ანდერქარდის მონაწილე უკრაინელი ქვემძიმეწონოსანი, უჯიგრესი კოსტია ახრეევი ეხმარებოდა.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო ლას ვეგასი. მაგრამ ეს თბილისი იყო და კრივიც ოსტატური გამოვიდა. შედეგი კი — აბა, ტიტულის დაცვა როდის არის უსიხარულო ამბავი?

დასანანია მხოლოდ ის, რომ პროფესიონალებში გადასული და ექვსიდან ექვსი ბრძოლის მომგებ კობა გოგოლაძეს კვლავ თავისი საუცხოო ცაციის აქიმობა უწევს.

ამიტომაც იყო ბრძოლაგადახდილი გოგოლაძე ერთბაშად სიხარულსა და დარდს რომ მოეცვა. ცხადია, ჩემპიონის ქამრის შენარჩუნებით თავი მოსწონდა, მილოცვებსაც ღიმილით იღებდა, მაგრამ იქვე დასიებული მარცხენა შეახსენებდა თავს და ტკივილისგან განაწამები, მხოლოდ ზრდილობის გამო თუ ესაუბრებოდა გასახდელთან შეკრებილ ქართულ მედიას.

კობამ მეტოქე შეაქო, კარგად იცავდა თავს, კერკეტი კაკალი გამოდგა, მაგრამ ბრძოლის ვადამდე დასრულებას მაინც მოვახერხებდი, მეოთხე რაუნდში ცაციას რომ არ ეღალატაო.

ჩვენებური აღარ შეგვიწუხებია და დამარცხებულ ამერიკელთან გასაუბრების სურვილით მის ბანაკისკენ გავეშურეთ. თავპირდალილავებული დევიდ ტერნერი ლაპარაკის იშტაზე ნაღდად არ იყო, მაგრამ ეს კი გვითხრა: „თქვენებურმა ღირსეულად გაიმარჯვა, კარგი მოკრივე ყოფილა, რინგზეც ვაჟკაცური ბრძოლა იყო და ალბათ, მაყურებელმაც ისიამოვნა".

ახლა ეს გასავათებული ბიჭები დავასვენოთ და ანდერქარდის შეხვედრებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა, მით უფრო, რომ გოგოლაძე — ტერნერის ჩხუბამდე, უკრაინელმა და ქართველმა მოკრივეებმა მართლაც თვალსასეირო მუშტი-კრივი გამართეს.

რინგზე პირველად ქვემძიმეწონოსნებს (81), ზემოთ ნახსენებ კოსტია ახრეევსა და ფოთელ კახა ბებურიას უხმეს. პირველივე რაუნდში გამოჩნდა, რომ 33 წლის, პროფებში 40 ბრძოლა გადატანილ უკრაინელს, მასზე ერთი თავით მაღალი, გამოუცდელი ქართველი ვერაფერს დააკლებდა. ბებურიას გრძელი ხელების იმედიღა უნდა ჰქონოდა, თუმცა ეს უპირატესობა ვერ გამოიყენა და დაუღლელი კოსტიას მარჯვენა ბევრჯერ შეასკდა მის ცხვირ-პირს. ოთხი რაუნდიც მიილია და მაყურებელიც ქართველის მარცხს შეგუებული იყო, მაგრამ ბულგარელმა რეფერიმ ვენტისლავ ნიკოლოვმა ორივე მოკრივეს ააწევინა ხელი, აქაოდა თანაბრად ურტყეს ერთმანეთს და ბრძოლა ფრედ დასრულდაო. როცა რინგიდან ჩამოსულ ახრეევს მსაჯთა გადაწყვეტილებაზე ვკითხე — არა უშავს, კრივში ეგეთები ხშირად ხდებაო — ღიმილით მიპასუხა.

ამასობაში ენაუნსერმა საჩხუბრად მსუბუქწონოსნები (61), რახიმ იანდალიევი და უშანგი რურუა გამოიძახა.

გოგოლაძის თანაქალაქელმა სპარინგმეტოქემ მრავლისმნახველ იანდალიევს გონგის შემორტყმისთანავე შეუტია და მთელი ოთახი რაუნდი ალარც გაჩერებულა. რურუას ეტყობა, გამორჩეულად აპერკოტი ემარჯვება და მანაც ბევრი ურტყა უკრაინელის ნიკაპს. ანდალიევი ყრუ დაცვაზე არ გადასულა და დროდადრო შემხვედრ დარტყმებს აგებებდა ვერცხლისწყალივით მოძრავ ქართველს. რურუამ მესამე რაუნდში მარცხენა ჯებით მეტოქეს წარბი გაუხეთქა და რეფერიმ უკრაინელი ექიმთან გაგზავნა. დასტაქრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იანდალიევი რინგს დაუბრუნდა და ჩხუბიც გაჩაღდა. ბრძოლის დასასრულს უკრაინელმა მძლავრად კი შეუტია, მაგრამ რურუაც მაგრად დაუხვდა და პროფებში პირველი გამარჯვებაც მოიპოვა.

კრივის გურმანებს განსაკუთრებით რომ მძიმეწონოსნების ჩხუბის ცქერა უყვართ, ეს ცნობილ[illegible] ამბავია. ილია ტლაშაძისა და სტა[illegible]ლავ ტოლკაჩოვის შეხვედრასაც [illegible]მ ელოდა მაყურებელი მოუთმე[illegible]. მათი ბრძოლა, მართლაც რომ კარგი სანახავი გამოდგა. ზორბა უკრაინელი და შესუქებული ქართველი ერთმანეთისთვის მუშტებს არ იშურებდნენ, განსაკუთრებით ჩვენებური აქტიურობდა, ერთი პირობა კი ვიფიქრე ბოლომდე თუ გაუძლებს-მეთქი. ცხადია, ტლაშაძე გიორგი კანდელაკის აღმზრდელის, ახლა კი მისი მწვრთნელის ავთანდილ შოშიაშვილის რჩევას ყურს უგდებდა, შეხვედრა ტაქტიკურად სწორად წარიმართა, ძალ-ღონე ბოლომდე შეინახა და შეხვედრაც გამარჯვებამდე მიიყვანა.

ასე დასრულდა ანდერქარდის, მთავარ ბრძოლამდე მაყურებელთა გასახურებელად და იშტაზე მოსაყვანი შეხვედრები. მერე კი, მერე იყო გოგოლაძე და ტერნერი, თბილისში დარჩენილი ქამარი და გამარჯვებული, მაგრამ უიღბლო ქართველის მოტეხილი მარცხენა მტევანი.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**



ინტერკონტინენტალის ქამარი თბილისში დარჩა



ცაციადაშავებულმა გოგოლაძემ მარჯვენა დატვირთა



უშანგი რურუამ (მარჯვნივ) პროფესიული კარიერა გამარჯვებით დაიწყო



ფრანგმა რეფერიმ პოლ ლეგლანმა მაყურებელს კობას გამარჯვება ამცნო

ეროვნული ბიბლიოთეკა



დორტმუნდი — ლაუტერნი 0:1. დორტმუნდელმა კრისტიან ვიორნსმა თავის მეტოქე იური ჯორკაეფი შებოჭა

## ასე მრთობიან ავღანელები

ავღანელი ლტოლვილები მრავლად ცხოვრობენ პაკისტანში. ასე, მილიონ ორასი ათასი იქნებიან. ჰოდა, რა ქნან, გართობა ხომ უნდათ. ეროვნულ თამაშობებს ხომ არ დაივიწყებენ.

ამ თამაშს, ქალაქ პეშავარში რომ გაუმართავთ, ავღანურად ბუზკაში ქვია, ჩვენებურად კი ჩააგდე თხა ორმოში ან კალათთხობანა შეიძლება ეწოდოს. ხომ არ გადმოგვეღო?



### გერმანია

XVIII ტური

დორტმუნდი 0:1 ლაუტერნი
0:1 კოხი (52)
ჰანზა 0:1 ჰერტა
0:1 პრეეცი (61)

### ინგლისი

III დივიზიონი
XXX ტური

მენსფილდი 1:1 ექსეტერი
სუონსი 2:1 ლინკოლნი

### პორტუგალია

XX ტური

ბელენენსეში 1:1 ბოავიშტა

### ჰოლანდია

უტრეხტი 2:0 მაასტრიხტი
1:0 რობემონდი (2), 2:0 კაირო (18)

### თურქეთი

XIX ტური

სამსუნი 0:2 ბეშიქთაში

### ჩოგბურთი. დევისის თასი

ჩეხეთი 0:1 ინგლისი
შვეიცარია 1:1 ავსტრალია



## სიკვდილი და გართობა

კალიფორნიაში, ახლო, სილვერ სტრენდის მიდამოებში მოსერფეთა საყვარელი ადგილია. მაგრამ ორი დღის წინათ აქ სერფი არავის შეუგდია ტალღებზე — სანაპირო დაცვა და მაშველები ოკეანეში ჩავარდნილ თვითმფრინავს ეძებდნენ. ოთხმოცამდე მგზავრი ოკეანემ ჩაყლაპა და ორი დღის ძებნამ შედეგი არ გამოიღო. სერფინგის მოყვარულნი კი რიდით, მაგრამ მაინც გამოჩნდნენ სანაპიროზე, სადაც უკვე აღუმართავთ დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ჯვარი.




## ბურთის სიტკბო

აფრიკაში უყვართ ფეხბურთი. უყვართ კი არა, აფრიკა ის აღარ არის, რაც იყო. აფრიკა, ეს... ეს, თუნდაც კანუ და მუსტაფა ჰაჯია. აფრიკა... აჰ, ლამის შეჭამონ ბურთი ამ აფრიკელებმა. ფეხბურთი ერთ-ერთი გზაა აფრიკელთათვის, ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ ბურთი ნაყინივით ტკბილი და სასურველი იყოს.




## როტერდამში იწყება და როტერდამში დაამთავრებს

გუშინ ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში, სადაც 2 ივლისს ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალი გაიმართება, შედგა შეჯიბრების ოფიციალური პლაკატის პრეზენტაცია. ფოტოზე სწორედ ამ პლაკატს ხედავთ.



## ბრაზილიაში, საჩოგბურთოდ

თითქოს ავერ ახლა იყო, ნიცაში რომ დევისის თასის ფინალი იყო გახურებული. მაგრამ აი, უკვე ახალი დევისი ხურდება. ფრანგ ჩოგბურთელთა ნაკრები პირველ მოწინააღმდეგესთან შესახვედრად ბრაზილიას გაფრენილა. იქაურები უფრო ფეხბურთით იცნობიან და სედრიკ პიოლინსაც ამიტომ აურჩევია მოზრდილი ბურთი, ბრაზილიაში ვარ, უნდა ავკენწლოო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli